

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



დავით სუჯაშვილი

**„საქართველოს სპეცსამსახურების ეფექტური მართვა
საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევების
კონტექსტში“**

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი 1109

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175

საქართველო 2019 წ.

საავტორო უფლება © დავით სუჯაშვილი 2019 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დავით სუჯაშვილის მიერ შესრულებულ სადისერგაციო ნაშრომს დასახელებით: „საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევები და საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერგაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. - - - - -, - - - - - 20-- წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი ჯემალ გახოკიძე

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წელი

ავტორი: ღაფით სუჯაშვილი

დასახელება: „საქართველოს სპეცსამსახურების ეფექტური მართვა საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევების კონტექსტში“

სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა

ხარისხი: საჯარო მმართველობის დოქტორი

სხდომა ჩაგარდა: -----

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ გემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საქართველოს სპეცსამსახურების ეფექტური მართვა საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევების კონტექსტში.

ნაშრომის შესავალში განსაზღვრულია საკვლევი თემის აქტუალობა და პრობლემების რიგი. ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და გამოყენების სფერო, საკვლევი პრობლემის დამუშავების დონე, ჩატარებული კვლევის შედეგების განზოგადება და ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერგაციო ნაშრომის დამუშავების მიზნით მოძიებული და განხილული იქნა ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა და საქართველოს, საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი აქტები.

ნაშრომის პირველ თავში აქცენტი გაკეთებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემატიკაზე. განხილულია გეროროიზმის დეფინიცია, მიზნები, ამოცანები, ფორმები და სახეები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი გამოწვევების კონტექსტში ქვეყნის სპეციალურმა სამსახურებმა უნდა შეძლონ გეროროიზმის სრულად გასააზრებლად საჭირო ასპექტების ღრმა შესწავლა-ანალიზი ოპერატიული რეაგირებისა და პრევენციისთვის. ასევე, ყურადღება გამახვილებულია გეროროიზმის წარმოშობის ისტორიაზე, განხილულია სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული გეროროისტული აქტები, რომლებმაც მრავალი მეფის, იმპერატორის, მხედართმთავრის, სასულიერო პირისა თუ რიგითი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. განხილულია სახელმწიფო (სახელისუფლებო) და ოპოზიციური გეროროის მახასიათებლები კონკრეტული მაგალითებით. მიმოხილულია მსოფლიო ისტორიაში ცნობილი გეროროისტული ორგანიზაციები.

მეორე თავში მიმოხილულია რელიგიური გეროროიზმი და ისლამი. საერთაშორისო გეროროიზმის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისლამურ გეროროიზმს, რომელიც გარდა პოლიტიკური შედეგების მიღწევისა, მიზნად ისახავს ისლამური ცივილიზაცია აქციოს მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ძალად და წარმატებული მეტოქეობა გაუწიოს ანგლო-საქსურ, კონგინენტურ-ევროპულ და სხვა ცივილიზაციებს. ასევე, დეტალურადაა გაანალიზებული მსოფლიოში მოქმედი საფრთხის შემცველი 80-ზე მეტი რადიკალურ-ისლამისტური ეთნიკური და რელიგიური გენოციდის ფაქტები. დახასიათებულია ისლამისტური გეროროისტული დაჯგუფებები („თალიბანი“, „ჰაქანი“, „ალ-ქაიდა“ და სხვ.). გაანალიზებულია „ისლამური სახელმწიფოს“ ძირითადი მახასიათებლები.

მესამე თავში განხილულია საქართველოს, გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, საერთაშორისო და ამერიკის შეერთებული შტატების და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების სამართლებრივი სტანდარტები და ცალკეული კანონები გეროროიზმის წინააღმდეგ. გეროროიზმის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში განხილულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე და საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით. გაკეთებულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებითი ანალიზი. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სპეცსამსახურების მხრიდან როგორც პრევენციული, ისე რეპრესიული ხასიათის ფუნქციების ეფექტური მართვის საკითხებზე.

მეოთხე თავში გაანალიზებულია კონგრესგეროროისტული საქმიანობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. გეროროისტული აქტების საფრთხე აშშ-სა და ევროპაში. „ისლამური სახელმწიფოს“ პერსპექტივები და მსოფლიოს წინაშე

გეროროისგული საფრთხის მრდა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გეროროიზმთან ბრძოლაში. ასევე, განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების კონტრტეროროისგული საქმიანობა, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ისრაელის, ევროკავშირის სპეციალური სამსახურების მაგალითზე. საქართველოში გეროროიზმის საფრთხეების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის წინაშე არსებული საერთაშორისო გეროროიზმის გამოწვევებიდან გამომდინარე კონტრტეროროისგული სტრატეგიის განსაზღვრას, პრევენციული ზომების შემუშავება-გაგარებას, ქვეყნის საჯარო მმართველობის სისტემებს შორის თანაშრომლობას, პარტნიორობას და მჭიდრო კოორდინაციის პრინციპებს, რომელთა ფართოდ დანერგვის გარეშე, შეუძლებელია გეროროისგული საფრთხის პრევენცია-განეგრალეა და ქვეყანაში გეროროიზმის კუთხით სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება. მოცემულია საერთაშორისო გეროროიზმის გამოწვევების კონტექსტში საქართველოს სპეცსამსახურების კონტრტეროროისგული საქმიანობის უწყებათაშორისი კოორდინაციისა და ეფექტური მართვის მექანიზმები.

დასკვნაში გაანალიზებულია კვლევის შედეგად დაღგენილი გეროროიზმის განვითარების პროცესი პოლიტიკურ, ისტორიულ, რელიგიურ, სამართლებრივ, საერთაშორისო და ეროვნულ ტრილში. მიმოხილულია გეროროიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. ყურადღება გამახვილებულია, როგორც სახელმწიფო უწყებების - სპეციალური სამსახურების ეფექტური მართვის საფუძველზე ერთობლივი მოქმედებების, ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორობის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე. გამოთქმულია მოსაზრებები და მოცემულია რეკომენდაციები საერთაშორისო გეროროიზმის მასშტაბურობიდან და მისი მრავალწახნაგოვანი ხასიათიდან გამომდინარე, ცივილიზებული სამყაროს მიერ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი ძალებითა და საშუალებებით კოორდინირებული ბრძოლის განხორციელებაზე.

Resume

The dissertation examines the effective management of Georgian special services in the context of challenges posed by international terrorism. Introduction of the thesis defines the problems and the relevance of the research topic, determines goals and tasks as well as subjects of the research. It also outlines the structure of the thesis, theoretical and methodological framework of the research, scientific novelty, practical importance of the dissertation and fields of application, along with processing level of the research topic. Introduction contains the generalization of the research outcomes as well.

The research is based on processing the Georgian and foreign literature, legal acts of Georgia and foreign countries.

The first chapter of the thesis underlines the problems of the state security of Georgia. It also discusses the definition, aims, objectives and types of terrorism. The author argues that special services should study and analyze deeply the aspects of terrorism in the context of new challenges in order to react operatively and prevent terrorist threats. The

chapter also reviews the origins of terrorism and notes terrorist acts carried out in different countries that claimed the lives of numerous kings, emperors, warlords, clergymen and ordinary citizens. Furthermore, it examines famous terrorist organizations in the world history, terrorism merged with nationalist movements and terrorism elevated in the rank of state ideology by the totalitarian regimes. The chapter also discusses terrorism in Georgia.

The second chapter discusses religious terrorism and Islam. While reviewing international terrorism, special attention is paid to Islamic terrorism which aims to get political results as well as make Islamic civilization the most influential power in the world and compete effectively with Anglo-Saxon, continental European and other civilizations. The chapter also analyzes in detail more than 80 cases of genocide committed in the name of radical Islam, ethnicity and religion. It also describes Islamic terrorist groups (“Taliban”, “Haqqani”, “Al-Qaeda” and others) and considers the basic characteristics of the “Islamic State”.

The third chapter considers particular laws against terrorism and legal standards of Georgia, international organizations (United Nations, Council of Europe, European Union), the United States of America and other foreign countries. The problem of terrorism in Georgian legislation is discussed on the basis of the Association Agreement with the EU as well as international conventions. The chapter provides comparative analysis between Georgian and international standards and emphasizes the issues of effective management of preventive and repressive functions of the special services.

The fourth chapter evaluates counter-terrorism activities at the international and national levels, terrorist threats in the United States and Europe, perspectives of the terrorist organization “Islamic State” and the rise of the terrorist menace in the world as well as the role of international organizations in the fight against terrorism. Moreover, it examines counter-terrorism activities of foreign countries (Israel, United States, Canada, special services of EU member states). While determining terrorist threats in Georgia, special attention is paid to the following issues: definition of counter-terrorism strategy, elaboration and execution of preventive measures, cooperation, partnership and deep coordination among the systems of public governance. The author argues that it is impossible to neutralize terrorist threat and make the country stable if the abovementioned principles are not introduced. The chapter also includes the mechanisms of effective management of Georgia’s special services and interdepartmental counterterrorism coordination in the conditions of international terrorist threats.

In conclusion of the dissertation the author puts the development of terrorism in political, historical, religious, legal, international and national

contexts on the basis of the research. This part of the thesis also reviews the national strategy of fight against terrorism. Furthermore, it considers the importance of active engagement of state structures along with civil society and international partners. Finally, given the scope and multifaceted character of terrorism, the conclusion outlines some recommendations and suggests that the civilized world should coordinate efforts on national and international levels in order to combat it.

სარჩევი

შესავალი-----	9
ლიტერატურის მიმოხილვა-----	16
თავი I-ტერორიზმის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები--	22
1.1. ტერორიზმის ცნება, მიზნები და ამოცანები-----	22
1.2. თანამედროვე ტერორიზმის ფორმები, სახეები და დაჯგუფებები-----	35

1.3. სახელმწიფო (სახელისუფლებო) და ოპოზიციური გერორი -----	51
თავი II - რელიგიური გერორიზმი	58
2.1. გერორიზმი და ისლამი -----	58
2.2. ისლამური გერორისგული დაჯგუფებები -----	61
თავი III - გერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები	70
3.1. გერორიზმი - საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის) სტანდარტებით -----	70
3.2. გერორიზმი - საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნული სტანდარტებით --	85
3.3. გერორიზმი - საქართველოს კანონმდებლობაში -----	93
თავი IV - საერთაშორისო გერორიზმი - საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები	101
4.1. კონგრგერორისგული საქმიანობა საერთაშორისო დონეზე -----	101
4.2. კონგრგერორისგული საქმიანობის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება -----	104
4.3. ევროკავშირის სპეცსამსახურების კონგრგერორისგული საქმიანობა --	117
4.4. საქართველოში კონგრგერორისგული საქმიანობის უწყებათაშორისი კოორდინაცია და ევექტური მართვა -----	124
დასკვნა -----	152
გამოყენებული ლიტერატურა -----	162

შესავალი

თემის აქტუალობა - სადისერტაციო ნაშრომის თემად შერჩეულ იქნა „საერთაშორისო გერორიზმის გამოწვევები და საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები“. აღნიშნული თემისადმი ინტერესი განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. პირველ რიგში, საკვლევი თემა ძალზედ აქტუალურია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ, ასევე პოლიტიკურ ასპექტში. ამავდროულად, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები ლეგალურ შესწავლას მოითხოვს, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება, სპეციალური სამსახურების მართვის სისტემის შემდგომ სრულყოფაში.

თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, ისევე როგორც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსთვის, საქართველოსთვისაც სპეციალური სამსახურის მართვის მექანიზმების სრულყოფა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სპეციალური სამსახურის მართვის მექანიზმების სრულყოფაში იგულისხმება ეროვნული ღირებულებების და ეროვნული ინტერესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ქმნის უსაფრთხო გარემოს. აღნიშნული პროცესი კომპლექსურია და უკავშირდება ქვეყნის წინაშე არსებული რისკებისა და საფრთხეების დროულ გამოვლენას, ადეკვატურ შეფასებას და მათი თავიდან აცილების მიზნით სწორი პოლიტიკის შემუშავებას, რაც თანმიმდევრული ქმედებების შემთხვევაშია შესაძლებელი.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ სადისერტაციო ნაშრომში, საერთაშორისო გერორიზმთან და სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმის სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ესა თუ ის ასპექტი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, შესწავლილია მისი განმსაზღვრელი ფაქტორების დროში ცვალებადობის თავლსაზრისით. აღნიშნული კი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ იმ პრობლემათა წრე, რომელთა თეორიული დამუშავება და ამის საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ხელს შეუწყობს ღღეს საქართველოს სპეციალური სამსახურების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას.

კვლევა დაფუძნებულია ეკონომიკურ, სოციალურ, მნიებრივ და კულტურულ ფასეულობებზე, რადგან დღეს, როდესაც ერთიანი ეროვნული ცნობიერება დარღვეულია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმატებული ფუნქციონირების ისტორიული გამოცდილების შესწავლა და ქართული პოლიტიკური ამროვნების საუკეთესო ნიმუშებისაკენ მიბრუნება ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობაა.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა უკავშირდება თანამედროვე ეპოქის შესაბამისი სპეციალური სამსახურის მართვის სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას. კერძოდ, ჩვენთვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს ის, რომ დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში ყოველი ქვეყნის უსაფრთხოებამ რადიკალურად იცვალა თავისი შინაარსი. წინ ქვეყნის უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტებმა წამოიწია. ნათელი გახდა, რომ საკუთარ ღირებულებათა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, უწინარეს ყოვლისა, თავად ამ ქვეყნის საზოგადოების შინაგანი მზადყოფნაა საჭირო, ხალხის სულიერი სიმტკიცე და მისი განსწავლულობა, საზოგადოებრივი თანხმობა და სოციალური ჰარმონია, განვითარებული დემოკრატია, ძლიერი, მოქნილი და კომპეტენტური ხელისუფლება, რომელიც ხალხის ნდობით სარგებლობს, მწარმოებლური და დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკა, ქვეყნის მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე დამყარებული საგარეო პოლიტიკური კურსი. მაშასადამე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს, ქვეყნის მშვიდობიანი და თავისუფალი ცხოვრებისა და განვითარების გარანტიას, უპირველესად, საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფოებრივი ამროვნება განაპირობებს.

საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკის შესწავლა, ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ იმ პრობლემათა წრე, რომელთა თეორიული დამუშავება და ამის საფუძველზე პრაქტიკული ღონისძიებების დასახვა ხელს შეუწყობს თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სპეციალური სამსახურების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას. ამგვარი პრობლემების რიგს მიეკუთვნება:

- რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის საშინაო ფაქტორები (სახელდობრ: ეკონომიკური, პოლიტიკური და გრანსმაგისტრალური), სახელმწიფო სპეციალური სამსახურების სისტემის ფორმირებაში სუბიექტური ფაქტორის განმსაზღვრელი როლი და სხვა. აქედან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადეთ სიღრმისეულად შეგვესწავლა საქართველოს სპეცსამსახურების როლი და ამოცანები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის დასავლური მოდერნიზაციის პირობებში ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებას და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში ნაკლებად მტკივნეული გზით ჩართვას;

- გარდაქმნების პროცესში მყოფი ქვეყნის ძირეული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემების ანალიზის საფუძველზე სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმების სრულყოფის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დებულებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგრადობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც უნდა იქნას მორგებული გეოსტრატეგიულ გამოწვევებზე. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ორი რეგიონი ოკუპირებულია არაპროგნოზირებადი ბირთვული სახელმწიფოს მიერ, რომელიც ახორციელებს აგრესიულ მილიტარიზაციას. ასევე ყურადსაღებია საქართველოს დეკლარირებულ საგარეო კურსთან მიმართებაში რუსეთის ოფიციალური აგრესიული დამოკიდებულება.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: - მზარდი გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმების ძირითადი მიმართულებების ანალიზი, რეგიონში შექმნილი რეალური გეოპოლიტიკური ვითარების შეფასება და პერსპექტივაში მისი განვითარების შესაძლო პროგნოზი; - ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და დემოგრაფიული უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების შეფასება, ამ სფეროში რეფორმების შეფერხებისა და მათი

არაეფექტურობის ხელშეწყობი პირობებისა და მიზეზების გამოვლენა, კრიზისული სიტუაციის დასაძლევად მართვის მექანიზმების შემუშავება და მათი მეცნიერული დასაბუთება;

კვლევის სიახლეს უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის სისტემის ჩამოყალიბების ახალი ხედვა, რომელიც ეყრდნობა საჯარო მმართველობის ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ფასდაუდებელ ისტორიულ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს; ქვეყნის ეროვნული სტრატეგიის გათვალისწინებით ნაცოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის, ნაცოსა და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხების განხილვა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების ანალიზი.

კვლევის სიახლე, ასევე, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ტერორიზმი საქართველოს სინამდვილეში ნაკლებადაა შესწავლილი, ამასთან, საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმების ეფექტურობის ამაღლების თაობაზე ფაქტობრივად არ არსებობს ფუნდამენტური გამოკვლევა. მიუხედავად მთელი რიგი კვლევებისა, რომელიც ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი (უმეტესად არასამთავრობო) ორგანიზაციების მიერ, აღნიშნული ვერ იძლევა სათანადო სურათს და მათ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებიც არასისტემური და ფრაგმენტულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმების ეფექტურობის ამაღლება, მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა, საერთაშორისო გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

კვლევის პროცესში დეტალურადაა განხილული საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული გამოწვევები, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები, რისკები და საფრთხეები და მათი თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციები. ასევე, უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის საკითხები.

კვლევის სიახლეს განაპირობებს აგრეთვე ის, რომ ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის სპეციალური სამსახურების კოორდინაციისა და მართვის მექანიზმების სისტემის სრულყოფის შემაფერხებელი ფაქტორები, გამოკვეთილია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის პრიორიტეტები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი: მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და საქართველოში მომხდარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძვრების პირობებში ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობისა და განვითარების მიზეზებისა და შედეგების, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების პროცესების შეფასებას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს უცხოურ სამეცნიერო-პოლიტიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილ ანალიტიკურ მიმოხილვებს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ფორმირებისა და ფუნქციონირების, მათი სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმების სისტემის ჩამოყალიბების საკითხზე. ნაშრომში თეორიული და პრაქტიკული საკითხების წამოყენებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი და ხშირად განმსაზღვრელია საქართველოსა და საზღვარგარეთის გამოჩენილი პოლიტიკოსების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებები და პროგნოზები, დებულებები და დასკვნები, აგრეთვე, კონცეპტუალური განცხადებები.

კვლევაში გამოყენებულია კონკრეტული მაგალითების შესწავლის და განხილვის მეთოდი, რომელიც არის ინდივიდის, მოვლენის, გადაწყვეტილების, კონკრეტული პროექტის, პოლიტიკის ან პერიოდის ანალიზი რომელიმე მოვლენის შესასწავლად. კვლევაში ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ანალიზით, დასკვნის სახით შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

ჩატარებული კვლევის და მისი შედეგების განზოგადების საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნა-რეკომენდაციები არსებითად წარმოადგენს სახელმძღვანელო და სამოქმედო პრინციპებს, რომელთა გათვალისწინება უდავოდ ხელს შეუწყობს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმებს გეროირიზმთან ბრძოლის პრობლემათა გადაჭრაში.

კვლევის შედეგები ასევე გააუმჯობესებს სახელმწიფოს ხელვას ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. რაც შეეხება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას, იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს აღნიშნულ მძიმე დანაშაულთან ბრძოლის საკითხში. ანტიტერორისტული სტრატეგია გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას საერთაშორისო ტერორიზმთან. მეტიც, სტრატეგია არის ფუნდამენტი იმისა, რომ სახელმწიფომ გადადგას საჭირო ნაბიჯები ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი სისტემის სრულყოფის მიზნით. ამ მიმართულებით დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების ნაწილი უკვე რეალიზებულია ან რეალიზების პროცესშია. სახელმწიფოს ანტიტერორისტული სტრატეგია აუცილებელია იმასთვისაც, რომ სახელმწიფო მომზადებული იყოს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით.

დისერგაციის სტრუქტურა: წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდს. საკვლევი თემის სპეციფიკამ განსაზღვრა სადისერგაციო ნაშრომის შემდეგი არქიტექტონიკა: შესავალი, ლიგერატურის მიმოხილვა, ოთხი თავი, 12 ქვეთავი, დასკვნა, გამოყენებული ლიგერატურის ნუსხა.

ლიგერატურის მიმოხილვა:

სადისერტაციო ნაშრომის „საერთაშორისო ტერორიზმის გამოწვევები და საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები“ დამუშავების მიზნით მოძიებულ იქნა ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა:

ჯემალ გახოკიძე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი თავისებურებანი სახელმწიფო მშენებლობის პროცესში, დისერტაცია თბ. 2004 - ავტორის მიერ დეგალურადაა გაანალიზებული უსაფრთხოების საკითხები. გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა უკავშირდება თანამედროვე ეპოქის შესაგყვისი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას. საუბარია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელისშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. უპირველეს ყოვლისა, სიღრმისეულად განხილულია ცნებები „უშიშროება“ და „უსაფრთხოება“. ყველა საკითხი განხილულია ისტორიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური კუთხით. ასევე დეგალურადაა მიმოხილული სხვადასხვა კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები, კერძოდ განხილულია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებული პროცესები. ასევე, საუბარია საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობაზე კონფლიქტების მოგვარებაში.

სოფო ჩქოფოია, წიგნი „საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიული-პოლიტიკური ასპექტები“, თბ. 2017 - ნაშრომი ეხება საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას - ტერორიზმს, ყურადღებაა გამახვილებული დიდ პოლიტიკურ და სულიერ დანაკარგზე. აღნიშნულია რომ ტერორიზმი იქცა პოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული

პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტერორიზმის არსის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების მეცნიერულ შესწავლაზე. აღნიშნულია, რომ ტერორიზმის იდეოლოგიამ განიცადა ევოლუცია, ისევე, როგორც მისმა პრაქტიკამ. ტერორიზმის ისტორია ცხადყოფს, რომ ტერორიზმის ევოლუცია შეიძლება ღრმად რამდენიმე ეტაპად. თანამედროვე ტერორიზმი რადიკალურად განსხვავდება წინამორბედისაგან, როგორც გამომწვევი მიზეზებითა და მიზნებით, ასევე მოქმედების გაქტივით. მოცემული წიგნის ავტორი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ცდილობს წარმოაჩინოს საერთაშორისო ტერორიზმის მასშტაბობის იდეოლოგიური და პოლიტიკური ძალები. წიგნში გამოყენებულია ქართული და უცხოელი მეცნიერების სტატიები, ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები.

ქელდიშვილი გიორგი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, გამომცემლობა „ბარგონი“, თბ. 2015 - ავტორის შეფასებით თანამედროვე ტერორიზმი ითვლება სიცოცხლისათვის ერთ-ერთ საშიშ სენად. ტერორიზმის აქტუალობიდან გამომდინარე მიმოხილული აქვს ის უმძიმესი მოვლენები, რაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მოხდა აშშ-ში, რუსეთში, ევროპაში, აზიასა და სხვა ქვეყნებში. ნაშრომში მოცემულია ტერორიზმის თეორიული ანალიზი, მისი ფორმულირება, განხილულია მოგადად ბრძოლის მექანიზმები, ტერორისტული ორგანიზაციები, ტერორისტული გამოვლინებები, რემონანსული ტერორისტული აქტები, ცნობილი ტერორისტები. დასახელებულ ნაშრომში განხილულია ტერორიზმის სამართლებრივი დახასიათება და მისი გამომწვევი მიზეზები. ასევე, საგულისყურია თვითმკვლელი ტერორისტების როლი ტერორიზმის სამყაროში.

ე. ჰეიფუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა ლოგოს პრესი, ქართული თარგმანი, გამოცემის რედაქტორები: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე. თბ. 2004 - ნაშრომში მიმოხილულია პოლიტიკური პრობლემების ისტორიული და ნორმატიული საფუძვლები. ავტორის მიერ ყურადღებაა გამახვილებული პოლიტიკური ინსტიტუტების თეორიულ ანალიზზე, განხილულია სოციალური თეორიები როგორც პოლიტიკური კვლევის მეთოდები ასევე პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. საყურადღებოა, რომ

ავტორს განხილული აქვს ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალიზმის წარმოშობისა და განვითარების გარკვეული ასპექტები.

რობერტ არტ, რობერტ ჯერვისი - „საერთაშორისო პოლიტიკა-მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2011 - წიგნში განხილულია მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები, კერძოდ: სახელმწიფოთაშორისი ომი და ტერორიზმი, სამოქალაქო ომები და ინტერვენცია, გრანსნაციონალური აქტორები, გლობალური მმართველობა. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციაზე და მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ახალი პროცესებზე. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საერთაშორისო პოლიტიკის სფერო მეტად განსხვავდება საშინაო პოლიტიკისაგან. მოვლენების და ლიტერატურის განხილვა ძირითადად ხდება იმ სქემების კონტექსტში, რომლებიც გამოდგება იმის გასააზრებლად, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან მთავრობის არსებობის პირობებში და ანარქიულ გარემოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

ასათიანი გიორგი, თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები, თბ. 2017 - სტაგია „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“ ეძღვნება ტერორიზმის ცნების ანალიზს ისტორიულ და კრიმინოლოგიურ ჭრილში. მასში მოცემულია ტერორიზმის ძირითადი ნიშნებისა და ელემენტების კლასიფიკაცია; შესწავლილია ტერორიზმის ორგანიზაციული სტრუქტურა და დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების მეთოდები; განხილულია ტერორიზმის ფორმები და სახეობები.

მჭედლიშვილი. ა., „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნის პრინციპები“. ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები“ №2, თბ. 2009 - ნაშრომში საუბარია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის პრინციპებზე, ძირითად ინდიკატორულ მაჩვენებლებზე, სახელმწიფოს სისტემურ მოდელსა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე. ავტორი საინტერესოდ აყალიბებს დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე დასმულ ამოცანებს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა; მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და

საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დემოკრატიული და ეროვნული ღირებულების განვითარება.

Morgenthau Hans J. Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace“. Second Edition, Alfred A. Knopf: New York, 1955 -

აღნიშნულ ნაშრომებში გადმოცემულია ქვეყნის სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები, საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების კუთხით ანალიზი და დასკვნები. ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები ურთიერთმოქმედებენ ეკონომიკურ, იურიდიულ, სამხედრო, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროებში. სხვადასხვა სახელმწიფოები განსხვავებულ ისტორიულ ეპოქაში არაერთგვაროვნად არიან ჩართულნი საერთაშორისო პოლიტიკაში. ასევე, იგი გამოყოფს ძალაუფლებისა და სახელმწიფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის სამ საბაზო მოდელს: 1. პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ძალაუფლების შენარჩუნებაზე, კონსერვაციაზე - „Status Quo“-ს შენარჩუნებაზე; 2. პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ძალაუფლებრივი უფლებამოსილების დაგროვებასა და ძალაუფლების გაფართოებაზე. 3. ძალის დემონსტრაციის პოლიტიკა;

**Counter-terrorism in the Netherlands By: Mr E.S.M. Akerboom
Director Democratic Legal Order General Intelligence and Security
Service of the Netherlands -**

ინგლისურენოვან სტაგიაში განხილულია ისლამური ტერორიზმი, ყურადღებაა გამახვილებული დაზვერვის სამსახურების ფუნქციებსა და ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტებზე. ავტორი დაწვრილებით განიხილავს ისლამური ტერორიზმის წარმოშობისა და განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივ მახასიათებლებს.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ, ამასთანავე დამოუკიდებელი ღირებულების მქონე საკითხების ირგვლივ განხორციელდა მოძიებული ლიტერატურული წყაროებისა და ოფიციალური მასალების სისტემური განხილვა და შედარებითი ანალიზი, წინამდებარე შრომის შესაბამის განაკვეთში, მოძიებული და განხილულია აგრეთვე მცირერიცხოვანი, მაგრამ საყურადღებო შრომები (ძირითადად გაზეთებსა და ჟურნალებში გამოყენებული სტატიების სახით), რომელნიც საქართველოს და ზოგიერთი უცხო ქვეყნების

უსაფრთხოების პრობლემების ცალკეული ასპექტებისადმი მიძღვნილი. მათ შორის: Alexander, Yonah (1976). International Terrorism: National, Regional and Global Perspectives. New York: Praeger Bruce Hoffman, "Defining Terrorism," in Terrorism and Counterterrorism: Understanding the New Security Environment, Readings and Interpretations, Russell D. Howard and Bruce Hoffman (New York, NY: McGraw-Hill, 2012), Laqueur, Walter (1987). The Age of Terrorism (2nd ed.). Boston: Little & Brown, Marwuardt E., Heffelfinger C. Terrorism & Political Islam, Origins, Ideologies and Methods. A Counterterrorism Textbook, Schmid A.P., Jongman A.J., Political Terrorism. Amsterdam: North Holland Publishing Company, 1988; Andress, D., The Terror: The Merciless War for Freedom in Revolutionary France, First Edition, 2007; Bosin V. Yury, Taliban, 1996-2007. International Encyclopedia of Revolution and Protest, ed. Immanuel Ness, Blackwell Publishing 2009, gv: 3246-3248, pdf. Cid D., The Limitations of Terrorism Research. Homeland Security Today, 2016, Dressler A. Jeffrey, The Haqqanni Network, from Pakistan to Afghanistan. United States of America by the Institute for The Study of War. Afghanistan Reports 6. Washington, 2010. Pdf; Laqueur W. The New Terrorism: Fanaticism and the Arms of Mass Destruction. New-York: Oxford Univeristy Press; Павлов Д.Б., Эсеры – Максималисты в Первой Российской Революции. Москва: Издательство всесоюзного заочного политехнического института, 1989, В. Н. Черкесов, Предметы интернационала, Доктрины Марксизма, М. 2010

რაც შეეხება ნორმატიულ მასალას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა შემდეგი აქტები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999; საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, 2007; „ევროკავშირის კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1977; საქართველო – ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ბრიუსელი, 2014: ევროკავშირის საბჭოს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“

ჩარჩო-გადაწყვეტილება, 2002; გაეროს კონვენცია „ტერორიზმის ღაფინანსების აღკვეთის შესახებ“, 1999; გაეროს კონვენცია “ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ, 2005; ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის ღაფინანსების შესახებ“, 2005; საქართველოს მთავრობის დადგენილება №254 „ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ, 2014.

I თავი. ტერორიზმის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ტერორიზმის ცნება, მიზნები და ამოცანები

ისტორიას ზუსტად არ აღუწერია პირველი ტერორისტული აქტი, თუმცა, მისი წარმომავლობა შეიძლება დაფუძნდეს საზოგადოების ჩამოყალიბების საწყისებში ადამიანის მხრიდან დასახული მიზნის მისაღწევად შიშის, დაშინების, როგორც იარაღის გამოყენებას. ტერორიზმის განვითარების ისტორია სხვა მახასიათებლებთან ერთად კვლევის ავტორს გადმოცემული აქვს 2018 წელს გამოცემულ ნაშრომში.¹

ტერმინი „ტერორი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „terror“, რაც ნიშნავს დაშინებას ან თავმარდაცემას². ფრანგულ სუფიქს ისმე-სთან ერთად (პრაქტიკაში გაგარება), აღნიშნული ტერმინი გულისხმობს შიშისა და პანიკის

¹ სუჯაშვილი დ., „საერთაშორისო ტერორიზმის ანაგომია და საქართველო“. გვ. 85-117

² Chaliand G., Blin A., The History of Terrorism from Aniquity To Al Qaeda. London: University of California Press, Ltd., 2007, გვ. vii

დათესვას. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის 105 წელს, ძველ რომში, „terror cimbricus“ აღნიშნავდა ბარბაროსული გომების შემოსევებისა და მასობრივი მკვლელობების საპასუხოდ შემოღებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას.

ტერმინი „ტერორიზმი“ გავრცელდა 1793-1794 წლებში საფრანგეთის რევოლუციის დროს არსებული ტერორის³ შედეგად.⁴ ამბოხებული იაკობინელები აღნიშნულ ტერმინს თავიანთი ქმედებების აღსაწერად გამოიყენებდნენ. რევოლუციის შედეგად, ტერორმა მთელ საფრანგეთში ფართომასშტაბიანი ძალადობის სახე მიიღო. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, თითქმის 40 000 ადამიანი დაიღუპა. 1793 წლის საფრანგეთის ეროვნული კონვენტის მიერ ტერორიზმი „ღლის წესრიგად“ გამოცხადდა. 1794 წელს, საფრანგეთის რევოლუციის ლიდერმა, მაქსიმილიან რობესპიერმა განაცხადა: „ტერორიზმი – სამართლიანობაა“.⁵ 1798 წელს გამოცემულ Académie Française-ის ლექსიკონში დაფიქსირდა „ტერორიზმის“ პირველი ოფიციალური განმარტება, რომლის მიხედვით, „ტერორიზმი“ „ტერორის მმართველობას“⁶ ნიშნავდა, მაგალითად კი მოყვანილი იყო რობეს პიერის მმართველობის მეთოდი, რაც რევოლუციის მტრების მიმართ სასტიკ მოპყრობაში მდგომარეობდა. ეს მეთოდი გადამღები აღმოჩნდა ოპოზიციისთვისაც, რომელიც პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ტერორს არ თაკილობდა.

პარიზის კომუნის ხანმოკლე მმართველობის დროს (1871 წელი) ფართოდ გამოიყენებოდა ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი – მძევლების აყვანა⁷. მიუხედავად იმისა, რომ „ტერორის მმართველობა“ საფრანგეთის მთავრობის ქმედებების შედეგი იყო, თანამედროვე განსაზღვრებით, ტერმინი „ტერორიზმი“ აღნიშნავს სამთავრობო ან არასამთავრობო პოლიტიკური აქტორების მიერ ადამიანების მკვლელობა/განადგურებას სხვადასხვა, როგორც წესი,

³ დაახლოებით 10-თვიანი პერიოდი, რომლის დროსაც მოწინააღმდეგე ურაქციები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებოდნენ.

⁴ Chaliand G., Blin A., The History of Terrorism from Aniquity To Al Qaeda. London: University of California Press, Ltd., 2007, გვ 95-97

⁵ აღნიშნულ საკითხზე ვერლად Andress, D., The Terror: The Merciless War for Freedom in Revolutionary France, First Edition, 2007

⁶ Système, régime de la terreur – ეს არის პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ხელისუფლება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ძალადობრივ მეთოდებს იყენებს.

⁷ სუჯაშვილი დ., „სახელმწიფო ტერორიზმის ზოგიერთი ფორმის ისტორიული ასპექტები“, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, №34, თბ. 2016, გვ. 234.

პოლიტიკური მიზნების გამო. აღნიშნული ინტერპრეტაცია გავრცელდა 1870-იან წლებში რუსი რადიკალების მიერ⁸, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად უფრო ეფექტურ საშუალებად გეროროისტულ ქმედებებს მიიჩნევდნენ.

თანამედროვე სამეცნიერო ლიგერატურაში ტერმინ „ტეროროიზმი“ 200-ზე მეტი განმარტებიდან დაახლოებით 90 ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მიერ. ლეიღენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) მკვლევარების, ალექს შმიდისა და ალბერტ იონგმანის მიერ 1988 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით⁹, განმარტებებში ფიგურირებს: ძალადობის კონცეფცია – 83.5%, პოლიტიკური მიზნები – 65%, შიშისა და ტერორის წარმოქმნა – 51%, თვითნებობა და სამიზნეების განურჩევლად შერჩევა – 21%, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ნეიტრალურად განწყობილი პირების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები კი – 17.5%.¹⁰ თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორის, არიელ მერარის მიერ 1993 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში სამართლებრივ განმარტებებში იკვეთება ტეროროიზმის სამი საერთო ელემენტი, კერძოდ: 1) ძალადობის გამოყენება; 2) პოლიტიკური მიზნები; 3) ძალადობრივი ქმედებების შედეგად სამიზნე ჯგუფებში პანიკური შიშის დანერგვა.¹¹

წლების მანძილზე, სხვადასხვა კვლევითი ცენტრები და ცალკეული ექსპერტები ცდილობდნენ, განესაზღვრათ, თუ რა არის „ტეროროიზმი“, თუმცა ტეროლოგიაში (მეცნიერება ტეროროიზმის შესახებ) უნივერსალური და საყოველთაოდ მისაღები განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს. მსოფლიო ისტორიაში ტეროროიზმის სხვადასხვა ფორმით გამოვლენის მრავალი ფაქტის არსებობის მიუხედავად, დღეისათვის ტეროლოგია, როგორც მეცნიერება, საკმარისად განვითარებული არ არის. „ტეროროიზმის“ სამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებითაც კი, სამეცნიერო

⁸ ცნობილი რუსი ნიჰილისტი, რევოლუციონერი და რუსული რევოლუციური ტეროროიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი სერგეი ნეჩაევი (1847-1882).

⁹ კვლევაში გაანალიზდა „ტეროროიზმის“ ასობით ოფიციალური და აკადემიური განმარტების ძირითადი კომპონენტები.

¹⁰ Schmid A.P., Jongman A.J., Political Terrorism. Amsterdam: North Holland Publishing Company, 1988, გვ 5-6

¹¹ Chaliand G., Blin A., The History of Terrorism From Aniquity To Al Qaeda. London: University Of California Press, Ltd., 2007, გვ. 14

წრეებში საერთო აზრი არ ჩამოყალიბებულა. თუ ტეროლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის ტერორიზმის უნივერსალური განსაზღვრების შემუშავება და საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელ ასპექტზე შეთანხმება, ტეროლოგთა მეორე ნაწილისთვის „ტერორიზმის“ სრულყოფილი განსაზღვრების შემუშავება ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობაა.

ქვემოთ ჩამოთვლილია მეცნიერებისა და ინსტიტუციების ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება:

- **ბრიუს ჰოფმანი** (აშშ-ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ანალიტიკოსი): „ტერორიზმი პოლიტიკურია მიზნებითა და მოტივებით, ძალადობრივი - ქმედებით, შორს მიმავალი ფსიქოლოგიური გეწოლის ამოცანებით, რომლებიც გათვლილია არა უშუალო მსხვერპლზე, არამედ სამიზნე ჯგუფებზე.“¹²

- **ალექს შმიდი და ალბერტ იონგმანი** (ნიდერლანდების ლეიდენის უნივერსიტეტის მკვლევარები): „ტერორიზმი არის პოლიტიკური მიზნებისთვის, პერმანენტული შიშის მომგვრელი ძალადობრივი ქმედებები, ჩადენილი ნაწილობრივ ან მთლიანად გასაიდუმლოებული ინდივიდის, ჯგუფის, ან სახელმწიფო სტრუქტურის მიერ, რომლის დროსაც - განსხვავებით სისხლის სამართლის დანაშაულისა, ძალადობის პირდაპირ სამიზნეებს არ წარმოადგენს უშუალო მსხვერპლი, არამედ გათვლილია კონკრეტული მესიჯების გავრცელებისა და მოსახლეობის ფართო მასებში შიშის დათესვაზე.“¹³

- **იონა ალექსანდერი** (აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში): „ტერორიზმი წარმოადგენს საზოგადოების დაშინებას და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძალადობის გამოყენებას შემთხვევითი სამოქალაქო სამიზნეების მიმართ.“¹⁴

¹² Bruce Hoffman, “Defining Terrorism,” in *Terrorism and Counterterrorism: Understanding the New Security Environment, Readings and Interpretations*, Russell D. Howard and Bruce Hoffman (New York, NY: McGraw-Hill, 2012), 33.

¹³ Schmid, Alex, & Jongman, Albert (1988). *Political Terrorism: A New Guide to Actors, Authors, Concepts, Data Bases, Theories, and Literature*. Amsterdam: North Holland, Transaction Books, p. 28.

¹⁴ Alexander, Yonah (1976). *International Terrorism: National, Regional and Global Perspectives*. New York: Praeger, p. xiv.

- **ერთა ლიგის კონვენციის განმარტება (1937):** „ტერორისტულ აქტად ითვლება ყველა ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ცალკეულ პირთა, პირთა ჯგუფის ან ფართო საზოგადოების ცნობიერებაში წარმოქმნას ტერორის შეგრძნება“.¹⁵

- **ევროპული კავშირის შეფასება:** „ტერორიზმი არის ქმედება, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“.¹⁶

- **აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის განმარტება:** „ტერორიზმი წარმოადგენს პოლიტიკური, რელიგიური, ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად უკანონო ძალადობის მიზანდასახულ გამოყენებას ან შიშის დასაწერად მისი გამოყენების მუქარას მთავრობასა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად“.¹⁷

- **კოფი ანანი (გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი):** „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის ფუნდამენტურ პრინციპებზე“.¹⁸

- **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტება:** „ქვეყნოვნული და ფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაგეგმილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“.¹⁹

- **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო:** „ტერორიზმი არის: ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი. ქმედება, რომელიც

¹⁵ League Convention (1937). Convention for the Prevention and Punishment of Terrorism. Article 1(2)

¹⁶ წყარო: <http://www.statewatch.org/news/2002/jul/frameterr622en00030007.pdf>,

უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 20.04.2016

¹⁷ “Terrorism,” United States Army Combined Arms Center

<http://usacac.army.mil/cac2/call/thesaurus/toc.asp?id=29533>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 20.04.2016

¹⁸ წყარო:

<https://www.un.org/sg/en/content/sg/speeches/2002-10-04/statement-kofi-annan-security-council-commemorate-one-year>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 20.04.2016

¹⁹ “Country Reports on Terrorism 2012,” U.S. Department of State

<http://www.state.gov/documents/organization/210204.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 23.04.2016

განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად. ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ და ხორციელდება ქვეუროვნული ღაჯგუფების მიერ“.²⁰

- აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო: „ტერორიზმი არის უკანონო ძალადობა მიმართული ადამიანის ან საკუთრების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დააშინოს და აიძულოს სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მხარდასაჭერად“.²¹

- არაბული კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ:²² „ტერორიზმი არის ნებისმიერი აქტი ან ძალადობის მუქარა, მიუხედავად მისი მოტივებისა ან მიზნებისა, რომელიც ინდივიდუალური ან კოლექტიური ფორმით მიმართულია საზოგადოებაში შიშის დასაწერად, ფიზიკური ზიანის მისაყენებლად ან სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ხელყოფის მიზნით. ასევე ყველა ის ქმედება, რომლის შედეგად საფრთხე ემუქრება გარემოს, კერძო და საჯარო საკუთრებას და ეროვნულ რესურსებს“.

ფაქტია, რომ ტერორიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ ძალადობას. ძალადობის ფორმის მიუხედავად – იქნება ეს აფეთქება, მკვლელობა თუ თვითმფრინავის გატაცება, ტერორისტების მოქმედების მიღმა ყოველთვის იმალება კონკრეტული სტრატეგია პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ტერორიზმი არ არის შემთხვევითი, მოუძმადებელი ან ბრმა აქტი. ის არის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული, წინასწარ კარგად გათვლილი ძალადობა.

ტერორიზმის მრავალწახნაგიანობას მიანიშნებს 1974 წელს პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერის, იასერ არაფატის მიერ

²⁰ “How do you define terrorism?,” Central Intelligence Agency
<https://www.cia.gov/news-information/cia-the-war-on-terrorism/terrorism-faqs.html>,

უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 23.04.2016

²¹ წყარო: <https://www.fbi.gov/stats-services/publications/terrorism-2002-2005>,

უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 23.04.2016

²² Arab Convention for the Suppression of Terrorism (1998). Arab Convention on Terrorism. Cairo:

Council of Arab Ministers of the Interior and the Council of Arab Ministers of Justice.

http://www.unodc.org/images/tldb-f/conv_arab_terrorism.en.pdf უკანასკნელად

გადამოწმებულ იქნა – 23.04.2016

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიგყვით გამოსვლისას გაკეთებული განცხადება: „ის, ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, მეორე ადამიანისთვის – თავისუფლებისთვის მებრძოლია“.²³

საერთაშორისო თანამეგობრობას ისტორიულად ჰქონდა მიზანი, ჩამოეყალიბებინა „ტერორიზმის“ საერთაშორისო განმარტება. 1937 წელს ერთა ლიგამ შეიმუშავა ტერორიზმის პრევენციისა და რეპრესიის (დასჯის) შესახებ კონვენცია, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, ტერორიზმში ბრალდებული პირების გასამართლების იურისდიქციით.²⁴ კონვენციის მიღება 1934 წელს მარსელში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და იუგოსლავიის მეფის მკვლელობის ერთგვარი პასუხი იყო. კონვენცია მიზნად ისახავდა ტერორისტული აქტის ღეფინიციასა და მისი განხორციელების სანქცირებას, თუმცა მონაწილე წევრი ქვეყნების მხრიდან არაერთსულოვანი დამოკიდებულებისა და ამრთა სხვადასხვაობის გამო, ეს კონვენცია ძალაში არ შევიდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ტერორიზმის სამართლებრივი განმარტების ჩამოყალიბების სირთულე.²⁵

ტერორიზმის ცნების იურიდიული განსაზღვრების პირველი მცდელობა დაფიქსირდა ქ. ბრიუსელში გამართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე 1930 წელს.²⁶ წარმოდგენილი რეზოლუციის პოზიცია ნათლად იკითხება მის პირველ მუხლში: ისეთი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ წარმოშვან საერთო საფრთხე,

²³ აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს 2001 წლის 21 დეკემბერს პალესტინაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა. გამოკითხულ პალესტინელთა 98,1%-მა მიიჩნია, რომ 1994 წელს ჰებრონში, ალ იბრაჰიმის მეჩეთში, ბარუხ გოლდშტეინის მიერ 29 პალესტინელის მკვლელობა უნდა შეფასდეს, როგორც „ტერორიზმი“, ხოლო იმავე რესპოდენტთა 82,3% არ დაეთანხმა, ან კატეგორიულად არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ თელ-ავივის დელფინარიუმში თვითმკვლეელი პალესტინელის მიერ განხორციელებული აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა 21 ახალგაზრდა ებრაელი, შეფასდეს, როგორც „ტერორიზმი“.

²⁴ Thomas Weatherall, „The status of the prohibition of terrorism in International Law: Recent development“, Georgetown Journal of International Law, Vol. 45, 2015, გვ 591

²⁵ Viridiana Molinara Hassan, „Terrorismo: Registros Jurídicos y debates doctrinales“ in Joan Lluís Pérez Francesch, Viridiana Molinara Hassan, EN defensa del Estado de Derecho, Estudios sobre las tensiones entre la seguridad y la libertad en el mundo de hoy, Universidad del Norte Editorial, 2016, გვ 193-194

²⁶ Saul B., Attempts To Define „Terrorism“ In International Law. Netherlands International Law Review., 2005, გვ. 59

ყოველ ჯერზე დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, სხეულის ხელშეუხებლობას, ადამიანის ჯანმრთელობას, ან ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ფასეული სიკეთეების განადგურებას, კერძოდ:

- ხანძრის მიზანმიმართული გაჩენა, აფეთქება, დატბორვა, მხუთავი და სასიკვდილო ნივთიერებების გავრცელება, ისეთი სიგნალების, ფარნების, ნაგებობების ან მოწყობილობების ნგრევა და მწყობრიდან გამოყვანა, რომლებიც გამოიყენება ხანძრის ჩასაქრობად და ადამიანთა გადარჩენისათვის;

- გრანსპორტის, კომუნიკაციების, რკინიგზის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ფოსტის ნორმალური მუშაობის თვითნებური შეყოვნება, ჰიდრაულიკური დანადგარების, განათების, გათბობის ან საზოგადოებრივი მოხმარებისა და დანიშნულებების საგნების მიზანმიმართული მწყობრიდან გამოყვანა;

- სასმელი წყლის ან პირველადი აუცილებლობის საკვების წაბილწვა, გაუჟჭება ან მოწამვლა, ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების ან მიწათმოქმედებისა და საცდო მუერნობისათვის პირველადი მნიშვნელობის მცენარეთა დაავადებების გამოწვევა ან გავრცელება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1971 წლის 2 თებერვალს, სახელმწიფოები კვლავ დაუბრუნდნენ ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებას. კერძოდ, მიღებული იქნა პირველი საერთაშორისო კონვენცია „ტერორისტული აქტების პრევენციისა და დასჯის შესახებ“. კონვენცია ეხება ტერორისტულ აქტებს, რომლებიც ჩადენილია ადამიანების წინააღმდეგ, რაც გათვალისწინებულია ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებით, თუმცა აგარებენ საერთაშორისო ხასიათს.²⁷ კონვენციით გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: მკვლელობა, გაგაცემა, გამოძალვა და ასევე ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფა.

1972 წლის დეკემბერში, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო №3034 რეზოლუცია ტერორიზმისა და სხვა ფორმის ძალადობის შესახებ. აღნიშნული

²⁷Convention to Prevent and Punish the Acts of Terrorism, February 2, 1971 <http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-49.html>, უკანასკნელად გადამოწმდა_ 23.04.2018

რეზოლუციის მე-9 პუნქტის შესაბამისად, 1973 წელს შეიქმნა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კომიტეტი.²⁸

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 28-ე სესიაზე, „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ“ მიღებული კონვენციით, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებზე ახალი დამატებითი სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდა.

ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენცია ასევე შემუშავებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ 1977 წლის 27 იანვარს, ქ. სტრასბურგში.²⁹ საერთაშორისო სამართლებრივი ტექსტების შემუშავებას არ გადაუჭრია ტერორიზმის განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემები. „ტერორიზმის“ უნივერსალური განმარტების შემუშავების საკითხი დღემდე დღის წესრიგშია, თუმცა, მაინც არსებობს ყველაზე გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული შემდეგი დეფინიცია:

ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედების გამოყენება, (როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტების დროს), რათა წარმოიქმნას შიში - პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური (მსოფლმხედველობრივი, სოციალური და პოლიტიკური) მიზნების მისაღწევად. ტერორისტული აქტი მიმართულია სამოქალაქო სამიზნეების (მშვიდობიანი მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და/ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები) წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მაქსიმალურ რეზონანს და ყურადღების მიპყრობას.

ტერორისტული ორგანიზაცია - უკანონო, არაოფიციალურად მოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც, ძირითადად, შედგება ტერაქტის დაგეგმვის, მისი მომზადებისა და უშუალო შემსრულებელი რგოლებისაგან. ტერორისტულ ორგანიზაციას, შესაძლოა, ჰქონდეს სხვადასხვა სახის სტრუქტურული მოწყობა, მაგალითად:

- იერარქიული (ილენტიფიცირებადი - ვერტიკალური სტრუქტურა);

²⁸ Measures to Prevent International Terrorism Which Endangers or Takes Innocent Human Lives or Jeopardizes Fundamental Freedoms <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/270/64/IMG/NR027064.pdf?OpenElement>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.04.2016

²⁹ European convention on the Suppression of Terrorism, <https://rm.coe.int/16800771b2>

- **ჰორიზონტალური** (სტრუქტურა, სადაც ლიდერები ძნელად იდენტიფიცირებადია და არ თამაშობენ მთავარ როლს);

- **ქსელური** (სტრუქტურა, სადაც ორგანიზაცია შესაძლოა შედგებოდეს, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ჯგუფების, ისე დამოუკიდებლად მოქმედი, ე.წ. „მარტოხელა მგელი“ გერორისგებისგან).

ხშირ შემთხვევაში, გერორიზმში მოიცავს ძალის ასიმეტრიულ გამოყენებას. ასიმეტრიული ომი წარიმართება უთანასწორო მხარეებს შორის, სადაც ნაკლებად ძლიერი ძალა ომის წესების დაუცველად ესხმის თავს უფრო ძლიერ ძალას, რადგანაც პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებში უსათუოდ დამარცხდება.

გერორიზმის წარმოშობასა და განვითარებას ხელს უწყობს რთული სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პრობლემების ნაკრები, გერორისგები თვითონ საკმაოდ იშვიათად მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ხელს უწყობენ ხელისუფლებაში ისეთი პიროვნებებისა თუ ძალების მოსვლას, რომლებიც, საბოლოო ჯამში, როგორც წესი, მათზე მეტ ექსტრემისტულ გვევლინებიან.³⁰

განვიხილოთ **გერორიზმის მიზნები და ამოცანები**. არსებობს მთელი რიგი დამახასიათებელი ელემენტებისა, რომლებიც უნივერსალურია თანამედროვე გერორისგული მოქმედებებისათვის, ესენია:

- ძალადობა, როგორც სამიზნე ობიექტზე ზემოქმედების/იძულების საშუალება (აფეთქების მოწყობის ან შეიარაღებული თავდასხმის გზით).³¹ - მაქსიმალური რეზონანსის გამოსაწვევად სამიზნის შერჩევა, რაც ნიშნავს სამიზნეზე შეტევის განხორციელებას ისე, რომ მას მოჰყვეს ინციდენტის მაქსიმალური გაშუქება მედიის საშუალებებით.³²

³⁰მაგალითად:1917 წელს, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის(ესერების) გერორისგულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლაში.

³¹უმეტეს შემთხვევაში, სამიზნეს წარმოადგენს არა გერორისგული შეტევისას დალუქული ან დაჭრილი, არამედ კონკრეტული ქვეყნის მთავრობა, რათა მოხდეს მისი მხრიდან გარკვეული ქმედებების ინსპირირება ან შეჩერება.

³²აღნიშნული ტაქტიკა განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა 1993 წელს მსოფლიო საავტორო ცენტრში განხორციელებული აფეთქებისას და 1972 წელს მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მძევალთა აყვანისას.

- გერორისტული აქტები უმეტესად საჯარო ადგილებში ხორციელდება, რა დროსაც შემსრულებლის იდენტიფიცირების შანსი მინიმალურია. აფეთქებით გამოწვეული მაქსიმალური გამოხმაურება მედიის საშუალებებში დამოკიდებულია ინციდენტის ადგილისა და დროის სწორად შერჩევაზე. როგორც წესი, სამიზნეს აქვს სიმბოლური დატვირთვა. არჩევანი კეთდება საელჩოებზე, მსოფლიოში ცნობილ ტურისტულ ობიექტებსა და მსგავს ადგილებზე.

- თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც საშუალებას აძლევს შემსრულებელს ან შემსრულებელთა ჯგუფს, წინასწარ დააპროგრამონ და გამოიწვიონ ასაფეთქებელი ნივთიერებების სინქრონული დეტონაცია. მოქმედების აღნიშნული ტექნიკა დიდ უპირატესობას ანიჭებს თავდამსხმელს, რადგან მას შერჩეული ადგილის დატოვება აფეთქებამდე დიდი ხნით ადრე შეუძლია. გერორისტული ქმედებების სიას განეკუთვნება ადამიანის გაგაცემა, თავდასხმა და მკვლელობა, რაც ბუნებრივად იწვევს განვრცობით რეზონანსს, თუმცა, თავდამსხმელისათვის მაღალი რისკის შემცველია.³³

- გერორისტები აქტიურად იყენებენ მოულოდნელობის ეფექტს, რათა გვერდი აუარონ თავდაცვითი სქემებს და იერიში მიიტანონ საგანგებოდ დაცულ სამიზნეებზე. დაცვის წევრების რაოდენობის გაზრდის, უსაფრთხოების ელექტრონული სისტემების არსებობისა და თავდაცვითი პერიმეტრის გაფართოების შემთხვევაშიც კი, მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით შესაძლებელია მაღალი დონის თავდაცვითი სისტემებისა და მოწყობილობების მწყობრიდან გამოყვანა და ადამიანური ფაქტორის განეგრძალება. კარგად დაცული სამიზნეების თავდაცვითი სისტემებიც კი შესაძლებელია შესუსტდეს დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში, სანამ გერორისტები გაააქტიურებენ მოქმედებას.³⁴

³³ გერორისტული ქმედებები გარკვეული ციკლური კანონზომიერებით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ განხორციელებულმა გაგაცემათა სერიამ შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების ინტერესის კლება და საბოლოოდ ინერტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაც კი ყოველი მომდევნო ინციდენტის მიმართ, რომელიც შექდებოდა ბეჭდური მედიის პირველ ფურცლებზე, სატელევიზიო ახალი ამბების გამოშვებებსა და ინტერნეტ-პორტალებზე. მაგალითად: აფეთქებების სერიის მოწყობისას ტექნიკის ცვლილება გამოიწვევს გაცილებით დიდ მედიარეზონანსს, ვიდრე მორიგი ადამიანის გაგაცემის ინციდენტი. გერორისტებს სურთ, იყენონ აქტუალური, ამიგომაც მიმართავენ თავდასხმების ტექნიკის ცვლილებას მაქსიმალური რეზონანსის მისაღწევად.

³⁴ გერორისტული ორგანიზაცია ახორციელებს შეტევას (მათ შორის, თვითმკვლეელი გერორისტის გამოყენებით) იმ დროს, როდესაც თავდაცვითი სისტემა შედარებით შესუსტებულია.

- მუქარა, შევიწროება და ძალადობა - ძირითადად ეს არის ტერორისტების იარაღი. ცალკეულ შემთხვევებში, ტერორისტებმა შეძლეს მცირე აფეთქებითი მუხტის მქონე ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და თვითააღებადი საშუალებების განთავსება სავაჭრო ცენტრებსა და კინოთეატრებში.³⁵ მიუხედავად ტერორისტული აქტის გამომწვევი მიზეზისა, ადგილისა და ღრისა, მხოლოდ ასეთი ქმედებების მოლოდინის შესახებ საფრთხის არსებობაც კი საკმარისია გალლის ეფექტის მსგავსად მოსახლეობაში შიშის განცდის გასავრცელებლად და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მუხტის შესაგანაღ.

- შეტევის ადგილის შერჩევა, სადაც სამიზნეს ქალები და ბავშვები წარმოადგენენ. ასეთ ინციდენტს აუცილებლად მოჰყვება სამოგადოების უკიდურესი აღშოთება და შიში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება დაჭრილ და გარდაცვლილ უდანაშაულო მსხვერპლთა ამსახველი კადრებისა და სიუჟეტების გავრცელება.

- პროპაგანდის გამოყენება, რასაც მიმართავენ ძალადობის ეფექტის გასაძლიერებლად, რათა საბოლოოდ მიღწეული იქნეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნები. კონკრეტული ტერორისტული ოპერაციის ჩატარება გამოსმაურების გარეშე არადამახასიათებელი და წამგებიანია ტერორისტებისათვის.³⁶ პოლიტიკური თვალსაზრისით, კონკრეტულ დაჯგუფებას სურს აჩვენოს, რომ იგი სიცოცხლისუნარიანი ორგანიზაცია და ანგარიშგასაწევი ძალაა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ეკონომიკური თვალსაზრისით კი, იმავე დაჯგუფების სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებსა და კერძო ჯგუფებს შემდგომი დაფინანსების სურვილი გაუხანგრძლივოს. ლოიალურობა საკუთარი ორგანიზაციის წევრთა და მონათესავე ტერორისტულ დაჯგუფებათა მიმართ იყო და,

³⁵ მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში ეგვიპტეში ანგისამთავრობო ტერორისტული უჯრედების მიერ განხორციელდა თავდასხმები ტურისტულ ჯგუფებზე, რომლებიც პირამიდებისა და სხვა ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად იყვნენ ჩასულები.

³⁶ „შავი სექტემბერი“ მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე 1972 წელს და სხვა მსგავსი დაჯგუფებები მძევლების აყვანითა და შემდგომ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების გზით ცდილობდნენ ფართო რეზონანსის გამოწვევასა და პოლიტიკური მიზნების მიღწევას, ასევე საკუთარი გაგვლის გაძლიერებასა და ცნობადობის ამაღლებას მსოფლიო მასშტაბით.

რიგ შემთხვევებში, ამჟამად არის გერორისტული ორგანიზაციების გამაერთიანებელი ელემენტი. სწორედ ეს აკავშირებს მთელ რიგ, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით შექმნილ ორგანიზაციებს. თუმცა, უკანასკნელ წლებში, მეორე და მესამე თაობის გერორისტულმა ორგანიზაციებმა შეამცირეს ლოიალური დამოკიდებულება ამავე ორგანიზაციის პირველი თაობის გერორისტების მიმართაც კი. პარალელურად, თანამედროვე გერორისტულმა დაჯგუფებებმა შეცვალეს თავიანთი პირვანდელი მიზნები და დღეს გერორისტული აქტი გერორისტული ორგანიზაციების თვითდამკვიდრების საშუალებაა.

1.2. თანამედროვე გერორიზმის ფორმები, სახეები და დაჯგუფებები

თანამედროვე გერორიზმი შესაძლებელია ორ კატეგორიად დავყოთ:

I - ლოკალური გერორიზმი გულისხმობს გერორისტულ საქმიანობას ქვეყნის მასშტაბით, მაგალითად, სეპარატისტული მოძრაობების მხრიდან გერორიზმის გამოყენება ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ.

II - საერთაშორისო (გლობალური) გერორიზმი გერორიზმის ის ნაირსახეობაა, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. ლოკალური გერორიზმი, ამა თუ იმ სახით, წარმოდგენილია მრავალ ქვეყანაში. ძირითადად, ლოკალური გერორი ხორციელდება ეთნიკური ნიშნებით. ნაციონალურ-პოლიტიკურ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ისტორიულ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ან ავტონომიის გაფართოების მიღწევას, რიგ შემთხვევებში მიმართავენ ნაციონალურ გერორიზმს³⁷. ასეთი სახის გერორიზმი ორიენტირებულია ხან მემარცხენე (ბასკური „ეტა“), ხან მემარჯვენე (კორსიკელი გერორისტები) იდეოლოგიაზე, იმისდა მიხედვით, თუ რა გრადიციებს ემყარება და რა პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობაა არსებულ მომენტში.

³⁷ ნაციონალური გერორიზმი - ჩადენილი სეპარატისტული ძალების მიერ.

მემარცხენე ორიენტაციის მქონე გერორისტები უპირატესობას ანიჭებენ მაღალი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ ჩადენილ ტერაქტებს, რასაც ამართლებენ რევოლუციური იდეოლოგიით. მემარჯვენე მიმართულების მქონე გერორისტები, როგორც წესი, ნაკლებად ასხვავებენ თავიანთ სამიზნეებს, მათი მსხვერპლი შესაძლოა გახდეს მოწინააღმდეგე ეროვნების ნებისმიერი წარმომადგენელი. ლოკალური ტერორიზმის ტიპის ორგანიზაციები შედარებით დიდხანს ახერხებენ არსებობას. ამის მაგალითია ირლანდიის რესპუბლიკური არმია. ასეთი ორგანიზაციები არსებობს თურქეთში (ქურთების მუშათა პარტია, პალესტინის გერორისტული ორგანიზაციები), ჩინეთში (უილურების გერორისტული ორგანიზაცია) და ა.შ.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ ტერორიზმმაც საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეს წარმოადგენს სახელმწიფოები, თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემითა და ამ სისტემისგან შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციებით. საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში ტერორისტული ორგანიზაციები, გრადიციული თვითმკვლეელი ტერორისტების გამოყენებასთან ერთად, მასობრივი განადგურების იარაღის (ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური) გამოყენების მუქარასაც მიმართავენ.

სამწუხარო ფაქტია, რომ რიგ შემთხვევაში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მომძღაწეების უკან, პირდაპირ თუ ირიბად, ზოგიერთი სახელმწიფოს მხარდაჭერა იკვეთება. სისხლის სამართლის სხვა დანაშაულების მსგავსად, ტერორისტული აქტების განხორციელება გარკვეული მიზნების მისაღწევად გამოიყენება. თუმცა, მათ განსაკუთრებული სპეციფიკა ახასიათებს. მეცნიერთა ნაწილი ტერორიზმს პოლიტიკურ მიზნებთან აკავშირებს, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობის გამძაფრებასთან, სახელმწიფო წესრიგის დესტაბილიზაციასთან და ა.შ.

ამ თვალსაზრისით, მოქმედება, რომლის მთავარი მიზანი პოლიტიკური არ არის, არ შეიძლება წარმოადგენდეს ტერორისტულ აქტს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავის გატაცებისას არ აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს

და მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევა სურთ, დანაშაული საერთაშორისო ტერორიზმად აღარ კვალიფიცირდება, ყოველივე ეს კი უპირისპირდება ტერორიზმის შესახებ სხვა დეფინიციებს. ტერორიზმის მხოლოდ პოლიტიკური მიზნის მიღწევის ჭრილში განსაზღვრის შემთხვევაში, ყველა სხვა ძალადობრივი ქმედება, მაგალითად, სოციალური, რელიგიური და სხვა, ტერორიზმად აღარ უნდა შეფასებულიყო.

გემოაღნიშნული ორი კატეგორია ერთმანეთისგან შინაარსითა და მნიშვნელობით რადიკალურად განსხვავდება, თუმცა, იმავდროულად, ტერორისტული აქტის განხორციელების პროცესში მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მოსახლეობაში შიშის ბრდა ნებისმიერი ტერორისტული აქტის შედეგია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზანი.

ტერორისტების საბოლოო განზრახვა ყოველთვის კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური ან სხვა შინაარსის შედეგების მიღწევაა. შესაბამისად, შიშის დათესვა არის მოკლევადიანი მიზანი, რომელიც სასურველი შედეგის მიღწევისთვის გამოიყენება.³⁸

ტერორიზმის საფუძველი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობრივ და განსხვავებულ ხასიათში მდგომარეობს. სწორედ ამიტომ ხდება ტერორიზმის გამოვლინება სხვადასხვა ფორმით და მას მრავალი სახე აქვს. ტერორიზმის სახეებს შორის კავშირი კონკრეტულ მოქმედებებში, მიზანსა და მისი რეალიზაციის სფეროში გამოიხატება. ამ ეტაპზე, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ძირითადად გამოიყენება მოქმედებების შემდეგი ფორმები:

- ტერორიზმი პოლიტიკური მოტივით;
- კრიმინალური ტერორიზმი - ჩადენილი ორგანიზებული, დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ. ასეთი დაჯგუფება შეიძლება იყოს საერთაშორისო და/ან შიდასახელმწიფოებრივი;
- ნაციონალური ტერორიზმი - ჩადენილი სეპარატისტული ძალების მიერ;
- საჰაერო ტერორიზმი;

³⁸ Lesser I.O., Hoffman B., Arquilla J., Ronfeldt D., Zenini M. Countering The New Terrorism. Washington D.C.: RAND., 1999, გვ. 12

- საზღვაო ტერორიზმი;
- საერთაშორისო ტერორიზმი.

განსხვავებულად ყოფს ტერორიზმის სახეებს ექსპერტების გარკვეული ჯგუფი. კერძოდ, მათი განმარტებით არსებობს:

- **იდეოლოგიური ტერორიზმი**, რომელიც შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიით იყოს წარმოდგენილი. თავდაპირველად რადიკალური იდეოლოგია აკუმულირდება და დომინირებას აღწევს საზოგადოების მასებში, ხოლო შემდგომ, ტერორის სახით გამოვლინდება მაშინ, როდესაც მისი რეალიზების სხვა გამოსავალი კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში არ არსებობს;

- **ეთნიკური ტერორიზმი**, მას ძირითადად მიმართავს ღაჩაგრული ერი, ეთნიკური ჯგუფი ან ცალკეული პირებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს სამართალს და მიისწრაფვის თვითგამორკვევისაკენ. ეთნოტერორიზმი ხშირ შემთხვევაში რასობრივ ხასიათს იღებს;

- **„რელიგიური ტერორიზმი“** - ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტერორისტული აქტი ჩადენილია რელიგიური მოტივით, სხვადასხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან. როგორც წესი, იგი სცილდება გრადიციულ რელიგიურ სწავლებას და ემყარება რელიგიის სუბიექტურ ინტერპრეტაციას ტერორისტების მხრიდან, რომლებიც საკუთარ ქმედებას ამართლებენ იმით, თითქოს ისინი „მხსნელები“ და „რჩეულები“ არიან. ამის კლასიკური მაგალითია თანამედროვე ისლამური ტერორიზმი. „ღმერთის ნების შესასრულებლად“ „რელიგიური ტერორიზმის“ მიმდევრები ხშირად მიმართავენ ძალადობას მოსახლეობის ფართო მასების წინააღმდეგ.³⁹

- **კრიმინალური ტერორიზმი**, რომელიც მოიცავს ორგანიზებული, კრიმინალური ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულებს;

- **ინდივიდუალური ტერორიზმი**, რომელიც გამოიხატება ცალკეული ინდივიდის დამოკიდებულებაში საზოგადოების სხვა წევრების მიმართ, მის სუბიექტურ, დაუსაბუთებელ, ირაციონალურ და იდეოლოგიურ პროტესტში. ასეთ

³⁹ რელიგიური ტერორიზმის მაგალითებია „ალ-ქაიდა“, „ჰამასი“, „ჰეზბოლა“, „აუმ-შინრიკოს კულგი“ და სხვ.

შემთხვევაში, ერთი ცალკეული პირი უპირისპირდება სამოგადოებას. ინდივიდუალური ტერორიზმი შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის ფსიქოლოგიური ტრავმით. გამოყოფენ ტერორიზმის შემდეგ სახეებს:

- **პოლიტიკური ტერორი** - ტერორის გამოყენებით ბრძოლა ხელისუფლებისათვის;
- **სახელმწიფო ტერორიზმი**;
- **„რელიგიური ტერორიზმი“**;
- **ანგარებითი ტერორიზმი**, რომლის ღროსაც დაინტერესებული კონკრეტული პირი ტერორიზმის გამოყენებით ცდილობს სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სამართლებრივი ღეგნის შეფერხებას (ნარკობიზნესი, ნარკობარონები, რეკეტი და ა. შ.);
- **კრიმინალური ტერორიზმი**, როდესაც ტერორს მიმართავენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები;
- **ნაციონალური ტერორიზმი**, რომელიც გამოხატულებას პოვნებს სეპარატიზმში;
- **იდეოლოგიური ტერორიზმი**, როდესაც ტერორისგული აქტი მიმართულია უტოპიური მიზნის მისაღწევად, მაგალითად, გარდაქმნას მსოფლიო. იდეოლოგიური ნიშნით მოქმედი ტერორისგული ორგანიზაციები განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ, რადგან მათ რიგებში ჭარბობენ ფანატიკოსი მორწმუნეები;
- **პარტიზანული ტერორიზმი**, რომლის საფუძველი საომარი ტერორიზმია, თუმცა საომარი მოქმედებების მსვლელობისას ან მათი დამთავრების შემდეგ ამოქმედებული პარტიზანული ჯგუფების მოქმედებას ხშირად ტერორისგული ხასიათი აქვს. ტერორიზმის მოცემული ტიპოლოგია არ არის ამომწურავი. არსებობს განსხვავებული ფორმით გამოვლენილი ტერორისგული აქტები, რომელთა შედეგი ასობით დამტყუპი ადამიანია. ტერორიზმის კლასიფიკაცია შეიძლება აგრეთვე მოხდეს მოქმედებათა მასშტაბის, შედეგის ხასიათის, მოტივის, მოქმედების ჩაღნის ხერხის, გამოყენებული იარაღისა და საშუალების, მონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზებულობის ხარისხის, ასევე, მრავალი სხვა კრიტერიუმის მიხედვით.

საჰაერო ტერორიზმს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაერო. სხვადასხვა წლებში მიღებული იქნა მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა თანამშრომლობას სწორედ ამ სფეროში ჩადენილი ტერორისტული აქტების აღკვეთაში.

საჰაერო ტერორიზმთან დაკავშირებული კონვენციებია:

- „საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.“⁴⁰

ეს კონვენცია ეხება საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულსა და ზოგიერთ სხვა ქმედებას.

- „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ.“⁴¹

რაც შეეხება საზღვაო ტერორიზმს, 1988 წლის 10 მარტს რომში მიღებული იქნა კონვენცია 11. „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“⁴², რომელიც აღგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ პირების მიმართ, ვინც საზღვაო გრანსპორტის ბორცზე სჩადის ნებისმიერ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს, ხელში იგდებს საზღვაო გრანსპორტს ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან დაშინების ნებისმიერი სხვა სახით, აგრეთვე, ვინც ახორციელებს ძალადობას ბორცზე მყოფი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, თუ ამ აქტებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას უსაფრთხო ნაოსნობას.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სანაოსნო ტერორიზმი და მეკობრეობა. ისტორიულად, ამ ტერმინით აღნიშნავდნენ არასახელმწიფო აქტორების მიერ საზღვაო თავდასხმებს. მეკობრე არის პირი, რომელიც ნებაყოფლობით ეწევა საზღვაო ყაჩაღობას, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა თუ რწმენისა. ზოგ შემთხვევაში, მეკობრეები გემის გვირით კი არ არიან დაინტერესებული, არამედ გემის პერსონალით და, როგორც წესი, ამ დროს ღიდ გამოსასყიდს ითხოვენ ხოლმე.

⁴⁰წყარო : <https://treaties.un.org/doc/db/terrorism/conv2-english.pdf>,

⁴¹იქვე

⁴²იქვე

საერთაშორისო ტერორიზმი ფარული ომია, თუმცა არა იმდენად ინტენსიური, როგორც ჩვეულებრივი საომარი მოქმედებები. საერთაშორისო ტერორიზმი ხშირად დაკავშირებულია რელიგიურ ფანატიზმთან, ნარკობიზნესთან და ნაციონალისტურ სეპარატიზმთან. იმისათვის, რომ ტერორიზმს მიეცეს საერთაშორისო ტერორიზმის კლასიფიკაცია, საჭიროა რამდენიმე ელემენტის არსებობა:

- ტერორისტული აქტის მსხვერპლნი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ;
- პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ტერორისტული აქტი, უნდა სარგებლობდეს საერთაშორისო დაცვით;
- ტერორისტული აქტი უნდა მომზადდეს ერთ, ხოლო განხორციელდეს მეორე ქვეყანაში;
- ტერორისტული აქტი უნდა განხორციელდეს ერთ სახელმწიფოში, ხოლო ტერორისტებმა თავი შეაფარონ სხვა სახელმწიფოს.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის მიზნებს და ცალკეულ ტერორისტულ აქტებს უფრო ფართო მასშტაბები აქვს, ვიდრე XIX-XX საუკუნეებში. დღეს საერთაშორისო ტერორიზმი ემუქრება უსაფრთხოებას ხმელეთზე, წყალში, ჰაერსა და მიწის ქვეშ. საერთაშორისო ტერორისტები ხშირად გადაადგილდებიან შეუმჩნევლად, ასაფეთქებელ მოწყობილობებს ამონტაჟებენ სხვადასხვა ობიექტებზე, განსაკუთრებით კი ხალხის მასობრივი თავშეყრის ადგილებში, იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს, იყვანენ მძევლებს, ფიზიკურად ანადგურებენ მოსახლეობასა და ისტორიულ არტეფაქტებს, წამლავენ საფოსტო გზაგზილებს და ა.შ. ტერორისტული აქტები ხორციელდება სადგურებზე, რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე, ქალაქების ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებში, სპორტულ არენებზე, საცხოვრებელ სახლებში და ა.შ.

შესაძლოა, კონკრეტულ ტერორისტულ ჯგუფს ფარულად იყენებდეს ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამ შემთხვევაში, ტერაქტების ორგანიზატორი კონკრეტული სახელმწიფოა, ხოლო ასეთი ჯგუფების წევრების დიდ ნაწილს ანგარება ან სხვა მოგივები ამოძრავებს.

ტერორიზმი შეიძლება აღმოცენდეს ისეთი მოტივის საფუძველზე, რომელსაც დღემდე ისტორიაში ადგილი არ ჰქონია. ტერორიზმი ყველა სხვა ძალადობრივი ქმედებისგან განსხვავდება. იგი მასობრივი შიშის, ფიზიკური და მატერიალური ღირებულებების განადგურების გამომწვევი დანაშაულებრივი მოვლენაა და არ შეიძლება გაიგივდეს მკვლელობასთან, ძალადობასთან და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან, რომლებიც თავისთავად შიშის გამომწვევია, მაგრამ არა იმ მასშტაბით და ხარისხით, როგორც ეს ტერორიზმს ახასიათებს.

ტერორიზმის ცენტრალური ელემენტი ტერორისტული აქტია. ტერორისტული აქტის კლასიკურ ვარიანტს აუცილებლად ძალადობრივი ქმედება, სიცოცხლის ხელყოფა ახასიათებს. ტერაქტი მიმართულია სახელმწიფოს, საზოგადოების, სხვა სახელმწიფოს ან ნებისმიერი პირის წინააღმდეგ. ტერორისტულ აქტს შემდეგი კონკრეტული ნიშნები ახასიათებს:

- ძალადობრივი ქმედება უნდა იყოს ჩადენილი კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ;

- ძალადობრივი ქმედება უნდა იყოს მიმართული მოსახლეობისა და სახელისუფლებო სტრუქტურების დაშინების და/ან ფართო საერთაშორისო ან საზოგადოებრივი რეზონანსის გამოწვევის მიზნით;

- ძალადობრივი ქმედების მიზანი უნდა იყოს კონკრეტული სახელმწიფოს და/ან ორგანიზაციის მიერ გარკვეული გადაწყვეტილების მიღების გაუქმება.⁴³

ნებისმიერი ტერორისტული დანაშაული და მასზე შემდგომი რეაგირება დამოკიდებულია ტერორისტული აქტის სამიზნეზე. კერძოდ, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ რისკენ არის იგი მიმართული⁴⁴, რათა შედეგად კანონით დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობა.

მთელ რიგ ქვეყნებში მიღებულია სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებს ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, ტერორიზმის

⁴³ Chaliand G., Blin A., The History of Terrorism From Aniquity To Al Qaeda. London: University Of California Press, Ltd., 2007, გვ. 8.

⁴⁴ სახელმწიფოს, მოქალაქეების მძევლად აყვანის, საჰაერო ხომალდის გატაცების, რადიოაქტიური ნივთიერების გატაცება/გამოყენების, აფეთქება/ცეცხლის წაკიდების თუ სხვა მოქმედებისაკენ ან მოქმედების მუქარისაკენ, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებას.

სრულყოფილი განმარტების არარსებობა ქმნის გარკვეულ სირთულეებს მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები აკავებენ დამნაშავეებს და წარადგენენ მათ სასამართლოს წინაშე. როგორც წესი, სასამართლო პროცესებზე ტერორისტები აცხადებენ, რომ ისინი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პოლიტიკური თუ რელიგიური დევნის ობიექტები არიან და მათ წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს სისხლის სამართალთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ტერორიზმს გამოარჩევს რამდენიმე მისთვის დამახასიათებელი ელემენტის ერთობლიობა: ტერორისტები, მათი მხარდამჭერები (ხელშეწყობები) და ტერორისტთა მსხვერპლი.

ტერორისტები წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც გეგმავენ, მონაწილეობენ და ახორციელებენ ტერორისტულ აქტს, რომელიმე დაჯგუფების სახელით ან კონკრეტული მიზნების გამო. თუმცა, ასევე, არსებობენ ტერორისტები, რომლებიც შემკვეთს სთავაზობენ საკუთარ მომსახურებას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

აღვნიშნავთ, რომ ტერორისტთა მხარდამჭერები წარმოადგენენ ცალკეულ პირებს, პირთა ჯგუფებს, ორგანიზებულ დაჯგუფებებს, სახელმწიფო ორგანოებსა და, რიგ შემთხვევებში, ცალკეული ქვეყნების მთავრობებსაც კი. შესაძლოა, არსებობდნენ ტერორისტთა აქტიური და პასიური მხარდამჭერები. პასიური მხარდაჭერაა ჯგუფის მიერ იდეოლოგიური სიმპათიის გამოხატვა. აქტიური მხარდაჭერა გულისხმობს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, იარაღით მომარაგებას, წვრთნის უზრუნველყოფას და უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყოფას.

ტერორისტების მსხვერპლი შესაძლოა იყოს ცალკეული პირი, პირთა ჯგუფი ან მთლიანად რასა, ეთნიკური ჯგუფი ან ერი. ტერორისტები სამიზნეს ირჩევენ გარკვეული მიზნების გამო ან ზოგჯერ, შემთხვევით. ადამიანებს, რომლებიც გახდნენ ტერორისტთა მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი, „ტერორიზმის მსხვერპლი“ ეწოდებათ.

ზოგადად, ტერორიზმის ცენტრალური შემადგენელი ელემენტი არის ცალკეული ტერორისტული აქტი ან მისი განხორციელების მუქარა, ხოლო უმთავრესი მიზანია, გავრცელდეს შიში, პანიკა, ქაოსი და მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების

პროვოცირება კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად, რაც ნიშნავს, რომ ტერორიზმი და ტერორი ერთმანეთისგან გამიჯნულია. ტერორი წარმოიქმნება ტერორისტული აქტის განხორციელების შედეგად, ხოლო ტერორიზმი, როგორც მოვლენა, შედგება ტერორისტული აქტების ერთობლიობისაგან.

ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციის ინტერესები და მიზნები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან⁴⁵, მაგრამ ყველა ტერორისტული ორგანიზაციისათვის ყოველთვის არსებობდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საერთო **ფაქტორები: რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი**. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

რადიკალიზმი⁴⁶ ნიშნავს თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად გადამჭრელი ზომების მიღებას, მათ შორის ძირეული პოლიტიკური რეფორმების გატარებას. ტერმინ „რადიკალიზმით“ ხშირად რეფორმატულ მოქმედებებს აღნიშნავენ. განსხვავებულია რადიკალიზმი, რომელიც რიგ შემთხვევაში ექსტრემიზმის სინონიმად გამოიყენება, თუმცა ექსტრემიზმისაგან განსხვავებით, რადიკალიზმს სხვა დატვირთვა აქვს.⁴⁷

რადიკალისტური ჯგუფებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ქმედითი ჩარევა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში გაბატონებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე გავლენის მოსახდენად, აქტიური მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში, ქვეყნის პოლიტიკური კურსის კორექტირებასა და ქვეყანაში ძირეული, მათთვის მისაღები პოლიტიკური ცვლილებების სტიმულირებაში. ხშირ შემთხვევაში, რადიკალიზმი ახასიათებს პოლიტიკურად ანგაჟირებულ, ოდიოზურ, ან ქარიზმატულ ადამიანებს. რადიკალიზმი ექსტრემიზმის გაღვივების, შემდეგ კი ტერორიზმის განვითარების საწინდარია.

⁴⁵ 1849 წელს გერმანელი კარლო გეინცენი ასაბუთებდა, რომ რადიკალური ექსტრემიზმი წარმოადგენდა ყოველდღიურად ანადგურებდნენ ჩაგრულებს, ამიტომ ამ უკანასკნელთა მკვლელობით უნდა ეპასუხათ. გეინცენის გამოთვლით, მზავრელთა კლასის ორი მილიონი წარმოადგენდა განადგურებას მოჰყვებოდა თანასწორობის დამყარებას.

⁴⁶ „რადიკალიზმი“ ლათინური სიტყვაა და განისაზღვრება, როგორც მტკიცე და შეუპოვარი მოქმედება

⁴⁷ McLaughlin P. Radicalism: A Philosophical Study. New-York: Palgrave Macmillan. 2012, გვ.: 6-9.

ექსტრემიზმი⁴⁸ გულისხმობს უკიდურესი შეხედულებებისა და ზომების გატარებას, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისი, იგი რადიკალიზმის განვითარებაა. ექსტრემისტები, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევენ ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც საკუთარ იდეებს განახორციელებენ.

საზოგადოებაში **ექსტრემიზმი** შეიძლება აღმოცენდეს და განვითარდეს განსხვავებული ფაქტორების ფონზე. ეს ფაქტორებია: სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, სახელისუფლებო სტრუქტურების პარალიზება, გოგალიტარული პოლიტიკური რეჟიმი, ოპოზიციური აზრის დევნა და სხვ. ექსტრემიზმი იდეოლოგიურად უარყოფს ნებისმიერ განსხვავებულ აზრს და შესაბამისად, ექსტრემისტული ორგანიზაციები, როგორც წესი, მხოლოდ ისეთ თანამოაზრეებს იკრებენ, რომლებიც დაუფიქრებლად შეასრულებენ ნებისმიერ ბრძანებას.

გეროლოგიაში ერთმანეთისგან განასხვავებენ სახელმწიფო და ოპოზიციურ ექსტრემიზმს. **სახელმწიფო ექსტრემიზმი** წარმოიქმნება სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში და მის საფუძველს იარაღი, დემაგოგია და რეპრესიები წარმოადგენს, ხოლო **ოპოზიციური ექსტრემიზმი** წარმოიქმნება ანტირეჟიმულ, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი დაპირისპირებულ ჯგუფებში, რომელთა ბრძოლის ძირითადი საშუალება გეროლისტული აქტებია.

ასევე, ცალკე გამოიყოფა **ნაციონალური ექსტრემიზმი**, რომელიც ხშირად დაკავშირებულია სეპარატიზმთან და მიმართულია მრავალეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ექსტრემისტული ორგანიზაცია მოქმედებს არალეგალურად, აწარმოებს პარტიზანულ ბრძოლას, აწყობს გეროლისტულ აქტებს, დივერსიებს და ამ გზით ცდილობს მიზნის მიღწევას. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, ცალკეული სახელმწიფოების საზოგადოების გარკვეული ფენებისთვის ექსტრემისტები გმირებადაც კი აღიქმებოდნენ.

თანამედროვე ექსტრემიზმს ხშირად თან სდევს ექსტრემისტული ჯგუფების გარდაქმნა ძლიერ და გავლენიან სტრუქტურებად, რომლებიც მიისწრაფვიან

⁴⁸ პოლიტიკური იდეოლოგიის განსხვავებული შეხედულებებისა და მოქმედებებისადმი თავდადებას ნიშნავს.

საერთაშორისო რეზონანსისაკენ, მოსახლეობის დაშინებისაკენ და ა.შ. უკიდურესობები, რომლებიც რადიკალიზმისა და ექსტრემიზმისათვის არის დამახასიათებელი, საბოლოოდ ფანატიზმად გრანსფორმირდება.

ფანატიზმი⁴⁹ მასის ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ფენომენია. ფსიქოლოგიურად, ფანატიკოსი ყოველთვის თავისი იდეების ერთგულია და მუდამ მზად არის, გახდეს ამ იდეების, საკუთარი შეხედულებებისა და შეფასებების თუნდაც მსხვერპლი. ფანატიკოსებს, რომლებიც მხარს უჭერენ ერთმანეთს, ემოციური ხასიათი აქვთ. მათთვის მიუღებელია კონსტრუქციული კრიტიკაც კი და ყველაფერს თავიანთი შეხედულებებისა და რწმენის პრიზმაში აღიქვამენ. ფსიქოლოგიურად ფანატიკოსები უმეტესად რადიკალიზმის იდეებსა და ექსტრემიზმს ეყრდნობიან, ამიტომ ფანატიზმი ხშირად ტერორიზმის საფუძველია. ფანატიკოსები ძალადობრივ ქმედებებს იდეების გავრცელების მიზნით სჩადიან. მოქმედი ტერორისტების უმრავლესობა ფანატიკოსია და არაფრად მიიჩნევს არსებულ იურიდიულ, ეთიკურ და მორალურ ნორმებს.⁵⁰

ფანატიზმი შეიძლება იყოს **რელიგიური, იდეური, პოლიტიკური ან პატრიოტული** შინაარსის.

რელიგიური ფანატიზმის საფუძველი არის რწმენა/ცრურწმენა. არასწორად და დამახინჯებულად აღქმული რელიგია (სექტები) და ფანატიზმი მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

იდეური ფანატიკოსები, როგორც წესი, წარმოადგენენ პირებს⁵¹, რომლებიც, მაგალითად, მსოფლიო რევოლუციის ან თავიანთი უტოპიური იდეების განსახორციელებლად, მზად არიან ნებისმიერი ძალადობრივი აქტის განსახორციელებლად და/ან ფიზიკური თავგანწირვისათვის.

პოლიტიკური ფანატიკოსები აყალიბებენ თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს და განსაზღვრავენ პოლიტიკურ სისტემას. პოლიტიკური ფანატიზმი, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ კავშირშია ტერორიზმთან, როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლის ან მისი განმტკიცება-შენარჩუნების საშუალებასთან.

⁴⁹ რელიგიური რწმენით, საქმით ან იდეით უკიდურესი გაგაცემა.

⁵⁰ Laqueur W. The New Terrorism: Fanaticism and the Arms of Mass Destruction. New-York: Oxford Univeristy Press. 2000

⁵¹ მაგალითად, სოციალისტური უტოპიის წარმომადგენლები – თომას მორი და შარლ ფურე

პატრიოტული ფანატიზმისთვის დამახასიათებელია ნაციონალური ამპარტავნებისა და ეროვნული შუღლის/შეუწყნარებლობის გაღვივება. პატრიოტული ფანატიზმი ხშირად ნაციონალიზმის უკიდურეს ფორმაში – **შოვინიზმში** გამოიხატება და ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთი საფუძველია.

გერორისტული აქტების რაოდენობის/შემთხვევების ბრდის მიზგზი ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის კრიმისულ მოვლენებთან, პოლიტიკური კონტროლის ფორმების ან ინსტიტუტების შესუსტებასა და სახელმწიფოს მართვის სტრუქტურების ფუნქციების ნაწილობრივ ან მთლიან ჩამოშლასთან. შესაბამისად, გერორიზმში, როგორც მოვლენა, ერთი ჯაჭვის – **რადიკალიზმში**⁵² – **ექსტრემიზმში** – **ფანატიზმში**⁵³ (რიგ შემთხვევებში, ფუნდამენტალიზმში) – დამაგვირგვინებელი რგოლია.

თანამედროვე გერორისტული დაჯგუფებები შეიძლება დაეყოს რამდენიმე ჯგუფად:

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული ჯგუფები – ასეთი ჯგუფები წარმოჩნდებიან, როგორც თავისუფლებისათვის მეზრძოლი პატრიოტული დაჯგუფებები. მათი აქტიური მხარდამჭერები არიან რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობები. როგორც წესი, ასეთი დაჯგუფებების ქმედებები მიმართულია ღომინანტი ერისა და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

მარქსისტული რევოლუციური დაჯგუფებები – საბჭოთა კავშირის დაშლისა და, შესაბამისად, დაფინანსებისა და იდეოლოგიური მხარდაჭერის შეწყვეტის შემდეგ, მსოფლიოში მარქსისტული იდეოლოგიის მაგარებელი დაჯგუფებების რიცხვა იკლო, თუმცა, რამდენიმე სოციალისტურ-რევოლუციური ორგანიზაცია⁵⁴ დღესაც არსებობს. მსოფლიოს ისტორიას ახსოვს თავიანთი სისასტიკით ცნობილი მარქსისტული იდეოლოგიის მაგარებელი ორგანიზაციები: „წითელი ბრიგადები“

⁵² გარკვეულ ეტაპზე რადიკალიზმში საჭიროებს კონკრეტულ, უკიდურესი ხასიათის ქმედებებს და გამოიხატება ექსტრემიზმში.

⁵³ რადიკალიზმის და ექსტრემიზმის უკიდურესი ხარისხი გამოიხატება ფანატიზმში, რაც თავისი მონოიდური ხასიათით განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობაა.

⁵⁴ „მანათობელი გზა“ პერუში და „თამილის ვეფხვები“ შრი-ლანკაში

იტალიაში, „წითელი არმიის ფრაქცია“ დასავლეთ გერმანიაში, „კომუნისტ მებრძოლთა უჯრედები“ ბელგიაში.

ანარქისტული დაჯგუფებები⁵⁵ - მათ არ გააჩნიათ გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაცია. ქმედება მიმართული აქვთ პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ და ხშირ შემთხვევაში ანტიგლობალისტურ⁵⁶ ხასიათს ატარებს. ანარქისტული დაჯგუფებები, როგორც წესი, მოკლე ხანში წყვეტენ არსებობას, რადგან არ არსებობს საერთო პლატფორმა, რომლის ირგვლივაც ისინი გაერთიანდებოდნენ.

ნეოფაშისტები/მემარჯვენე ფრთის ექსტრემისტული დაჯგუფებები - ამ ეტაპზე მემარჯვენე ფრთის ექსტრემისტული დაჯგუფებები ევროპისათვის მინიმალური, თუმცა, მაინც გარკვეული საფრთხის მაგარებლები არიან. მსგავსი ორიენტაციის ორგანიზაციები გააქტიურდნენ შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.⁵⁷ პათოლოგიური ჯგუფები/პათოლოგიური ინდივიდები - პათოლოგიური ძალადობის აქტები ძირითადად ჩაღვნილია ინდივიდების ან მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ. მათი მიზანია ფსიქოლოგიური ძალადობის განხორციელება და სამოგადოებრივი აზრით მანიპულირება⁵⁸. ტერორისტების ქმედებები ნაკარნახეია მათი ფილოსოფიური, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებით. ამგვარად, მათ აქვთ სტრატეგიული მიზნები, ხოლო მეთოდები, რომლებსაც ისინი იყენებენ, წარმოადგენს ტერორისტების ტაქტიკას. როგორც წესი, ტერორისტული ტაქტიკა ისეა შემუშავებული, რომ მიიპყროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება და სამოგადოებაში დანერგოს შიში. გრადიციულ ტაქტიკას, რომელსაც ტერორისტები იყენებენ, განეკუთვნება აფეთქების მოწყობა, მძევლების აყვანა, თვითმფრინავის გატაცება, ადამიანის გატაცება და ა.შ. ეკოტერორიზმი, ბიოტერორიზმი და კიბერტერორიზმი ახალი თაობის ტერორისტთა თანამედროვე

⁵⁵ ანარქისტულ მოძრაობას XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი.

⁵⁶ ანტიგლობალისტური ტერორისტული შეტევა განხორციელდა 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით გამართული ფორუმის მსვლელობისას.

⁵⁷ აშშ-ში გრადიციულად მოქმედი ორგანიზაციები არიან „არიული ერი“ და „კუ კლუქს კლანი“. თავის დროზე, ისინი შეიქმნა მცირე ჯგუფების გაერთიანებით, რომლებიც საკუთარ თავს „Militia“-ს (მილიციას) უწოდებდნენ.

⁵⁸ მრავალი წლის განმავლობაში „უნაბომბერი“ თეოდორ კაჩინსკი სამოგადოებას აგეროვებდა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნით. მისი ფსიქოპათიური აკვიტება იყო მსოფლიოს განვითარების პროცესზე ინდუსტრიალიზაციის შემოქმედების შეჩერება.

ტაქტიკას წარმოადგენს. კიბერტერორიზმს მიმართავენ ანტიგლობალისტური ჯგუფებიც, რომლებიც შეგვეას ახორციელებენ ფინანსური კორპორაციების გლობალურ კომპიუტერულ ქსელზე.⁵⁹ აფეთქება ღღესაც ძირითადი იარაღია ტერორისტების ხელში, რადგანაც ამ შემთხვევაში ტერორისტული შეგვეისადმი მედიის ყურადღება გარანტირებულია.

1.3. სახელმწიფო (სახელისუფლებო) და ოპოზიციური ტერორი

ტერორისტული საქმიანობის მიღმა შეიძლება მოიპოვებოდეს ორი ძალა, სახელმწიფო (სახელისუფლებო) და ოპოზიციური. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო იყენებს სახელმწიფო რესურსებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ოპოზიცია – რეჟიმის მოწინააღმდეგე ჯგუფებს.

სახელმწიფო ტერორიზმთან დაკავშირებით, მეცნიერთა შორის მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სახელმწიფო იყოს ტერორიზმის, როგორც დანაშაულის, სუბიექტი.

მათი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში მოსახლეობისაკენ მიმართულ ტერორს ახორციელებს სახელმწიფო კონკრეტული პირების საშუალებით, რაც დასჯადია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ სახელმწიფო არ შეიძლება ტერორიზმის სუბიექტი იყოს, რადგან სუბიექტი არის კონკრეტული პირი, რომელიც პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას. ფიზიკურმა პირმა შესაძლოა, პასუხი აგოს სისხლის სამართლებრივი წესით, მაგრამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არასდროს არის სისხლის სამართლებრივი. შესაბამისად, ტერორიზმის დანაშაულში სახელმწიფოს სუბიექტად მიჩნევა უარყოფილია რიგი ქვეყნების სისხლის სამართალში.

⁵⁹ Lesser I.O., Hoffman B., Arquilla J., Ronfeldt D., Zenini M. Countering The New Terrorism. Washington D.C.: RAND, 1999, გვ. 31

სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი წესით პასუხისმგებლობის დაყენების შეუძლებლობა არ ნიშნავს ამ სახის პასუხისმგებლობის სრულად გამორიცხვას სახელმწიფო ტერორის შემთხვევაში.

როდესაც ტერორს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკას, ახორციელებს სახელმწიფო, პასუხისმგებლობა ორი მიმართულებით დგება:

პირველი, სახელმწიფო მოხელეების, რომლებიც ახორციელებენ ამ ქმედებას, და მეორე, თავად სახელმწიფოსი, რომლის საერთაშორისო პასუხისმგებლობაც შეიძლება დადგეს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, მაგრამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ იქნება სისხლის სამართლებრივი.

სახელმწიფო ტერორის შემთხვევაში ძირითად იარაღად გამოიყენება რეპრესიები, ხოლო ოპოზიციური ძალების მხრიდან - ტერორისტული აქტები. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ხშირად სახელმწიფო ტერორი უფრო საშიშია, ვიდრე ოპოზიციური ძალების, მათ შორის, მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვითაც.

ტერორიზმის ეს ორი სახე ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ხშირად ისინი ერთმანეთის გამომწვევი მიზეზიც კი შეიძლება იყოს. ფაქტია, რომ ხელისუფლების მხრიდან გატარებული ტერორი სარკისებურ ასახვას პოულობს სამოგადობაში. დემოკრატიული მმართველობის პირობებში, სადაც პოლიტიკური პროცესი სამართლის ჩარჩოებშია მოქცეული, ტერორიზმის აღბათობა უფრო დაბალია, ვიდრე ავტოკრატიული სახის რეჟიმების პირობებში, სადაც ხელისუფლება ძალადობაზეა დამყარებული.

სახელმწიფო ტერორი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია განსაკუთრებულ რეპრესიებთან და სახელმწიფოს ხელისუფლების მკაცრ მოქმედებებთან მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან მიმართებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ტერორიზმი მისი ხასიათის გათვალისწინებით შეიძლება იყოს საშინაო და საგარეო. სახელმწიფო ტერორიზმი აგრესიულ შიდაპოლიტიკურ ან დამპყრობლურ-კოლონიალურ პოლიტიკასთან ასოცირდება, რომელიც უცხო ტერიტორიების დაკავების, სხვა

სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრეების გაძარცვისა და სხვა ერების ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისაკენ არის მიმართული.

ისტორიულად, სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული გეროროიზმის ერთ-ერთი ფორმა - სახელმწიფო გეროროიზმი პირდაპირ არ უკავშირდება რადიკალურ, არალეგალურ, იატაკქვეშა დაჯგუფებების მიერ რელიგიური თუ პოლიტიკური მოტივებით განხორციელებულ გეროროისტულ აქტებს, თუმცა თავისი არსით არანაკლებ ძალადობრივი და არაჰუმანურია. სახელმწიფო გეროროიზმი წარმოიქმნება ავტორიტარულ ქვეყნებში, რომლებიც აწარმოებენ აგრესიულ და/ან კოლონიალურ პოლიტიკას. ასეთი პოლიტიკა ძირითადად უცხო ტერიტორიების დაკავების, სხვა სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრეების გაძარცვისა და სხვა ერების ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისაკენ არის მიმართული. თუმცა, სახელმწიფო გეროროიზმი, როგორც წესი, პირდაპირ აისახება თვით ავტორიტარული სახელმწიფოს სამოგადოებაზე. სახელმწიფო გეროროიზმის კონკრეტული მაგალითებია: ფაშისტური გერმანიის მოქმედებები ქვეყნის შიგნითა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საბჭოთა კავშირის მოქმედებები, მასში შემავალი რესპუბლიკებისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ევროპის ტერიტორიაზე,

კოლონიალური ხელისუფლების მოქმედებები კოლონიებში და ა.შ. ავტორიტარული რეჟიმები ძალადობას მიმართავენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. გეროროი გამოიყენება სამოგადოების დასაშინებლად და მასზე ზეწოლის ბერკეტების მოსაპოვებლად. სახელმწიფო გეროროიზმის ცნება, ზოგადად, გულისხმობს გეროროისტული აქტის ჩადენას სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსგან ხალხის წინააღმდეგ, ასევე, ასეთ აქტს, ჩადენილს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

სახელმწიფო გეროროი გამოიყენებოდა და რიგ შემთხვევებში დღესაც გამოიყენება ავტორიტარული სახელმწიფოების მმართველების მიერ, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, პოლიტიკური რეპრესიების გასატარებლად. სახელმწიფო გეროროი უშუალოდ ხორციელდება სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, სპეცსამსახურების და არაფორმალური „მონღერ ჯგუფების“ მიერ. მათი ძირითადი იარაღია რეპრესიები. სახელმწიფო გეროროს ყველაზე ხშირად მიმართავენ არასტაბილური, ლეგიტიმაციის დაბალი დონის მქონე რეჟიმები, რომელთაც არ

შეუძლიათ უზრუნველყონ სისტემის მდგრადობა ეკონომიკური და პოლიტიკური მეთოდებით.⁶⁰ გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი: „ნებისმიერი წინასწარ განზრახული ძალადობრივი თავდასხმა უდანაშაულო ადამიანებზე შეიძლება ჩაითვალოს ტერორიზმად, თუ იგი გამოიწვევს სამოქალაქო პირების სიკვდილს ან მძიმე დაზიანებას და ხორციელდება მოსახლეობის, არსებული მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციების დაშინების ან იძულების მიზნით“. შედარებით სტაბილური რეჟიმები⁶¹ კი გეროოს მიმართავენ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი „დახურულ“ სისტემებს წარმოადგენენ და თავად ახდენენ საკუთარი თავის მსოფლიოსაგან იზოლირებას.

სახელმწიფო ტერორი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით, თუმცა იგი ყველა შემთხვევაში მიმართულია, უკიდურესი ფორმების გამოყენებით, ავტორიტარული რეჟიმის მიერ საზოგადოებაზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად და შედეგად პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

ისტორიის მანძილზე, ძალადობა და ტერორი ფართოდ გამოიყენებოდა კოლონიზატორი სახელმწიფოების მხრიდანაც მათ მიერ კოლონიზებულ მიწებზე ძალაუფლების გასამყარებლად. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ბუნებრივი წიაღისეულის მოსაპოვებლად ადგილობრივი მოსახლეობის მონური შრომის გამოყენებაზე. ახალი მიწებისა და მათზე არსებული ბუნებრივი რესურსების კომერციული კომპანიებისათვის ექსპლუატაციაში გადაცემას ხშირად მოსდევდა აღნიშნული კომპანიების მხრიდან თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიებზე საკუთარი წესებისა და მმართველობის უზურპატორული ფორმების შემოღება. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის მიზანმიმართული ტერორი ხორციელდებოდა და უხეშად ირღვეოდა მათი ელემენტარული უფლებები. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევებში, კოლონიზატორი სახელმწიფოს სამხედრო და მმართველი ძალების მიერ წარმოებული კოლონიური

⁶⁰ იქვე

⁶¹ ჩრდილოეთ კორეა

ავტოკრატია, ძალადობა და ტერორი მხარდაჭერილი იყო იმ დროის გამოჩენილი და დემოკრატიულად განწყობილი ევროპელი მოაზროვნეების მხრიდანაც.⁶²

უახლეს ისტორიაში განხორციელებული სახელმწიფო ტერორის ფაქტები დეტალურად არის განხილული ავტორის მონოგრაფიულ ნაშრომში.⁶³

XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოს დიდ ნაწილში სახელმწიფოებრივი ტერორიზმის ხანა დასრულდა, თუმცა იგი მაინც განაგრძობდა არსებობას ცალკეულ ქვეყნებში.

II თავი - რელიგიური ტერორიზმი

2.1. ტერორიზმი და ისლამი

⁶² XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი ადვოკატი და პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯონ სტიუარტ მილი ღიად უჭერდა მხარს ბრიტანეთის იმპერიის კოლონიალურ ავტოკრატიას, როგორც ერთგვარ „კეთილშობილ დესპოტიზმს“ და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს სწორედ ის აუცილებელი იძულებაა, რომელიც მოუტანს ჩამორჩენილ ერებს ცივილიზაციას, აამაღლებს მათი განათლებისა და ცხოვრების დონეს. თავის მხრივ, ჯონ სტიუარტის ფრანგი მეგობარი და თანამოაზრე ალექსის დე ტოკვილი საფრანგეთის მიერ კოლონიზებული ალჟირის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორის აქტიური მხარდამჭერი იყო. 1840 წელს მან, როგორც საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წარმომადგენელმა, ღია მხარდაჭერა გამოუცხადა.

⁶³ სუჯაშვილი დ. „საერთაშორისო ტერორიზმის ანაგომია და საქართველო“, თბ. 2018. გვ. 39-50

რელიგიური ტერორიზმი არის ტერორიზმის ფორმა, როდესაც ადამიანთა ჯგუფი ტერორისტულ აქტებს ახორციელებს რელიგიური მოტივით. ისტორიის მანძილზე, რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული ტერორისტული აქტების არაერთი ფაქტი არსებობს. საგულისხმოა, რომ რელიგიური ტერორიზმი არ ასახავს რომელიმე ტრადიციული რელიგიის შეხედულებებს, არამედ გამოხატავს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მხრიდან ტრადიციული რელიგიის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას ან ახალი რელიგიის შექმნის მცდელობას.

რელიგიური ტერორიზმის აქტებიდან გამოირჩევა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს მეტროში განხორციელებულ ტერაქტი, რომელშიც რელიგიურმა სექტამ მასობრივად გამოიყენა ქიმიური იარაღი.

ტერაქტიდან ორი თვის თავზე, დააკავეს „აუმ შინრიკოს“ ლიდერი – შიოკო ასაჰარა, რომელიც სამართალდამცველებს კულტის შენობის ერთ-ერთ საიდუმლო სათავესში ემალებოდა⁶⁴. იაპონიის პოლიციის ცნობით, თავდასხმის მიზანი იყო, საკულტო ტერაქტის გზით „დაეჩქარებინათ აპოკალიფსი“ და შედეგად მიეღოთ იაპონიის მთავრობის შეცვლა, ხოლო შიოკო ასაჰარა იაპონიის იმპერატორი გამხდარიყო.

დღეისთვის სექტა ძველი ფორმით აღარ არსებობს, თუმცა წარმოდგენილია ორი, ისევ რადიკალურ-რელიგიური ორგანიზაციით, ესენია: „ალეფ“-ი და „ჰიკარი ნო ვა“. ორივე განშტოებას ჯამში 1 500-მდე მიმდევარი ჰყავს, რომლებიც ოფიციალურად აცხადებენ, რომ განუდგნენ ასაჰარას, თუმცა იაპონიის მოსახლეობა მათ უნდობლობით უყურებს.

რაც შეეხება იაპონიის მხარის მიერ დღეს არსებული რადიკალურ-ისლამისტური ტერორიზმისგან თავის დაცვის მექანიზმებს, მკაცრი კონტრტერორისტული ზომების გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პოლიტიკა, რომელსაც ქვეყანა უკვე წლებია აწარმოებს. იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი საიმიგრაციო წესები მოქმედებს, განსაკუთრებით პრობლემატური ამ სახელმწიფოში შეღწევა მუსლიმებისთვისაა. იაპონიის მოსახლეობის 99% იაპონელია, 0.6% –

⁶⁴ ტერაქტთან დაკავშირებული კიდევ ორი პირის (ნაოკო კიკუჩი და კატცუია ტაკაჰაში) გამოვლენა-დაკავებას 17 წელი დასჭირდა.

კორეელი და ჩინელი, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნებაა. 90-იან წლებში იაპონიაში ჩინელი არალეგალების ისეთივე ნაკადი ჩადიოდა, როგორც დღეს მიედინება ევროპაში ახლო აღმოსავლეთიდან. ამან იაპონიას პრობლემები შეუქმნა და ოფიციალურმა გოკიომ სწრაფი რეაგირება მოახდინა, რაც სანაპირო ზოლის დაცვით გამოიხატა და არალეგალი მიგრანტების მასობრივი დეპორტაციით დასრულდა. ის პირები, ვინც პოლიციას წინააღმდეგობას უწევდნენ, დააპატიმრეს და განახორციელეს მათი დეპორტაცია. ამ გაღლას ასევე მიჰყვნენ ბანგლადეშიდან, ირანიდან, არაბული ქვეყნებიდან ჩასული მუსლიმი შრომითი მიგრანტებიც. იაპონიის მხარე საკითხს პრაგმატულად უდგება, მათ მუსლიმების ინტეგრაციაში ბიუჯეტი არ დახარჯეს, მეჩეთები არ ააშენეს და იაპონელებს მუსლიმების პატივსაცემად შემლუღვები არ შემოუღეს, არამედ მთლიანად ჩაუკეტეს პოტენციურ ძალას კარი. რა თქმა უნდა, იაპონია დემოკრატიული ქვეყანაა და მუსლიმების მიგრაცია ოფიციალურად აკრძალული არ არის, თუმცა, რეალურად, მუსლიმებს იაპონიის კუნძულებზე ძნელად უშვებენ, ვიზის მიღება იაპონიაში მოქმედი საერთაშორისო კომპანიების თანამშრომლებისთვისაც ურთულესი პრობლემაა.

იაპონიაში დღეისთვის ორი დიდი და რამდენიმე მცირე მეჩეთია, თუმცა მომლოცველები თითქმის არცერთს არ ჰყავს, ისინი მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩასული თათრებისთვის ააგეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი თითქმის ყველა თათარი თურქეთში გადასახლდა.

რელიგიური ტერორიზმი ტერორიზმის განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელიც მოითხოვს საკითხის შესწავლას არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური კუთხითაც.⁶⁵ რელიგიური ტერორიზმის განხილვისას, განსაკუთრებით აღსანიშნავია **ისლამური ტერორიზმი**, რომელიც გარდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგების მიღწევისა, მიზნად ისახავს, ისლამური ცივილიზაცია აქციოს მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ძალად და

⁶⁵ Jessie Hill, Adam F. Kinney, Sacred Violence: Religion and terrorism, Case Western Reserve Journal of International Law, 2007-2008, Vol. 39, გვ. 703.

წარმატებული მეტოქეობა გაუწიოს ცივილიზებული დასავლეთის მიერ დამყარებულ მსოფლიო წესრიგს.⁶⁶

ახლო აღმოსავლეთში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები სასურველი ნიადაგი აღმოჩნდა რელიგიური (ისლამური) ტერორიზმის განვითარებისათვის, რამაც საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ რეგიონის უსაფრთხოებას, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც.⁶⁷ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მიერ არაკონვენციური ომის წარმოებით, ტერორიზმმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე შეიძინა. ტერორიზმის ამბიციები იმდენად გაიზარდა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციით ტერორიზმის იდეოლოგიაზე დამყარებული ისლამური სახალიფოს შექმნა დაისახა მიზნად.

თანამედროვე მსოფლიოში ისლამური ტერორიზმის მასშტაბებმა ის სამოგადოების ცნობიერებაში რელიგიური ტერორიზმის სინონიმად აქცია, მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ამ სახეს სხვა კონფესიის მიმდევრებიც მიმართავენ.

მსოფლიოში სოციალური დისბალანსის ზრდას, სხვადასხვა ქვეყნებში სამოგადოებრივ-პოლიტიკურ რყევებსა და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისებს თან სდევს სამოგადოებაში ნიჰილიზმის ზრდა. ჩნდება მოთხოვნა სულიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულს კი საკმაოდ კარგად იყენებენ სხვადასხვა რელიგიური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები სამოგადოების უკმაყოფილო, მოწყვლადი ნაწილის რადიკალიზაციისათვის. სწორედ ამ მიზნისთვის, ტერორისტული დაჯგუფებები მიმართავენ პოლიტიკური მართვის ტექნოლოგიებსა და ტერორისტული აქტების სერიებს, რაც ღიდ ზემოქმედებას ახდენს სამოგადოებაზე. როცა სამოგადოების ცნობიერება მათი გავლენის ქვეშ ექცევა, იწყება ამ სამოგადოების მანიპულაცია.

სწორედ ტერორისტული ომისთვის დამახასიათებელი სტრატეგიითა და ტაქტიკით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას რელიგიურ-იდეოლოგიური საფუძვლის მქონე საერთაშორისო ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები.

⁶⁶ Hoffman B, Inside terrorism. Religion and Terrorism. Columbia University Press, New York, 2006, გვ. 127.

⁶⁷ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში ტერაქტების შედეგად დაღუპულთა დაახლოებით 70% სუნიტია, ხოლო 24% შიიტი ტერორისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე მოღის.

2.2. ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფებები

მსოფლიოში მოქმედებს 80-ზე მეტი საფრთხის შემცველი რადიკალურ-ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია.⁶⁸ მათ შორის:

- „ალ-ქაიდა“ - ისლამური ფუნდამენტალისტების საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1988 წელს, ებრაელებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ საბრძოლველად. „ალ-ქაიდა“ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს განიხილავს, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანებისა და ურწმუნოების ბრძოლას. „ალ-ქაიდას“ დამაარსებელია - ოსამა ბინ ლადენი. ორგანიზაციის მიზანია ისლამურ სახელმწიფოებში არსებული ხელისუფლების დამხობა და შარიათის კანონებზე დაფუძნებული ისლამური სახელმწიფოების დაარსება. 1998 წელს გამოცხადდა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებაში შევიდნენ: პაკისტანისა და ბანგლადეშის „ალ-ჯიჰადი“, პაკისტანის „ალ-ჯაამია ალ ისლამია“, პაკისტანელ სწავლულთა გაერთიანება „ქაშმირის ამბოხებულთა მოძრაობა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები.⁶⁹

- „ბოკო ჰარამი“ - ნიგერიული ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც ხელისუფლების დამხობას და ქვეყნის მუსლიმურ სახელმწიფოდ გადაქცევას ცდილობს, სხვადასხვა მონაცემით, 2006-2011 წლებში, „ბოკო ჰარამმა“ თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად მოახერხა 70 მილიონი აშშ დოლარის შეგროვება.

- „თალიბანი“ - უკიდურესად კონსერვატიული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც ავღანეთში აქტიურად უჭერს მხარს ისლამისტ-ფუნდამენტალისტთა ტერორისტულ დაჯგუფებებს. „თალიბანი“ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ დაჯგუფებად ითვლება. მისი წევრები, ძირითადად, მოქმედებენ ავღანეთის ტერიტორიაზე. სხვადასხვა არალეგალური გზებით, მათ შორის, პირველ

⁶⁸ სუჯაშვილი დ., „საერთაშორისო ტერორიზმის ანაგომია და საქართველო“, თბ. 2018 წ. გვ. 248-250

⁶⁹ Foreign Terrorist Organizations, US Department of State, page 216

<https://www.state.gov/documents/organization/65479.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 27.05.2016

რიგში ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით, „თალიბანი“ მოიპოვებს წელიწადში საშუალოდ 400 მილიონ აშშ დოლარს. ორგანიზაციის ტერორისტები ასევე დაკავებული არიან ადამიანებით ვაჭრობით.

- „ჯიჰად ალ ისლამია და ჰამასი“ - გამოკვეთილ ტერორისტულ ორგანიზაცებადაა მიხნეული. პალესტინის ამ სუნიტურ, რადიკალურ, სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებს საღვთო ომი აქვთ გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან.⁷⁰

- „ლაშქარეთაიბი“ - ტერორისტული დაჯგუფება ყოველწლიურად 100 მილიონ აშშ დოლარს გამოიმუშავებს. დაჯგუფება ფლობს რამდენიმე სკოლასა და საავადმყოფოს პაკისტანში, ახორციელებს ტერაქტებს, როგორც პაკისტანში, ასევე ინდოეთში. „ლაშქარეთაიბი“ დაფინანსებას ისლამისტური დაჯგუფებებისგანაც იღებს.⁷¹

- „ხსნის ისლამური ფრონტი“ - ალყირული ფუნდამენტალისტი ისლამისტების პარტია, დაარსდა 1989 წელს. 1991 წელს მოიპოვა გამარჯვება საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში. 1992 წელს ალყირის მთავრობამ აკრძალა ხსნის ისლამური ფრონტი, რის შემდეგაც ორგანიზაციამ დაიწყო ტერორისტული საქმიანობა.

- „მუსლიმთა სამომ“ - ეგვიპტეში დაფუძნებული ისლამისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

- „თალიბ ისლამის განმათავისუფლებელი ვეფხეები“ - 1983 წლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ შრი-ლანკის ავტონომიისთვის მეზობელი ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია.⁷²

- „ჯამაათ ალ ისლამია“ - ისლამისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ცენტრალური აზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა.

⁷⁰ Foreign Terrorist Organizations, US Department of State, page 195

<https://www.state.gov/documents/organization/65479.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 28.05.2016

⁷¹ იქვე, გვ. 207

⁷² Foreign Terrorist Organizations, US Department of State, page 209

<https://www.state.gov/documents/organization/65479.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 28.05.2016

- ისლამური სახელმწიფო (ISIS ან ISIL ან DAESH).
- „ალ-ჰარაქათ ალ-ისლამი“; „ანსარ-ალ-ისლამი“; „ჰუდამ-ულ-ისლამი“ და სხვა.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

„ბოკო ჰარამი“⁷³ აფრიკული ფუნდამენტალისტური ისლამური ორგანიზაციაა, რომლის მიზანაც დასავლური სწავლებიდან დაწყებული, ყველა დასავლური ღირებულებების განადგურება და ნიგერიასა და შემდეგ აფრიკის სხვა ქვეყნებში ისლამურ მარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოების წარმოქმნაა. დაჯგუფება დაარსდა 2002 წელს, ნიგერიაში, „თალიბანთან“ დაკავშირებული მუჰამედ იუსუფის⁷⁴ მიერ.

„ალ-ქაიდას“ ამჟამად არ ჰყავს ერთი გამოკვეთილი ლიდერი. სავარაუდოდ, ამ სახელის ქვეშ მოიაზრება „ალ-ქაიდაში“ შემავალი ყველა ორგანიზაცია თავისი ლიდერებით, რომლებიც სხვა ლიდერებზე ნომინალურად დამოკიდებულები ან სულაც დამოუკიდებელნი არიან. „ალ-ქაიდას“ საკმაოდ რთული და დახვეწილი სისტემა აქვს ახალი წევრების მისაღებად და ნებისმიერ მსურველს წევრად არ იღებენ (განსხვავებით ISIS-გან). მოუხედავად იმისა, რომ „ალ-ქაიდა“ ბოლო წლებში აქტიურად არ ჩანდა, მიიჩნევა, რომ მთელი საერთაშორისო ძალისხმევის ISIS-ზე მიმართვის შედეგად, ე.წ. „ახალი/მესამე თაობა“ განსაკუთრებით გაძლიერდა და ჩამოუყალიბდა სპეციფიკური ნიშნები:

- ყველა, ვინც შეძლებს ფუნდამენტალურ-ისლამისტური ტერორისტული ჯგუფის ჩამოყალიბებას, შეიძლება „ალ-ქაიდას“ წევრად ჩაითვალოს;
- წევრობისათვის საჭიროა, პიროვნებამ ან ჯგუფმა ჩაატაროს „წარმატებული“ ტერაქტი;
- „ალ-ქაიდას“ არ გააჩნია წევრთა სია;

⁷³ დაჯგუფების ოფიციალური სახელწოდებაა Jama'atu Ahlis Sunna Lidda'awati wal-Jihad, რაც არაბულად ნიშნავს წინასწარმეტყველისა და ჯიჰადის სწავლების გაერცელების მომხრეთა საზოგადოებას, „ბოკო ჰარამი“ კი მაილუგურის მცხოვრებლებმა შეარქვეს. ადგილობრივ, ჰაუსას დიალექტზე ბოკო ჰარამი ნიშნავს „დასავლური განათლება აკრძალულია“ ან „დასავლური განათლება ცოდება“.

⁷⁴ ნიგერიის ქალაქ მაილუგურში, იუსუფმა ააშენა მეჩეთისა და სკოლისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც „ბოკო ჰარამის“ მომხრეთა რეკრუტირების ცენტრად გადაიქცა.

- „ალ-ქაიდა“ არ ცნობს რაიმე სახის შეზღუდვებს ტერაქტების მიზნების დასახელების დროს;

- „ალ-ქაიდას“ მიკუთვნებული ტერაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხარისხითა და შესრულების სტილით. როგორც სტრუქტურით, ასევე ტაქტიკით, „ალ-ქაიდა“ ემყარება ომის წარმოების ახალ კონცეფციას.⁷⁵ იცვლება მებრძოლვების ტრადიციული მომზადების ფორმებიც.⁷⁶ უკვე შესაძლებელია, მებრძოლვების რეკრუტირება და იდეოლოგიური დამუშავება მოხდეს არა მარტო საწვრთნელ ბაზებზე, არამედ ინტერნეტითაც, რომლის გამოყენებით მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილი ტერორისტული ორგანიზაციები ერთმანეთს დაუკავშირდებიან. „ალ-ქაიდას“ წევრებს უმეტესწილად აქვთ უმაღლესი განათლება და კარგად ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რამაც ხელი შეუწყო „ალ-ქაიდას“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ერაში გადასვლას.⁷⁷ ისლამური ტერორიზმის ექსპერტი მ. რანსტორპი⁷⁸ თავის კვლევაში⁷⁹ აანალიზებს „ალ-ქაიდას“ მხრიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბებს და აჩვენებს, რომ ინტერნეტის მეშვეობით იქნეს გამოყენებული როგორც ტერორიზმის პროპაგანდისტის, ასევე ტერორისტული თავდასხმის მოსაწყობად, ანუ ტერორიზმმა ვირტუალურ სამყაროშიც გადაინაცვლა^{80, 81}.

⁷⁵ მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი აისახა ომის წარმოების ტექნოლოგიაზეც. ტერორისტულმა ბრძოლამ ასევე შეითავსა კლასიკური ომის ელემენტები როგორც არის იდეოლოგიური, პარტიზანული, საინფორმაციო ომების წარმოება.

⁷⁶ The Al Qaeda Manual (inglisuriTargmani). pdf (<http://www.investigativeproject.org/documents/10-al-qaeda-manual-found-in-manchester-translation.pdf>)

⁷⁷ „ალ-ქაიდას“ ჩამოაყალიბა „საერთაშორისო ისლამური საინფორმაციო ცენტრი“, რომელსაც თავის მხრივ აქვს ე. წ. „ისლამური საინფორმაციო ფრონტი“, რომელიც ინტერნეტში ეწევა „ალ-ქაიდას“ პროპაგანდას. კერძოდ, ხორციელდება ვაჰაბიტური იდეების პროპაგანდა, ახალი წევრების გადამზრუნვა, განთავსებულია დეგალური ინფორმაცია „ჯიჰადზე“, დეგალურად განმარტებულია ტერორისტული აქტების მოწყობის, ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების შესახებ ინფორმაციები.

⁷⁸ სენგ-ენდრიუსის უნივერსიტეტთან (შოტლანდია) არსებული „ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შესწავლის ცენტრის“ დირექტორი.

⁷⁹ „ალ-ქაიდა“ კიბერსივრცეში: ტერორიზმის გამოწვევა ინფორმაციულ ეპოქაში“.

⁸⁰ რანსტორპის აზრით, დასაშვებია, რომ „ალ-ქაიდას“ მოახერხოს ბირთვული იარაღის დამზადება. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ იარაღზე მუშაობა ტერორისტებმა ადრეულ პერიოდში, ავღანეთის ქალაქ გერგის ლაბორატორიაში დაიწყეს.

⁸¹ Ranstorp Magnus. The Virtual Sanctuary of Al-Qaeda and Terrorism in an Age of Globalisation. International Relations and Security in the Digital Age, London: Routledge, 2007. Pdf <https://www.fhs.se/Documents/Externwebben/forskning/centrumbildningar/CATS/2007/virtual-al-qaeda-ranstorp.pdf>

სხვადასხვა ინფორმაციით, „ალ-ქაიდა“ აქტიურად ამუშავებს ტერაქტებში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობებს და პერმანენტულად ცდილობს რადიოაქტიური ელემენტების შემცველი ნივთიერებების შეძენას შავ ბაზარზე.⁸²

საერთაშორისო გეროორისტულ ორგანიზაციებს წარმატებული საქმიანობისთვის სჭირდებათ დაფინანსების წყაროები, საიმედო თავშესაფარი, მოსამზადებელი ბაზები, სამხედრო-დივერსიული საქმის მცოდნე სპეციალისტები. თანამედროვე გეროორისტული ორგანიზაციების დაფინანსება საკმაოდ კარგად არის კონსპირირებული, ისინი იყენებენ ჩრდილოვან ეკონომიკას: ნავთობის, ნარკოტიკების, აზარტული თამაშების, იარაღის და ძვირფასი ქვების და სხვა ბიზნესებს.

აღსანიშნავია, რომ არაღელვარული გზით მიღებული შემოსავლის გათეთრება ხორციელდება, როგორც ოფშორულ მონებში, ისე გეროორისტული ორგანიზაციების გავლენის ქვეშ მყოფი ბანკების, კომპანიებისა და საწარმოების მეშვეობით. ექსპერტების მოსაზრებით, ისლამურ-ექსტრემისტული დაჯგუფებების დაფინანსება პირდაპირ ან ირიბად ხდება ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა კერძო ისლამური ბანკი “დარ ალ-მაღ ალ-ისლამი“, აფრიკის განვითარების არაბული ბანკი, არაბული ნავთობის ექსპორტიორთა განვითარების ფონდი, ისლამური კონფერენციის საბანკო სტრუქტურები, ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ბანკი, განვითარების ისლამური ბანკი, და სხვ. გეროორიზმის დაფინანსების სტრუქტურების შექმნა შეიმჩნევა იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო კონგრული არის შესუსტებული. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ალ-ქაიდას“ დაფინანსების ძირითადი

⁸² 2004 წლის ნოემბერში, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ კონგრესსში გაიგზავნა მოხსენება გეროორისტული საშიშროების მრდის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ გეროორისტული ჯგუფების მხრიდან, სავარაუდოდ, მოსალოდნელია, დაიწყოს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენება გეროორისტულ აქტებში.

წყარო არის არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ნავთობით მდიდარი სახელმწიფოები^{83, 84}

ბოლო წლებში, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ე.წ. „სირიისა და ლევენგის ისლამური სახელმწიფო“ (ISIS ან ISIL ან DAESH). იგი ოფიციალურად 2014 წლის 8 აპრილს თვითგამოცხადდა სახელმწიფოდ, დედაქალაქით – სირიის ქალაქ რაქქაში. სახელმწიფოს მიზანი იყო, პირველ ეტაპზე, გაფართოებულიყო სირიისა და ლევენგის (სირია, პალესტინა, ლიბანი) ტერიტორიაზე, სადაც თავის ღრობე პირველი არაბული ხალიფატი შეიქმნა, ჩამოეყალიბებინა ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შარიათის პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული, ხოლო მეორე ეტაპზე მიზნად ისახავდა როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით გაფართოებას.

თვითგამოცხადებული „ისლამური სახელმწიფო“ იყო ბოლო პერიოდის ისლამისტური დაჯგუფებებიდან ყველაზე რადიკალური, ფინანსურად ყველაზე მდიდარი, კარგად ორგანიზებული, ვაჭაბიგურ მიმდინარეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი, რადიკალური სუნიტური მიმდინარეობის შეიარაღებული ძალა, რომელმაც საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაიკავა აღმოსავლეთ სირიისა და ჩრდილო-დასავლეთ ერაყის ტერიტორია.

XX საუკუნის ბოლოს, 1990-იანი წლებიდან, საერთაშორისო ისლამურ ფუნდამენტალურ მოძრაობაში ლიდერობა მოიპოვეს ისლამის სუნიტური

⁸³ უპირატესად, საუდის არაბეთი, სადაც ვაჭაბიგში ოფიციალური რელიგია და იდეოლოგიაა. ამ მიმდინარეობის მიმდევარი არაბი შეიხების სიმდიდრე სათავეს იღებს ნავთობის გაყიდვიდან. „ურწუნოთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილის შეგანა მათთვის ერთგვარად საამაყოა, რის გამოც ისინი საკმაოდ დიდ ფულად შეწირულობებს ახორციელებენ.

⁸⁴ Roth John, Greenburg Douglas, Wille Serena. National Commission on Terrorist Attacks Upon the United States. Monograph on terrorist financing. National commission on terrorist attacks upon the united states. (https://govinfo.library.unt.edu/911/staff_statements/911_TerrFin_Monograph.pdf)

მიმართულების ვაჰაბიზმის⁸⁵ იდეოლოგიურ საფუძველზე შექმნილმა და მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა. დღეს ვაჰაბიზმი, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების ქსელის იდეოლოგიად გვევლინება, რომელიც საკმაოდ პრობლემატურია მთელი მსოფლიოსათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

პრობლემის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია „ისლამური სახელმწიფოს“ ფორმირების მახასიათებლების კვლევა.⁸⁶ სადამ ხუსეინის სიკვდილით დასჯის შემდგომ მისი დაშლილი არმიის პრაგმატულმა და დაუნდობელმა სამხედროებმა, რომლებიც სინამდვილეში სულაც არ იყვნენ რადიკალი ისლამისტები, რაციონალურად ისარგებლეს რელიგიური ფაქტორით და მოქნილად გამოიყენეს იგი, როგორც მთავარი მიზნის მისაღწევად აუცილებელი იდეოლოგიური საფარი. მათი მთავარი მიზანი კი სირიის, ერაყისა და იორდანის ტერიტორიაზე რელიგიურად და ეთნიკურად მონოთეისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ბუნებრივი წიაღისეულის ხელში ჩაგდება იყო. „ისლამური სახელმწიფოს“ ახალი ხელმძღვანელობის ნაბიჯებმა დაუყოვნებლივ გამოიწვია შედეგები. ომი სირიაში მიმდინარეობდა არა იმდენად ბაშარ ასადის წინააღმდეგ, არამედ ახალი სახელმწიფოს შექმნის მოტივით. კარგი „მენეჯმენტის“ შედეგად, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუყოვნებლივ ჩნდება ახალი ტერიტორიული მართვის ორგანოები, კანონის ძალას იღებს შარიათის ერთიანი, უნიფიცირებული ქცევის წესები, ხოლო სხვა სარწმუნოების, არალეიტალური ან ურჩი მოსახლეობა – ქურთები, ქრისტიანები,

⁸⁵ ვაჰაბიზმის, როგორც რელიგიური და საზოგადოებრივ – პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობა დაკავშირებულია, საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ მუჰამედ იბნ ალ-ვაჰაბის სახელთან. მის მიერ შექმნილი სუნიტური ისლამის ეს მიმდინარეობა, საუდის არაბეთში დღესაც გაბატონებულ რელიგიურ მიმართულებას წარმოადგენს. მისი მიმდევრები თავს „სალაფიტებს“ (სუფთა), „მუკაჰედუნი“ (ერთდღერითიანებს), ან მუსლიმანებს (მორწმუნე) უწოდებენ. ვაჰაბისტების აზრით, ისლამს საფუძვლად მხოლოდ ორი რამ: ყურანი და სუნა – მუჰამედის გამონათქვამები, ქცევა უდევს. მათი შეხედულებით წინასწარმეტყველი მუჰამედი იყო ჩვეულებრივი ადამიანი. ამიტომ, არ უნდა მოხდეს მისი გაღმერთება. ისინი უარყოფენ ისლამს დამატებულ ადგილობრივ გრადიციებს, წმინდანების კულტებს, ყოველგვარ წარმართულ გაღმონათქვამებს, მაგიას, ჯადოქრობას. თვლიან, რომ არ შეიძლება ადამიანების განსხვავება, წარმოშობის და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ეს მოძღვრება არეგულირებს ადამიანის საქციელს – აძლევს რჩევას, ფაქტიურად კი უწესებს ღოგმად როგორ ჩაიყვას, მოიქცეს საზოგადოებაში. ვაჰაბიტებს ეკრძალებათ თამბაქოს, ჰაშიშის მოწევა, კრიალოსნის ხმარება, ხმამაღალი სიმღერა, ცეკვა და სხვ. ამ მოძღვრების მიხედვით ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლოგიკურად ამოიფიქრებს, მივა „ერთდღერითიანობამდე“ და თუ მიიღებს ვაჰაბიზმს, გახდება „ჰეშმარიტი მორწმუნე“ მუსლიმანი.

⁸⁶ სუჯაშვილი დ., „ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მახასიათებლები“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N4; თბ. 2016; გვ.187–189

შიიგები და კონკურენტი ბანდფორმირებები, რომლებიც არ ემორჩილებიან ახალ წესებს, სასტიკად ნადგურდებიან. დაპყრობილ ტერიტორიებზე მდებარე ობიექტები დაუყოვნებლივ აშუშავდა ახალი მმართველი ძალის კონტროლქვეშ.

ბოლო პერიოდში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის მოქმედებით შესაძლებელი გახდა ისლამური სახელმწიფოს დამარცხება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტების მიერ დაკავებული ტერიტორიების გაწმენდა.

თავი III - ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი

საფუძვლები

3.1. ტერორიზმი - საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის) სტანდარტით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ გამოსატყუილია როგორც შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებაში, ისე მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებში. 1963 წლიდან მოყოლებული, გაეროს წიაღში

არაერთი რეზოლუცია, ხოლო მისი ეგიდით საერთაშორისო კონფერენციებზე, მრავალი კონვენცია მიიღეს. დღეისათვის არსებობს 19 სამართლებრივი აქტი და დამატებითი ოქმი გერორიზმის შესახებ:

1. 1963 წელი, გოკიო. კონვენცია საჰაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის და სხვა გადაცდომების შესახებ - ეხება ქმედებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის საჰაერო ხომალდებს ფრენისას. ეს ტექსტი ხომალდის ბორგის უფროსს უფლებას აძლევს მიიღოს იძულების საჭირო ზომები ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2. 1970 წელი, ჰააგა. კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონო გატაცების შესახებ - ეხება უკანონოდ და ძალის გამოყენებით საჰაერო ხომალდის ხელში ჩამგდებ პირს. ის ავალებს ხელშემკვრელ მხარეებს, ასეთი დანაშაული „მკაცრის სასჯელით“ დასაჯონ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

3. 1971 წელი, მონრეალი. კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო ქმედებების შესახებ - აცხადებს იძულებით ქმედებას, რომელიც „უკანონოდ და განზრახ“ მიმართულია ხომალდში მყოფი პირის წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის ხომალდის უსაფრთხოებას. ხელშემკვრელი მხარეები, აქაც იღებენ ვალდებულებას, ასეთი დანაშაულის „მკაცრი სასჯელით“ დასაჯა.

4. 1988 წელი. სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციის დამატებითი პროტოკოლი, საერთაშორისო ნაოსნობისთვის განკუთვნილი აეროპორტების წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო ძალმომრეობითი ქმედების შესახებ - მიზანი: მონრეალის კონვენციის მოქმედება განავრცოს აეროპორტში ჩადენილ გერორისგულ აქტებზე.

5. 2010 წელი. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი აქტების აღკვეთის შესახებ - დანაშაულად აცხადებს სამოქალაქო ავიაციის გატაცებას, მისი იარაღად გამოყენების მიზნით, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ან მატერიალური ზიანის გამოწვევის მიზნით, ასევე საჰაერო ხომალდის გამოყენება გარემოს დაბინძურების მიზნით (მათ შორის რადიოაქტიური ნივთიერებით), ადამიანთა სიცოცხლის მოსასპობად. კანონგარეშედ არის

გამოცხადებული იარაღის უკანონო გრანსპორტირება, ისევე როგორც საჰაერო ნავიგაციის სისტემებზე კიბერშეტევა.

6. 2010 წელი. სამოქალაქო ავიაციის ხელში უკანონოდ ჩაგდების წინააღმდეგ კონვენციის პროტოკოლი - ავრცელებს კონვენციის მოქმედებას მისი ხელში ჩაგდების სხვადასხვა ფორმაზე, განსაკუთრებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

7. 2014 წლის პროტოკოლი, ერთგვარი დამატებითი ოქმი საჰაერო ხომალდის ბორტზე ჩადენილი ცალკეული დარღვევებისა და სხვა ქმედებების შესახებ.

8. 1973 წელი, ნიუ -იორკი. კონვენცია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების, მათ შორის დიპლომატების, წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ. კონვენციის თანახმად, „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირი“ გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურს, საგარეო საქმეთა მინისტრს, სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელსაც აქვს უფლება ისარგებლოს დაცვით სხვა სახელმწიფოში და ასევე მათი ოჯახის წევრებს.

9. 1979 წელი. ნიუ იორკი. კონვენცია გყველ აყვანის შესახებ - რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ აცხადებს პირთა გატაცებას, დაგყვევებას, დაჭრას, სახელმწიფოზე გავლენის მოხდენის მიზნით.

10. 1980 წელი. ვენა. კონვენცია რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ - ეხება რადიოაქტიური ნივთიერების მოპარვა, გავრცელება, გამოყენებას ან გამოყენების მუქარას ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის ან მისთვის საფრთხის შექმნის მიზნით, ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მისაყენებლად.

11. 2005 წელი. რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის დამატება - ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სამშვიდობო მიზნებით გამოყენებული რადიოაქტიული დანადგარებისა და მოწყობილობების დაცვა. ითვალისწინებს სახელმწიფოებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მოპარული და გაუჩინარებული რადიოაქტიური ნივთიერების უმაღლმოსაჩენად.

12. 1988 წლის კონვენცია საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ - აღგენს საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების აღსაკვეთ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ახლოს დგას საერთაშორისო ავიაციის შესახებ მიღებულ სამართლებრივ რეჟიმთან. საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ითვლება განზრახ და უკანონო ძალმომრეობითი ქმედება, რომელიც მიმართულია საზღვაო ხომალდზე მყოფი პირის მიმართ, როდესაც ამ აქტს შეუძლია საფრთხე შეუქმნას ნაოსნობის უსაფრთხოებას, ან ფეთქებადი ნივთიერების მოთავსება ხომალდზე მისი დაზიანების, ან სხვაგვარად ნაოსნობის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შესაქმნელად.

13. 2005 წელი. საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ კონვენციის პროტოკოლი - მართლსაწინააღმდეგოდ აცხადებს: საზღვაო ხომალდის გამოყენებას ტერორისტული აქტის ჩასადენად; საშიშ ნივთიერებათა გადატანას ხომალდით ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის მიზნით ან მისთვის საფრთხის შესაქმნელად, ტერორისტული აქტის ჩამდენი პირის გადაყვანას. საყურადღებოა, რომ პროტოკოლი ითვალისწინებს კონვენციის დებულებების დარღვევაში ექვმიგანილი ხომალდის შემოწმების შესაძლებლობას, რაც გარკვეულწილად ნაოსნობის თავისუფლების გრადიციულ გააზრებაში ცვლილებას ნიშნავს უსაფრთხოების სასარგებლოდ მისი რამდენადმე შეზღუდვის გამო.

14. 1988 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონგინენტურ შელფზე მდგარი უძრავი პლატფორმის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციას - ასეთი პლატფორმების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისთვის დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი მიახლოებულია საერთაშორისო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების რეჟიმთან.

15. 2005 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონგინენტურ შელფზე მდგარი უძრავი პლატფორმის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციის პროტოკოლს - პროტოკოლის გექსტს ათანხმებს კონვენციაში შესულ ცვლილებებთან.

16. 1991 წლის მონრეალის კონვენცია ასაფეთქებელი ნივთიერებების აღბეჭდვის შესახებ, მათი აღვილად აღმოჩენის მიზნით - მიზნად ისახავს

ალუბეჭდელი ფეთქებადი ნივთიერებების ან მისი აღმოჩენისთვის საჭირო აღნიშვნის გარეშე გამოყენების შემცირებას. ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე ასეთი ნივთიერებებზე კონტროლი, რათა კონვენციის ტექნიკურ დანართში აღნიშნული აღნიშვნებით აღიბეჭდოს ასეთი ნივთიერებები, მათი ტერიტორიის მასშტაბით. ტექსტი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს, ხელი შეუშალონ მათ ტერიტორიაზე ასეთი ნივთიერებების მოხვედრას.

17. 1997 წლის კონვენცია ასაფეთქებელი ნივთიერებებით ჩადენილი ტერორისტული აქტების აღკვეთის შესახებ – აღგენს უნივერსალურ კომპეტენციას უკანონოდ და განზრახ ასაფეთქებელი ნივთიერების სამოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოყენების შესახებ, ადამანთა მასებში სიცოცხლის მოსპობისა თუ მძიმე ფიზიკური ზიანის მიყენების მიზნით ან ასეთი ადგილებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მისაყენებლად.

18. 1999 წელი, კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ – ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, იქნება ეს პირდაპირი წესით დაფინანსება თუ ირიბად, შუამავლების გამოყენებით, მაგალითად, საქველმოქმედო, კულტურული თუ სოციალური საშუალებების გამოყენებით და ასევე იმ ჯგუფების გამოყენებით, რომლებიც ჩართულნი არიან ნარკოტიკური ნივთიერებებითა თუ იარაღით ვაჭრობაში. სახელმწიფოთა ვალდებულება, ასევე მოიცავს ასეთი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდებასაც.

19. 2005 წლის კონვენცია რადიოაქტიური ნივთიერების გამოყენებით ტერორისტული აქტის წინააღმდეგ – ეხება რადიოაქტიური რეაქტორებისა და სხვა დაწესებულებების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს და იმ საფრთხეს, რაც ასეთი ობიექტებიდან მოდის. სახელმწიფოთა ვალდებულება გულისხმობს ასეთი აქტის ჩამდენის ღებნას, ან ექსტრადიციას, ასევე თანამშრომლობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ასეთი აქტები და წარმატებით დასრულდეს დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი ღებნა. საგულისხმოა, რომ კონვენცია არ არის მხოლოდ დამნაშავეს წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტი, ის ასევე ითვალისწინებს ასეთი თავდასხმის

შედეგად წარმოქმნილი კრიზისული ვითარების მართვას სახელმწიფოების მიერ ურთიერთთანამშრომლობითა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სახელმწიფოებისგან ასევე მოითხოვენ თავი შეიკავონ ტერორისტული ქმედების ორგანიზების, წაქეზების, დაფინანსების, წახალისების, მონაწილე პირთა გაწვრთნის, მათთვის უსაფრთხო თავშესაფრის მიცემის, აქტიური ან პასიური მხარდაჭერის განხორციელებისაგან ან სხვა მსგავსი ქმედებისგან და დასაჯონ ტერორისტულ დანაშაულთა დაგეგმვა, ჩადენა ან მათი დაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ გაერო 2001 წლიდან მუშაობს ტერორიზმის განმარტების შემცველი „საერთაშორისო ტერორიზმის ყოვლისმომცველი ჩარჩო კონვენციის“ შემუშავებასა და მიღებაზე. თუმცა, სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოებისა და ამრთა სხვადასხვაობის გამო, ამგვარი კონვენცია ჯერ არ არის მიღებული.

ევროპის საბჭოს პირველი მცდელობა მოეხდინა ტერორიზმის განმარტება, განხორციელდა 1977 წელს, „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის“ მიღებით. აღნიშნული კონვენცია პირველად შეეხო ტერორისტული აქტების ფართო სპექტრს და წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება დააკისრა, არ ჩაეთვალათ მოცემული ქმედებები პოლიტიკურ, დანაშაულთან დაკავშირებულ ან პოლიტიკური მოტივით განპირობებულ დანაშაულებად. თუმცა, მოცემული კონვენცია არ შეიცავს ტერორიზმის გასაგებ განმარტებას, რადგანაც მისი მიზანი არის პროცედურული ხასიათის – მონაწილე სახელმწიფოების მიერ ტერორისტული აქტების დასჯა და აღკვეთა. კონვენციის პირველი მუხლი, ზოგადად, იძლევა ტერორისტული აქტების ჩამონათვალს, რომელთა განმარტება ან სახელმწიფოთა პრეროგატივას წარმოადგენს, ან საერთაშორისო კონვენციების მიხედვით ხდება. აღნიშნული მუხლი ხაზს უსვამს ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული ზოგიერთი ხერხის საფრთხეს, მაგრამ არ ითვალისწინებს სპეციალურ მიზანს, რომლის არსებობა აუცილებელია ქმედების

ტერორიზმად კვალიფიკაციისთვის. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს ტერორიზმის გამოსაყენებელ განმარტებას.⁸⁷

ევროპის საბჭოს შემდგომი მოქმედება უკავშირდება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის“ სრულყოფას. ამ მიზნით, 2003 წელს მიღებულ იქნა „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი“, რომელმაც გააფართოვა ტერორისტულ აქტად დასაკვალიფიცირებელი ქმედებების სია. ამასთან, აღნიშნული ოქმით სახელმწიფოებს დაეკისრათ ვალდებულება, დაესაჯათ არა მხოლოდ მოცემული ქმედებების ჩადენა, არამედ ამგვარ ქმედებებში თანამონაწილეობა (ორგანიზება, ხელმძღვანელობა) და მათი ჩადენის მცდელობა.⁸⁸ ვარშავაში, 2005 წლის 16 მაისს მიღებულ იქნა „ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ“, რომელიც ძალაშია 01.06.2007 წლიდან, დამატებითი ოქმი (პროტოკოლი) კი მიიღეს 2015 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ რიგაში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ევროპის საბჭომ მიიღო მთელი რიგი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები ტერორიზმთან სამართლებრივი ბრძოლის განსამტკიცებლად, ფუნდამენტური ღირებულებების დასაცავად და ტერორიზმის მიზეზების დასაღგენად. ამ ამოცანათა გადასაწყვეტად ჩამოყალიბებულ იქნა სხვადასხვა საბუთო ჯგუფები, მათ შორის მინისგრთა კომიტეტის მიერ შექმნილი ტერორიზმის ექსპერტთა კომიტეტი (შემდგომში ექსპერტთა კომიტეტი), რომელიც პასუხისმგებელია ევროსაბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის მუშაობის კოორდინაციაზე. აღნიშნულმა კომიტეტმა მოამზადა „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში ევროსაბჭოს კონვენცია), რომელიც მიღებული იქნა 2005 წლის 16 მაისს. მოცემული კონვენცია შეთუშავდა ყველა იმ წინამდებარე კონვენციისა და სახელმძღვანელო პრინციპის საფუძველზე, რომელიც მანამდე იქნა მიღებული, ევროპის საბჭოს მიერ. იგი

⁸⁷ European Convention on the Suppression of Terrorism

<https://rm.coe.int/16800771b2>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.09.2016

⁸⁸ Protocol amending the European Convention on the Suppression of Terrorism

<https://rm.coe.int/168008370d>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 07.09.2016

მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გამოხატავს ევროპის საბჭოს ღრეგანდელ დამოკიდებულებას ტერორიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მიმართ.⁸⁹

ევროსაბჭოს კონვენციის პირველი მუხლი მითითებს, რომ „ამ კონვენციის მიზნებისთვის „ტერორისტული დანაშაული“ ნიშნავს დანართში მითითებულ რომელიმე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულს იმ ფარგლებში და იმ მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრულია მათში“. აღსანიშნავია, რომ მოცემული კონვენციის დანართი შეიცავს სწორედ იმ საერთაშორისო კონვენციათა ჩამონათვალს, რომელიც მოცემულია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ევროპული კონვენციის და მისი შემცვლელი ოქმის პირველ მუხლში. საპარლამენტო ასამბლეის 1550 (2002) რეზოლუცია ითხოვდა, რომ ევროპის კავშირის მიერ 2001 წლის 27 დეკემბრის „ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალური ზომების გამოყენების შესახებ“ ევროპის საბჭოს საერთო პოზიციაში მითითებული ტერორიზმის დეფინიციის გამოყენებაზე. ექსპერტთა კომიტეტმა არ იხელმძღვანელა აღნიშნული დეფინიციით იმ მიზეზით, რომ იგი შეთანხმებული იყო მხოლოდ „საერთო პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით“ და არ ითვალისწინებდა ტერორიზმის საწინააღმდეგო კონვენციის შემუშავებას. შესაბამისად, არც ევროსაბჭოს კონვენცია იძლევა ტერორიზმის დეფინიციას და ტერორისტულ აქტს განმარტავს მხოლოდ იმ გაგებით და იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მითითებულია შესაბამის საერთაშორისო კონვენციაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ევროპული კონვენციის და მისი შემცვლელი ოქმისგან განსხვავებით, ევროსაბჭოს კონვენციის პრეამბულაში მითითებულია ტერორიზმის მიზანი და იგი გაგებულია როგორც „მოსახლეობის სერიოზულად დაშინება ან სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის უკანონო იძულება განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან, ან სერიოზულად შეარყიოს ან გაანადგუროს ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურები“. გასათვალისწინებელია, რომ

⁸⁹ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism
<https://rm.coe.int/168008371c>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 07.09.2016

ევროსაბჭოს კონვენცია არ მიიჩნევს ტერორისტული მოტივაციის არსებობას სავალდებულოდ ქმედების ტერორიზმად კვალიფიკაციისთვის.⁹⁰

ევროსაბჭოს კონვენციის მთავარი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს დასჯადი გახადონ ისეთი ქმედებები, როგორიცაა არის „ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით საჯარო წაქეზება“, „ტერორიზმის მიზნით პირთა გადაბირება“ და „ტერორიზმის მიზნით წვრთნა“.⁹¹

მოცემული კონვენციის მე-5 მუხლი აღგენს, რომ „ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით საჯარო წაქეზება ნიშნავს საზოგადოებაში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას ან სხვაგვარად მიწოდებას, რომლის მიზანიც არის ტერორისტული დანაშაულის ჩადენის წაქეზება, თუ ასეთი ქმედება, მოუხელავად იმისა, შეიცავს თუ არა იგი ტერორისტული აქტის ჩადენისკენ პირდაპირ მიწოდებას, წარმოშობს ერთი ან რამდენიმე ასეთი დანაშაულის ჩადენის საშიშროებას“.⁹²

ტერმინი „გავრცელება“ გულისხმობს ტერორიზმის მხარდამჭერი ინფორმაციის აქტიურ გავრცელებას, ხოლო ტერმინი „სხვაგვარად მიწოდება“ – ინფორმაციის იმგვარად განთავსებას, რაც მარტივად ხელმისაწვდომს ხდის მას საზოგადოებისთვის (მაგალითად, ინტერნეტში განთავსება, პრესის ან სხვა ბეჭდვითი საშუალებების გამოყენება). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მსგავსი ქმედება ჩადენილი იქნება პირდაპირ თუ არაპირდაპირ. არაპირდაპირი წაქეზება შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა არის დანაშაულის ჩამდენი პირის საქებარი, მსხვერპლთა ცილისმწამებლური, ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსებისკენ მოწოდებული ინფორმაციის გავრცელება ან სხვა მსგავსი ქმედება. ტერორისტული დანაშაულის აუცილებელ და გამართლებულ ქმედებად წარმოიჩენაც შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ წაქეზებას. არაპირდაპირობის ელემენტის შემოტანა ემსახურება ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმის გავრცელებას იმ ქვეყნებზე, რომლებიც შესაძლოა არაპირდაპირად იყვნენ ჩართულნი ტერორიზმში.

⁹⁰ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism
<https://rm.coe.int/168008371c>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 07.09.2016

⁹¹ იქვე

⁹² იქვე

ბეზოადინიშნული დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელია, ტერორისტული ბოროტმოქმედების წაქეზების მიზნისა, და შედეგად, ამგვარი დანაშაულის საშიშროების წარმოშობის არსებობა. საშიშროების არსებობის დადგენისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ინფორმაციის გამცემისა და მიმღების სუბიექტური ფაქტორები, უშუალოდ არასამართლებრივად მოქმედების კონტექსტში, საშიშროების მნიშვნელობა და შესაძლებლობის ხარისხი. ყოველივე ეს უნდა განისაზღვროს შიდა კანონმდებლობიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ გამოყენებული ტერმინი „სამოგადოებაში“ ხაზს უსვამს კანონმდებელთა მიზანს, არ გაეგრძელებინათ აღნიშნული მუხლი ინდივიდების წაქეზების ფაქტებზე.

ევროსაბჭოს კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, „ტერორიზმის მიზნით პირთა გადაბირება ნიშნავს სხვა პირის დაყოლიებას, რათა ჩაიდინოს ტერორისტული დანაშაული, ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩადენაში, ან გაწევრიანდეს გაერთიანებაში ან ჯგუფში ამ გაერთიანების ან ჯგუფის მიერ ერთი ან რამდენიმე ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში ხელშემწყობის მიზნით“.⁹³

„დაყოლიება“ შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, მაგალითად, როგორც პირისადმი პირდაპირი, ისე ელექტრონული საშუალებით მიმართვით. ამგვარი დანაშაულის დამთავრებისთვის, არ არის აუცილებელი, რომ ადრესატმა რეალურად მიიღოს ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა ან გაწევრიანდეს გაერთიანებასა ან ჯგუფში. დანაშაულის დამთავრებისთვის საკმარისია ადრესატისადმი წარმატებული დაახლოება, ამასთან, აუცილებელია დაყოლიებულ პირს ჰქონდეს მიზანი სწორედ მე-6 მუხლში მითითებული ქმედებისათვის დაიყოლიოს პირი. აღსანიშნავია, რომ კონვენციის მიხედვით „გაერთიანების“ და „ჯგუფის“ მნიშვნელობის განსაზღვრა თითოეული წევრი სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს. შესაბამისად, ევროპის საბჭოს არცერთი კონვენცია არ შეიცავს ტერორისტული ორგანიზაციის მსგავსი ელემენტის განმარტებას.

⁹³ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism
<https://rm.coe.int/168008371c>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 07.09.2016

ევროსაბჭოს კონვენციის მე-7 მუხლი აღგენს, რომ „ტერორიზმის მიზნით წვრთნა ნიშნავს ინსტრუქტაჟის გაწევას ასაფეთქებელი, ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღის ან მომწამლელი ან საშიში ნივთიერებების, ან სხვა სპეციფიკური მეთოდებისა და ტექნიკის დამზადების ან გამოყენების სფეროში, ტერორისტული დანაშაულის ჩადენის ან ხელშეწყობის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცოდნა გამოყენებული იქნება აღნიშნული მიზნით“.⁹⁴

მოცემულ მუხლში გამოყენებული ტერმინები უნდა განიმარტოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობების საფუძველზე, ხოლო ამგვარი ქმედების დასჯადობისთვის, აუცილებელია, გასაწვრთნელმა პირმა იცოდეს, რომ მისი წვრთნა სწორედ ტერორისტული დანაშაულის შემდგომი ჩადენის ან ჩადენაში ხელშეწყობის მიზნით ხდება.

გასათვალისწინებელია, რომ ევროსაბჭოს კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს თავიანთ შიდა კანონმდებლობაში დააკვალიფიცირონ მოცემული დანაშაულები სისხლის სამართლის დანაშაულებად, თუ ისინი ჩადენილია განზრახ და უკანონოდ. ორივე ელემენტის მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს თითოეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

ევროსაბჭოს კონვენციის მე-9 მუხლი ითვალისწინებს დამატებით დანაშაულებს, რაც გულისხმობს ისეთი ქმედებების დასჯას, როგორიცაა ზემოაღნიშნულ დანაშაულებში „თანამონაწილეობა“, მათი „ორგანიზება“ ან მათი ჩადენის მიზნით „სხვათა ხელმძღვანელობა“, „დახმარების გაწევა საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფისთვის“. „ასეთი დახმარება უნდა ატარებდეს განზრახ ხასიათს და ა) განხორციელებულ უნდა იქნას ჯგუფის კრიმინალური საქმიანობის ან კრიმინალური მიზნის ხელშეწყობის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საქმიანობა ან მიზანი მოიცავს წინამდებარე კონვენციის მე-5-მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას; ბ) უნდა ემყარებოდეს ინფორმაციას ჯგუფის

⁹⁴ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism
<https://rm.coe.int/168008371c>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 07.09.2016

განზრახვის შესახებ, ჩაიდინოს წინამდებარე კონვენციის მე-5-მე-7 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული”.⁹⁵

მოცემული მუხლი ეყრდნობა საერთაშორისო სისხლის სამართალში შეძულებულ დოქტრინას საერთო კრიმინალური განზრახვის შესახებ. მე-9 მუხლი ასევე სავალდებულოდ მიიჩნევს სისხლის სამართლის დანაშაულად დაკვალიფიცირდეს „ტერორიზმის მიზნით პირთა გადაბირების” და „ტერორიზმის მიზნით წვრთნის” დანაშაულთა ჩადენის მცდელობა.⁹⁶

ევროპის კავშირი არის პირველი ორგანიზაცია, რომელმაც შეიმუშავა წევრ სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად გამოყენებადი ტერორიზმის დეფინიცია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული საბჭოს შეთანხმება თავიდანვე ითვალისწინებდა წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებას, ეფექტური ბრძოლა ეწარმოებინათ ტერორიზმის წინააღმდეგ, ტერორიზმის დეფინიციის მიღების აუცილებლობის საკითხი მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დადგა დღის წესრიგში. დაჩქარებული ტემპით გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, საბჭომ 2002 წლის 13 ივნისს მიიღო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო - გადაწყვეტილება (შემდგომში ჩარჩო-გადაწყვეტილება) და მის ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინების საბოლოო თარიღად განისაზღვრა იმავე წლის 31 დეკემბერი.

ჩარჩო-გადაწყვეტილება იძლევა ტერორიზმის საერთო განმარტებას, ადგენს სახელმწიფოთა შორის კომპეტენციის გამიჯვნისა და თანამშრომლობის წესებს ტერორისტული დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯასთან მიმართებაში, მოცემული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში ტერორიზმის სხვადასხვა განმარტებების არსებობა, ასევე ის ფაქტი, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს არ ჰქონდა რატიფიცირებული ტერორიზმის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციები, რაც აშკარად შეუძლებელს ხდიდა სახელმწიფოთა მიერ საერთო მიზნების მიღწევას.⁹⁷

⁹⁵ იქვე

⁹⁶ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism
<https://rm.coe.int/168008371c>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –07.09.2016

⁹⁷ Council Framework Decision
<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002F0475&from=EN>,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –10.09.2016

ჩარჩო - გადაწყვეტილება პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ტერორიზმის დეფინიციას, არამედ „ტერორისტულ ჯგუფებთან დაკავშირებულ დანაშაულებს“ და „ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს“. იგი არ ასხვავებს ერთმანეთისგან საერთაშორისო და შიდა ტერორიზმს, რადგან ამ განსხვავებას არ ანიჭებს მნიშვნელობას ტერორიზმის განმარტებისთვის.

ჩარჩო გადაწყვეტილების პირველ მუხლს ახასიათებს ორი ობიექტური (შიდა კანონმდებლობის მიხედვით დასჯადობა და პოტენციური შედეგები) და ერთი სუბიექტური ელემენტი (მიზანი): „თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით განმარტებული (ა)-დან - (ი) პუნქტამდე მითითებული განზრახი დანაშაულები, რომლებსაც თავიანთი ბუნებისა და შინაარსის გამო, შეუძლიათ სერიოზულად დააზიანონ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, როდესაც ჩაიდინეს იმ მიზნით, რომ სერიოზულად დააზიანონ მოსახლეობა, ან უკანონოდ აიძულონ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან, ან სერიოზულად შეარყიონ ან გაანადგურონ ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურები, ჩაითვალოს ტერორისტულ დანაშაულებად: (ა)... (ი)“.⁹⁸

მეორე ობიექტური ელემენტი უბრალოდ მოითხოვს, რომ ქმედება, თავისი ხასიათითა და შინაარსით, დაზიანების საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას. შედარებით მარტივად შესაფასებელ კონკრეტულ ან პოტენციურ შედეგებს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთავარია ქმედების ჩამდენი პირის მიერ დაგეგმილი შედეგები (რაც უფრო რთული დასადგენია).

ჩარჩო-გადაწყვეტილება მოითხოვს ტერორისტული ქმედების ჩადენისას სპეციალური მიზნის არსებობას და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენისთანავე

⁹⁸ Council Framework Decision
<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002F0475&from=EN>,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 10.09.2016

უყურადღებოდ გოვებს მოტივს (რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა), რადგან მოტივთა კლასიფიკაციას მნიშვნელობა არა აქვს ტერორიზმის დეფინიციისას.

ჩარჩო-გადაწყვეტილება ასევე გვაძლევს ტერორისტული ჯგუფის დეფინიციას. გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მიხედვით: „ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებისთვის „ტერორისტული ჯგუფი“ გულისხმობს: ორზე მეტი პირისგან შემდგარ, სტრუქტურულ ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ერთობლივად მოქმედებს ტერორისტულ დანაშაულთა ჩასადენად. „სტრუქტურული ჯგუფი“ გულისხმობს ჯგუფს, რომელიც შემთხვევით არ არის შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელსაც არ ჭირდება წევრთა შორის ფორმალურად განაწილებული ფუნქციების წევრობის უწყვეტობისა ან განვითარებული სტრუქტურის ქონა“. იმავე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, „უზრუნველყონ შემდეგი სახის განმზრახვი ქმედებების დასჯადობა:

ა) ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა;

ბ) ტერორისტული ჯგუფის ქმედებებში მონაწილეობა, მათ შორის ინფორმაციის ან მასალების მიწოდებით ან მისი საქმიანობის ნებისმიერი სახის დაფინანსებით, იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ ამგვარი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ტერორისტული ჯგუფის საქმიანობას”.⁹⁹

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან ჩანს, „სტრუქტურული ჯგუფის“ დეფინიცია ეყრდნობა ორმაგ უარყოფას. მათი ინტერპრეტაციით, პირველი მოითხოვს ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნის არსებობას (ანუ შემთხვევითობის გამორიცხვას), ხოლო მეორე კრიტერიუმის მიხედვით, ნებისმიერი თანამონაწილეობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს კრიმინალური კავშირის იერარქია ან მუდმივი შემადგენლობა, მაინც ხვდება მე-2 მუხლის მოქმედების ქვეშ. კრიმინალურ ჯგუფთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებული პირის დასჯის თავიდან ასაცილებლად, ჩარჩო- გადაწყვეტილება მოითხოვს მის მიერ იმის გაცნობიერებას, „რომ ამგვარი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ტერორისტული ჯგუფის საქმიანობას”.

⁹⁹ Council Framework Decision <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002F0475&from=EN>,
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 10.09.2016

აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირი პერიოდულად თავად განსაზღვრავს ტერორისტულ ორგანიზაციათა სიას – შესაბამისი საერთო პოზიციის მიღებით.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლი ეხება „ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს“. ამ მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულები, ფაქტობრივად, ემთხვევა შესაბამის საერთაშორისო კონვენციებში არსებულ დანაშაულთა განმარტებებს. ჩარჩო-გადაწყვეტილება, ასევე, აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, დასაჯონ გემოაღნიშნულ დანაშაულთა წაქეზება, მათ ჩადენაში დახმარება ან ხელშეწყობა და მათი ჩადენის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეობის ფორმებისა და მცდელობის განმარტება გადაწყვეტილების მიხედვით სახელმწიფოთა დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს.¹⁰⁰

3.2. ტერორიზმი – საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ ჭრილში

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს (ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) აქვს ცალკეული კანონები ტერორიზმის წინააღმდეგ, ან ტერორიზმის განმარტებები მაინც – სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, **საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით**, ტერორიზმი განმარტებულია, როგორც „ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა დაშინებისა და ტერორის გამოყენებით, საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევის მიზნით“.¹⁰¹ სხვა სახელმწიფოები (ჰოლანდია, ბელგია და ფინეთი) ტერორისტთა დასჯისას ეყრდნობიან სისხლის სამართლის კოდექსს ტერორიზმის დეფინიციის გარეშე, იმ მოსაზრებით, რომ ნებისმიერი ტერორისტული ქმედება მაინც დასჯადი იქნება კოდექსის მიხედვით. თუმცა, ეს ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოებში ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, როგორც ასეთი, არარის უკანონო და შესაბამისად არ ისჯება. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ტერორისტულ დანაშაულთა დასჯა უფრო მსუბუქად ხდება. მაგალითად, **ჰოლანდიის კანონმდებლობა** არ შეიცავს ტერორიზმის განმარტებას და ტერორისტები ისჯებიან, როგორც მოძალადე დამნაშავეები. შემუშავებულია

¹⁰⁰ იქვე

¹⁰¹ Legislating Against Terrorism – The French Approach. Chatham House.

ჩარჩო-კანონმდებლობა, რომელიც დასჯადს ხდის ტერორისტული მიზნის მქონე ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობას.¹⁰²

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ტერორიზმის საკითხს განიხილავს „ტერორიზმის შესახებ“ 2000 წლის აქტში. აღნიშნული აქტი შეიცავს როგორც ტერორიზმის, ისე ტერორისტული ორგანიზაციის განმარტებას, რომლის მიხედვით, „ორგანიზაცია დაკავებულია ტერორიზმით, თუ: ა) იგი სჩადის ან მონაწილეობს ტერორისტულ აქტში; ბ) ამზადებს ტერორისტულ აქტს; გ) ხელს უწყობს ან წააქეზებს ტერორიზმს; დ) სხვა სახით არის დაკავებული ტერორიზმით“.¹⁰³

აქტის მეორე ნაწილი ეხება ორგანიზაციის უკანონოდ გამოცხადების წესსა და პროცედურას. მოცემული აქტის მიხედვით, „ორგანიზაცია უკანონოა, თუ: ა) ის მოცემულია უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციების ე.წ მე-2 ცხრილის ჩამონათვალში; ბ) მოქმედებს იმავე სახელით, რითაც აღნიშნულ ცხრილში მოცემული ორგანიზაცია“. ტერორიზმის შესახებ აქტის მე-2 ცხრილში, ასევე, მოცემულია იმ ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომლებიც დიდ ბრიტანეთში უკანონო ორგანიზაციებად არიან მიჩნეულნი. მათი უკანონოდ მიჩნევა შემდეგი სახის პროცედურის განხორციელებით მოხდა: „სახელმწიფო მდივანს შეუძლია ბრძანებით: ა) დაამაგოს ორგანიზაცია მე-2 ცხრილს; ბ) ამოიღოს ორგანიზაცია მე-2 ცხრილიდან; გ) სხვა რაიმე სახის შესწორება შეიტანოს ამ ცხრილში“.¹⁰⁴

სახელმწიფო მდივანს მოცემული უფლებამოსილება შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „მას სწამს, რომ ორგანიზაცია დაკავებულია ტერორიზმით“.

ტერორიზმის შესახებ აქტი უფლებას აძლევს უკანონოდ გამოცხადებულ ორგანიზაციას ან ამგვარი გამოცხადებით უფლებადარღვეულ პირს, მიმართოს სახელმწიფო მდივანს და მოსთხოვოს ორგანიზაციის მე-2 ცხრილიდან ამოღება. სახელმწიფო მდივანი განიხილავს მიღებული მიმართვის დასაბუთებულობას

¹⁰² Akerboom E.S.M., Counter-terrorism in the Netherlands. AIVD Documents <https://english.aivd.nl/publications/publications/2003/11/11/counter-terrorism-in-the-netherlands>

¹⁰³ Terrorism Act 2000. https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/11/pdfs/ukpga_20000011_en.pdf,

¹⁰⁴ იქვე

გარკვეული პერიოდის განმავლობაში. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილება უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციების სააპელაციო კომისიაში. მოცემული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში შეიძლება უკვე სასამართლოში გასაჩივრდეს, თუმცა აღნიშნული ქმედება დასაშვებია მხოლოდ თავად კომისიისგან იმ სასამართლოს ნებართვით, სადაც გასაჩივრება უნდა მოხდეს.

ტერორიზმის შესახებ აქტის მიხედვით, “პირი სჩადის დანაშაულს, თუ იგი განეკუთვნება ან ღიად აცხადებს, რომ განეკუთვნება უკანონოდ გამოცხადებულ ორგანიზაციას”. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ

ა) ორგანიზაცია არ იყო უკანონოდ გამოცხადებული იმ დროს, როდესაც იგი გახდა ორგანიზაციის წევრი ან ღიად გამოაცხადა მისი წევრობის შესახებ;

ბ) ორგანიზაციის უკანონო მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში მას არ მიუღია ორგანიზაციის ქმედებებში მონაწილეობა”.¹⁰⁵

მოცემული აქტის მიხედვით, „პირი სჩადის დანაშაულს, თუ

ა) იგი მოუწოდებს უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის თანადგომისკენ;

ბ) თანადგომა არ გამოიხატება, ან არ შემოიფარგლება მხოლოდ ფულის ან სხვა საკუთრების მიწოდებით.

პირი სჩადის დანაშაულს, თუ იგი ორგანიზებას უწევს ან ეხმარება ისეთი შეხვედრის დაგეგმვაში, რომელიც იცის, რომ ეწყობა: ა) უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის მხარდასაჭერად; ბ) უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის ქმედებათა გასაღრმავებლად; გ) უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციისადმი მიკუთვნებული ან ასეთის მაღიარებული პირის მიერ მიმართვის გასაკეთებლად.¹⁰⁶

პირი სჩადის დანაშაულს, თუ იგი მიმართავს ორგანიზაციას შეხვედრაზე და ამ მიმართვის მიზანია უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის მხარდაჭერისკენ ან მის ქმედებათა გაღრმავებისკენ მოწოდება”. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რომ კერძო შეხვედრაზე გამოსვლისას მას არ ჰქონდა გონივრული მიზეზი,

¹⁰⁵ Terrorism Act 2000.

https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/11/pdfs/ukpga_20000011_en.pdf,

¹⁰⁶ იქვე

დაეჯერებინა, რომ მისი გამოსვლა მხარს დაუჭერდა ან გააღრმავებდა უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის ქმედებებს.¹⁰⁷

ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული აქტის მიხედვით, “პირი სჩადის დანაშაულს, თუ იგი საჯარო ადგილას ისეთი სახით, ან ისეთ გარემოებებში: ა) აგარებს დამახასიათებელ ტანსაცმელს; ბ) აგარებს, ან ააშკარავებს ისეთ საგანს, რაც წარმოშობს მისი უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის წევრობის ან მის მხარდამჭერად ყოფნის გონივრულ ეჭვს”.¹⁰⁸

ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს კანონმდებლობა აღნიშნულ პირთა დაკავების ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. ტერორიზმის შესახებ აქტის მიხედვით, საზღვრის დაცვის თანამშრომელს შეუძლია დაკითხოს პირი იმის დასადგენად, არის თუ არა იგი ტერორისტი, ტერორისტული ორგანიზაციის წევრი ან საერთოდ ჩადენილი აქვს თუ არა მოცემული აქტით გათვალისწინებული რაიმე დანაშაული. აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი იმყოფება ქვეყნის საზღვაო, სახმელეთო ან საჰაერო საზღვართან. საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საზღვრის დაცვის თანამშრომელი უფლებამოსილია, გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება ან პირი, დააკავოს იგი, დაკითხოს, ჩააგაროს ჩხრეკა და ა.შ. ანუ განახორციელოს აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები.¹⁰⁹

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა შეიცავს ტერორიზმის მრავალგვარ განმარტებას. ერთმანეთისგან განსხვავდება ფედერალურ კანონმდებლობაში, სხვადასხვა აქტებში (როგორებიცაა უცხოური დაზვერვის ზედამხედველობის აქტი, ემიგრაციისა და პატრიოტული აქტი და სხვ.), სახელმწიფო დეპარტამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაკეთებული განმარტებები.

აღნიშნული განმარტებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოყენებადია ფედერალურ კანონმდებლობაში არსებული და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განმარტებები. ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის 113 ბ თავის

¹⁰⁷ Terrorism Act 2000.

https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/11/pdfs/ukpga_20000011_en.pdf,

¹⁰⁸ იქვე

¹⁰⁹ იქვე

მიხედვით, გერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ გულისხმობს ქმედებებს, რომლებიც:

ა) მოიცავს ძალადობრივ ან ალამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ქმედებებს, რაც წარმოადგენს შეერთებული შტატების ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევას, ან რაც შეერთებული შტატების ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციის სფეროში ჩადენის შემთხვევაში იქნებოდა სისხლის სამართლის დანაშაული;

ბ) განზრახ არის ჩადენილი იმ მიზნით, რომ (ი) დააშინოს ან აიძულოს სამოქალაქო მოსახლეობა; (იი) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკაზე დაშინებით ან იძულებით; ან (იიი) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს ქმედებაზე მასობრივი განადგურებით, მკვლელობით ან გატაცებით;

გ) ძირითადად ხდება შეერთებული შტატების ტერიტორიული იურისდიქციის გარეთ, ან ცდება ეროვნულ საზღვრებს იმის გათვალისწინებით, თუ სად ხდება მათი დასრულება, ან ვის დაშინებას ან იძულებას აპირებდნენ ისინი, ან სად მოქმედებდნენ შემსრულებლები, ან სად ეძიებენ თავშესაფარს”.¹¹⁰

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განსაზღვრების მიხედვით:

– „ტერორიზმი“ ნიშნავს წინასწარ განზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობას, ჩადენილს ქვენაციონალური ჯგუფების ან ფარული პირების მიერ, არამებრძოლ სამომხეტა წინააღმდეგ, რაც ჩვეულებრივ მიზნად ისახავს მოსახლეობაზე ზემოქმედებას.

– „საერთაშორისო ტერორიზმი“ ნიშნავს ტერორიზმს, რომელიც მოიცავს ერთზე მეტი ქვეყნის მოსახლეობას ან ტერიტორიას.

– „ტერორისტული ჯგუფი“ ნიშნავს ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობს ან მოეპოვება მნიშვნელოვანი ქვეჯგუფები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმს.¹¹¹

¹¹⁰ 9.U.S. Code, Chapter 113B _ Terrorism. <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/2331>

¹¹¹ Patterns of Global Terrorism, United States Department of State, April 2004.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში გერმინ “საერთაშორისოს” არსებობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ასხვავებს შიდა და საერთაშორისო გეროროიზმს. გეროროიზმის მოცემულ ორ განმარტებას შორის არის არსებითი სხვაობა იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ღეპარტამენტის განმარტება გეროროიზმს მიიჩნევს პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობად, მიმართულს არამებრძოლ სამიზნეთა წინააღმდეგ, რაც არ გვხვდება ფედერალურ კანონმდებლობაში. აღნიშნული განმარტებების მსგავსება მდგომარეობს მათ მიზანში, რაც, ფაქტობრივად, იდენტურია. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხოური გეროროისტული ორგანიზაციების განსაზღვრის ნორმატიულ საფუძველს. შესაბამისი ღეგალური პროცედურა მოცემულია **იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტში**.¹¹²

მოცემული აქტის საფუძველზე, ღეგალურად არის განსაზღვრული ორგანიზაციის უცხოურ გეროროისტულ ორგანიზაციად მიჩნევის პროცედურა. განსაზღვრამდე „შვიდი ღლით აღრე სახელმწიფო მღივანმა საიღუმლო შეტყობინებით უნდა: (ი) წერილობით აცნობოს წარმომადგენელთა პალატის სპიკერს და უმცირესობის ღიდერს, პრეზიდენტს, უმრავლესობის ღიდერს, სენატის უმცირესობის ღიდერს და შესაბამისი კომიტეტების წევრებს თავისი განზრახვა ამ ქვეთავის საფუძველზე ორგანიზაციის უცხოურ გეროროისტულ ორგანიზაციად მიჩნევის თაობაზე ამ ორგანიზაციის მიმართ პირველი პარაგრაფის საფუძველზე გაკეთებულ აღმოჩენებთან და შესაბამის ფაქტობრივ საფუძველთან; და (იი) ამგვარი შეტყობინების გაკეთებიდან შვიდი ღლის შემდეგ, გამოაქვეყნოს მითითება ფედერალურ რეესტრში“. მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ შევა ამგვარი მითითება ძალაში. „ამ ქვეთავის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი მითითება შეწყვეტს მოქმედებას კონგრესის მიერ ამგვარი მითითების გამაუქმებელი აქტის გამოცემის შემთხვევაში“.

აღნიშნული მითითება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის შემდეგ, თუ შესაბამისი გარემოებები კვლავ იარსებებს,

¹¹² Immigration and Nationality Act, a.k.a. the McCarran-Walter Act, 82nd Congress; June 27, 1952

სახელმწიფო მდივანს იმავე პროცედურის დაცვით შეუძლია, თავიდან მიუთითოს ორგანიზაცია უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად შემდგომი ორი წლის ვადით.

მსგავსი მითითების გაუქმების უფლება მინიჭებული აქვს კონგრესს. შესაბამისი აქტის გამოცემის საფუძველზე კონგრესს შეუძლია დაბლოკოს ან გააუქმოს ზემოთ მოცემული პროცედურის მიხედვით გაკეთებული მითითება. თუმცა მითითების გაუქმება შესაძლებელია მოხდეს მდგომარეობათა ცვლილების საფუძველზეც: „სახელმწიფო მდივანს შეუძლია გააუქმოს გაკეთებული მითითება, თუ დაადგენს, რომ: (ი) მითითების საფუძველად არსებული გარემოებები შეიცვალა იმგვარად, რაც იძლევა მითითების გაუქმების უფლებას; ან (იი) შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროება იძლევა მითითების გაუქმების უფლებას”.¹¹³

გაუქმებისას გამოიყენება იგივე პროცედურა, რაც მითითებისას. თუმცა, გაუქმებას უკუძალა არა აქვს მინიჭებული, ანუ ის ქმედებები და პროცესები, რაც განხორციელდა გაუქმების ძალაში შესვლამდე, არ შეიძლება გაბათილდეს ან ძალადაკარგულად გამოცხადდეს. ბრალდებულს არა აქვს კანონის დაცვით გამოცემული მითითების ნამდვილობის საკითხის დაყენების უფლება თავის გამართლების ან წარმოებული სისხლის სამართლებრივი ქმედებების გასაჩივრების მიზნით, თუმცა, გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად აღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს მისი სამართლებრივი გადახედვა სასამართლოს მიერ.

სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იგი უკანონოდ და გააუქმოს, თუ დაადგენს, რომ იგი არის: ა) თვითნებური, დაუსაბუთებელი, გამოცემული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ან სხვა მხრივ არ შეესაბამება კანონმდებლობას; ბ) ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ უფლებას, უფლებამოსილებას, პრივილეგიას ან იმუნიტეტს; გ) გამოცემულია საკანონმდებლო იურისდიქციის, უფლებამოსილების ან შეზღუდვის ან საკანონმდებლო უფლების გადაჭარბებით; დ) აკლია ადმინისტრაციული ჩანაწერის ან სასამართლოსთვის წარდგენილი საილუმლო ინფორმაციის არსებითი

¹¹³ Immigration and Nationality Act. <https://www.uscis.gov/ilink/docView/SLB/HTML/SLB/act.html>

მხარდაჭერა, ან ე) გამოცემულია კანონით გათვალისწინებული პროცედურის შეუსაბამოდ.

მოცემული აქტი, ასევე, ითვალისწინებს უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად მითითებული ორგანიზაციის ანგარიშების გაყინვის შესაძლებლობას. კერძოდ, „შეცვობინების გაკეთების შემდეგ, ფინანსთა მინისტრს შეუძლია, მოსთხოვოს ნებისმიერი უცხოური, მათ შორის შეცვობინებაში მითითებული ორგანიზაციების ანგარიშების მფლობელ (ან მაკონტროლებელ) შეერთებული შტატების ფინანსურ დაწესებულებებს, დაბლოკონ ანგარიშებთან დაკავშირებული ყველა ფინანსური გარიგება ფინანსთა მინისტრის, კონგრესის აქტის ან სასამართლო ბრძანების საფუძველზე შემდგომ ღირექტივათა მიღებამდე“.¹¹⁴

აშშ-ს „პატრიოტის აქტი“ (2001)¹¹⁵ – რომელიც მიღებული იქნა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, სამართალდამცავებს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, ტერორიზმთან ბრძოლის მოგივით განახორციელოს მოსახლეობის უპრეცედენტო კონტროლი. აღნიშნული აქტი ევროპელი ადამიანის უფლებათა დამცველ ექსპერტთა მკაცრი კრიტიკის საგანია დღემდე.

3.3. ტერორიზმი საქართველოს კანონმდებლობაში

ტერორიზმის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში განხილულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.¹¹⁶ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ კიდევ ერთხელ აიღო ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ვალდებულება.¹¹⁷ აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლში ტერორიზმი განიხილება, როგორც ორგანიზებული დანაშაული, რომელთანაც განსაკუთრებული ბრძოლა არის საჭირო. ტერორიზმის

¹¹⁴ Immigration and Nationality Act. <https://www.uscis.gov/ilink/docView/SLB/HTML/SLB/act.html>,

¹¹⁵ USA Patriot Act. (2001) 109. U.S. Code, Chapter 113B – Terrorism

¹¹⁶ სუჯაშვილი დ., „ტერორიზმი – საქართველოს საკანონმდებლო ჭრილში“. ჟურნალი „კრიმინოლოგი“ №1 (11-12). თბ. 2016 – 2017. გვ. 78-84

¹¹⁷ საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ბრიუსელი, 2014, 27 ივნისი

წინააღმდეგ ბრძოლაში პირდაპირ ავალდებულებს ამ შეთანხმების მე-12, მე-19 და 116-ე მუხლები.¹¹⁸ ამას თან ერთვის სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ სათანადო ზომები ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლენებაზე პრევენციის მიზნით და მიიღონ ერთობლივი ზომები მასთან საბრძოლველად. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ბრძოლა ტერორიზმის ფინანსურ წყაროებთან, როგორებიც არის ფულის გათეთრება, ნარკოდანაშაული და სხვ.

ასოცირების შეთანხმების მე-20 მუხლის თანახმად, საქართველო იღებს ტერორიზმის კრიმინალიზაციისა და მასთან საბრძოლველად საერთაშორისო თანამშრომლობის ვალდებულებას¹¹⁹. გარდა ამისა, საქართველოს მიერ ხელმოწერილი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები ასევე ამყარებენ მის თანამშრომლობას საერთაშორისო თანამეგობრობასთან ტერორიზმის წინააღმდეგ, მაგალითად, საქართველო - გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“¹²⁰; გაეროს კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“¹²¹; ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“¹²², ხელშეკრულებები ამერბაიჯანის, გერმანიის, თურქეთის, ლაგვის, ყაზახეთის და სხვა მთავრობებთან.

ევროპის კავშირის დონეზე პირველად განისაზღვრა ტერორიზმის შემადგენელი ნიშნები და ასევე მისთვის გასათვალისწინებელი სანქციების მინიმალური ზღვარი 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-შეთანხმებით. აღნიშნულის შემდგომ, საქართველომ, 2007 წლის 27 ივნისს, მიიღო კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“¹²³, რომელმაც გამოიწვია ცვლილებების შეგანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად გაზარდა ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი.

¹¹⁸ ევროკავშირის საბჭოს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ჩარჩო-გადაწყვეტილება, 2002, 13 ივნისი.

¹¹⁹ ევროკავშირის კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1977, 27 იანვარი

¹²⁰ გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ 1999, 9 დეკემბერი

¹²¹ გაეროს კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“ 2005, 13 აპრილი

¹²² ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ 2005, 16 მაისი

¹²³ საქართველოს კანონი „ტერორიზმის ბრძოლის შესახებ“, 2007, 27 ივნისი.

აღნიშნული კანონით განისაზღვრა სამართლებრივი საფუძვლები ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ, კერძოდ: კონგრტერორისტული ღონისძიებების ჩატარება, რაც გულისხმობს ხელმძღვანელობას, ძალებისა და საშუალებების გამოყენებას, მოსახლეობის ინფორმირებას და სხვ. კანონმა ასევე განსაზღვრა ტერორისტული აქტის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციების მართვა და კონგრტერორისტული ოპერაციების განხორციელება. კანონმა „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ ტერორიზმი განმარტა, როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, საგრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციებისა და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა, იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“.

აღნიშნული კანონი მისადაგებულია საერთაშორისო ნორმებთან და მათ შესაბამისად განმარტავს საერთაშორისო ტერორიზმს. 1-ლი მუხლის (დ) პუნქტის თანახმად, საერთაშორისო ტერორიზმი არის ქმედება, რომელიც გახორციელდა:

- ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფებისა ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიაღწა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);
- ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;
- იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არის ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქე, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ.

საერთაშორისო გერორიზმის დანაშაულზე პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 3232-ე მუხლით,¹²⁴ რომლის მიხედვით, საერთაშორისო გერორიზმში მონაწილეობა ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი გერორისტული მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით – თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.

„გერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე განსაზღვრავს გერორიზმთან ბრძოლის ორგანიზაციულ საფუძვლებს, სახელმწიფოში გერორიზმთან ბრძოლის სუბიექტებს და მათ უფლებამოსილებას. ამ კანონის მე-2 თავის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოში გერორიზმთან ბრძოლის ორგანიზებას, მის სპეციალური საშუალებებითა და მაგერიალური რესურსებით უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს მთავრობა, ხოლო გერორიზმთან ბრძოლას უშუალოდ ახორციელებენ შემდეგი სუბიექტები:

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავარი ორგანოა გერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს დაზვერვის სამსახური;
- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

მნიშვნელოვანია, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებიც ღიდ როლს თამაშობენ გერორიზმთან ბრძოლაში, განსაკუთრებით, პრევენციის კუთხით. აღნიშნული კანონი, ამავედროულად, განსაზღვრავს კონგრეტერორისტულ საქმიანობაში ჩართული სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს და უზრუნველყოფს კოორდინაციას, სუბორდინაციის დაცვით, კერძოდ, მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონგრეტერორისტული ცენტრის მეშვეობით კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას.

საქართველოს კანონის „გერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ 24-ე მუხლის, „საპროკურორო გედამხედველობის“ თანახმად, „გერორიზმთან ბრძოლისას,

¹²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999, 22 ივლისი.

საქართველოს კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი“, რაც მიუთითებს ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის მაღალ სტანდარტზე.

2000 წლის 1 ივნისის მონაცემებით, მიღებულ სსკ-ში გეროორისგული ხასიათის დანაშაულებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2007 წელს საქართველოს კანონის „გეროორიზმთან ბრძოლის შესახებ“ მიღებით. სსკ-ის 323-ე მუხლი - „გეროორისგული აქტი“ - „აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი გეროორისგული მიზნით, ან გეროორისგული აქტის ჩადენის მუქარა“, შეესაბამება საქართველოს კანონის „გეროორიზმთან ბრძოლის შესახებ“ და საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული გერმინის განმარტებას. ერთადერთი, რასაც იგი არ ითვალისწინებს საერთაშორისო კანონმდებლობიდან, არის საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა პოტენციურ სამიზნეთა გვერდით მოხსენიება, თუმცა ეს ხარვეზი შეესებულია სსკ-ის 326-ე მუხლით, რომელიც ცალკე გამოყოფს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, მათ ოჯახის წევრებს ან მათ კუთვნილ შენობებს. ამავე მუხლის მიხედვით, ხელყოფა უნდა განხორციელდეს „პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით“. პოლიტიკური მოტივის გეროორისგულ დანაშაულში შეგანასთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებულია ევროპის საბჭოს გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი გეროორისგული დანაშაული ან მასთან დაკავშირებული ქმედებები გაათავისუფლონ პოლიტიკური დაცვითვისაგან და პირდაპირ აცხადებს, რომ გეროორისგული დანაშაული არ შეიძლება ჩათვალოს „პოლიტიკურ, პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ ან პოლიტიკური მოტივით განპირობებულ დანაშაულებად“.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველომ 2000 წელს მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, რაც თავისთავად წარმოშობს მოცემული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებას.

საქართველოს სსკ-ის 318-ე მუხლი საბოგაჟის მიზნად მიიჩნევს “საქართველოს დასუსტებას”, ხოლო 323-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, გერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის (უცხო ქვეყნის) საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება. ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება საქართველოს დასუსტებაში. თავად საბოგაჟის მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს დასუსტება შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლაში, განსაკუთრებული დანაშაულების ობიექტის დაზიანებაში, მწყობრიდან გამოყვანასა ან განადგურებაში, აგრეთვე, ბირთვული ენერგიის კონტროლიდან გამოყვანაში, ეპიდემიის ან ეპიზოოგიის გავრცელებაში ან სხვა ქმედებაში. 323-ე მუხლი არ აზუსტებს, და შესაბამისად, მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, თუ კონკრეტულად რა ქმედებაში შეიძლება გამოიხატოს გერორისტული აქტი. მთავარია, რომ იგი ჩადენილი იყოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული საშუალებითა და მიზნით. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული ქმედებების ჩადენა ხდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის მიზნით, ისინი უნდა დაკვალიფიცირდნენ 323-ე მუხლით, რაც წინააღმდეგობაში მოდის 318-ე მუხლთან.

სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია გერორისტული მიზნის დეფინიცია, რომელიც გერორიზმის თავში მოცემული თითქმის ყველა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისათვის აუცილებელი ორიენტირია. ამგვარი მიდგომა კანონიერების პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია.

სსკ-ის 324-ე მუხლის „ტექნოლოგიური გერორიზმი“ მე-3 ნაწილში მითითებულია: „ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური

(ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიოაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან/და ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, ჩადენილი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით“. ამ მუხლში ტერორისტულ მიზანთან ერთად მითითებულია არა ზოგადად მოსახლეობა, რომელიც ადამიანთა ფართო მასებს მოიცავს, არამედ შევიწროებულია და სამიზნე ობიექტად მითითებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი.

სსკ-ის 329-ე მუხლის „მძევალთა ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით“ სუბიექტური შემადგენლობა ტერორისტულ მიზანთან ერთად მიუთითებს რელიგიური ორგანიზაციის იძულების მიზანზეც, რაც ალტერნატიულად აფუძნებს ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტურ შემადგენლობას. ტერორისტულ მიზანთან ერთად ამგვარი ალტერნატიული მიზნის მითითება განაპირობა იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტერორისტულ მიზანში მუქარის აღრესატად მოხსენიებული არ არის რელიგიური ორგანიზაცია.

სსკ-ის კოდექსის 330-ე მუხლის პირველი ნაწილი დასჯად ქმედებად მიიჩნევს „სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას ტერორისტული მიზნით“. იმ შემთხვევაში, თუ ტერორისტულ მიზნად მიიჩნევა „საქართველოს დასუსტება“, მაშინ ბუნდოვანი გახდება მოცემული შემადგენლობის მქონე ქმედების კვალიფიკაციის საკითხი.

საქართველოს სსკ-ს 331-1-ე მუხლი - „ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მაგერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა“ 1999 წლის გაეროს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად შეიცვალა. ტერორისტული აქტის დაფინანსება ცვლილებამდე დანაშაულში თანამონაწილეობად (დახმარებად) კვალიფიცირდებოდა, ამგვარი ქმედება ღლეს დამთავრებულ, დამოუკიდებელ დანაშაულად ფასდება, რისთვისაც პასუხისმგებლობაც შესაბამისად მაღალია; ტერორიზმთან ბრძოლისა და ტერორიზმის თავიდან აცილების მიზნით, გამოცემულია საქართველოს მთავრობის და

საქართველოს ეროვნული ბანკის არაერთი მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.¹²⁵

IV თავი - საერთაშორისო გერორიზმის გამოწვევები და საქართველოს სპეციალური სამსახურების მართვის მექანიზმები

4.1. კონგრესორისგული საქმიანობა საერთაშორისო დონეზე

2001 წლის 12 სექტემბერს ჩრდილო-აღმოსავლეთურმა საბჭომ, წინა დღით ნიუ-იორკ-სა და ვაშინგტონში განხორციელებული გერორიზმის თავდასხმა გამოაცხადა ყველა წევრ სახელმწიფოზე თავდასხმად. ეს იყო პირველი შემთხვევა ნატო-ს ისტორიაში, როდესაც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამოქმედდა. ერთი წლის შემდეგ, პრალის სამიგზე, მოკავშირეებმა მოიწონეს რიგი ინიციატივებისა

¹²⁵ • საქართველოს მთავრობის დადგენილება N 236 - „ფულის გათეთრებისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“; 2014, 18 მარტი.

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N254 - „ქვეყანაში კონგრესორისგული საქმიანობის ორგანიზებისა და გერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ“, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონგრესორისგული ცენტრის მეშვეობით ახორციელებს კონგრესორისგული საქმიანობის კოორდინაციას; 2014, 26 მარტი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N246/04 „კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და გერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“; 2015, 21 აპრილი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N247/04 „ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და გერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“; 2016, 5 მაისი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N48/04 „საბროკერო კომპანიების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და გერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“; 2016, 5 მაისი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N261/04 „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და გერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“; და სხვა ნორმატიული აქტები. 2016, 31 მაისი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N43/04 „საგადასახადო მომსახურების, პროვაიდერების, უკანონო შემოსავლის, ლეგალიზაციის და გერორიზმის დაფინანსების რისკის, ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“. 2017, 28 მარტი.

ნატო-ს შესაძლებლობების განსამტკიცებლად ტერორიზმის და სხვა გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. მიღებული იქნა ტერორიზმისაგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია.¹²⁶

2003 წლის ნოემბერში ნატო-ს შგაბ-ბინასთან დაფუძნდა ტერორისტული საფრთხის სადაზვერვო შენაერთი, რომლის მიზანიც იყო განემტკიცებინა წევრ სახელმწიფოთა შორის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობები. 2004 წლის ივნისში სტამბოლის სამიგზე, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა დაამტკიცეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა პაკეტი.

ხოლო ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის მცდელობამ, ტერორიზმის მასშტაბების მრდის საშიშროებამ და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა 2014 წლის 11 სექტემბერს საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კოალიციის ჩამოყალიბების თაობაზე დეკლარაციის ხელმოწერა.¹²⁷ დეკლარაციაში, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კოალიციის ყველა წევრი ერთად და კოორდინირებულად იმუშავებს „ისლამური სახელმწიფოსგან“ მომავალი ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ. კოალიციის წევრები გაზრდიან თანამშრომლობას როგორც კონგრეტერორისტული მიმართულებით, ისე „ისლამური სახელმწიფოს“ ფინანსური რესურსებისა და დამფინანსებლების წინააღმდეგ. ასევე, გატარდება კოორდინირებული ზომები

¹²⁶ ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა დაამტკიცეს ტერორიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს პარტნიორ ქვეყნებს და ითვალისწინებს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით შესაძლო თავდასხმისთვის მზადყოფნის ამაღლებას. დამტკიცდა 5 თავდაცვითი ინიციატივა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი პირდაპირი შედეგი იყო 2003 წლის დეკემბერში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისაგან თავდაცვის ბატალიონის ჩამოყალიბება შგაბით ლიბერეცში (ჩეხეთის რესპუბლიკა). ბატალიონი, რომელშიც ალიანსის 13 წევრი სახელმწიფო მონაწილეობს, ნატო-ს რეაგირების ძალების შემადგენელი ნაწილია. გარდა ამისა, ნატო-მ წამოიწყო მნიშვნელოვანი კვლევა რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში, და კიბერ შეტევების წინააღმდეგ თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიმართულებით.

<https://www.nato.int/docu/review/2005/Combating-Terrorism/NATO-Response-Terrorism/EN/index.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –25.09.2016

¹²⁷ <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/saudiArabia/11090799/10-Arab-states-commit-to-share-US-led-fight-against-Isil.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 25.09.2016

გერორისტების „ცოცხალი ძალის“ და ახალი მოხალისეების კონფლიქტის ზონებში შედინების წინააღმდეგ. აღნიშნული კოალიციის ფარგლებში შეიქმნა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფები. 2014 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება სამ მიმართულებაში მიეღო მონაწილეობა. ეს არის ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ფინანსირება, გერორისტების შედინება და კონგრპროპაგანდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ პრაქტიკულად შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება გერორიზმის მიმართ და გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად გააქტიურდა, საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა გერორიზმის საფრთხის აღმოფხვრა. მსოფლიო სამოგადოება დღესაც დაუცველია გერორისტული დაჯგუფებების საქმიანობისგან. 2001 წლიდან მოყოლებული ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ნატო და ევროკავშირი, ეძებენ გზებს თუ როგორ შეიძლება უფრო ეფექტურად დაიცვან თავი გერორიზმის მოსალოდნელი საფრთხისგან.

გერორიზმისგან თავდაცვის ძლიერი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო, უნივერსალური თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, რათა გერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერი გაცვლის მექანიზმების შექმნით და საერთო კოორდინირებული ზეშაობით მოხდეს გერორიზმის პრევენცია.

4.2. კონტრგერორისტული საქმიანობის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

აშშ-ის კონტრგერორისტულ სტრატეგიას ორი მიზანი აქვს: გერორიზმისგან დაიცვას მისი თანამემამულეები, მოკავშირეები და მსოფლიოში შექმნას გერორიზმის გავრცელებისთვის მიუღებელი გარემო. ამერიკის შეერთებული

შტატები გეროროიზმთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს უწყებათაშორის კოორდინაციას და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას.

აშშ-ში 1958 წლიდან მოყოლებული შექმნილია ათეულობით კანონი და კანონქვემდებარე აქტი გეროროიზმის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ აქტებს შორის არის პრეზიდენტის ღირექტივა N39 (1995 წ. ივნისი), “გეროროიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სიკვდილით დასჯის შესახებ“. ასევე, პრეზიდენტის ღირექტივა N62 (1998 წ. მაისი), „კანონი სპეცსამსახურებისთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გეროროიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარმა გეროროისტულმა აქტმა დღის წესრიგში დააყენა აშშ-ის კონგრეტეროროისტული სტრატეგიის განახლების საკითხი. კონგრესმა შეიმუშავა ნორმატიული აქტების ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ცნობილია „პატრიოტული აქტის“ სახელით. აღნიშნული აქტის საფუძველზე, განსაკუთრებით გაიზარდა გეროროიზმის წინააღმდეგ მეზობლი უწყებების უფლებამოსილებები.

აშშ-ის კონგრეტეროროისტული სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: არანაირი დათმობა გეროროისტებს, ყოვლისმომცველი პოლიტიკურ-ეკონომიკური წნეხის განხორციელება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ეხმარებიან გეროროისტებს და ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა მათ, ვინც ებრძვის გეროროიზმს.

2001 წელს გეროროიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის აღმინისტრაციამ განახორციელა მთელი რიგი სტრუქტურული რეფორმები. კერძოდ, შეიქმნა შიდა უსაფრთხოების საბჭო (Homeland Security Council), რომელიც შეიმუშავებს შიდა უსაფრთხოების სტრატეგიას და რეკომენდაციებს პრეზიდენტისთვის. ამავდროულად, კოორდინაციას უწევს ყველა აღმასრულებელ ორგანოს, რომლებიც შეიმუშავებენ შიდა უსაფრთხოების პოლიტიკას.

ჩამოყალიბდა ახალი თანამდებობა - პრეზიდენტის თანამშემწე შიდა უსაფრთხოების საკითხებში. ასევე, შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (National Security Council). აღნიშნული საბჭო კოორდინაციას ახორციელებს აშშ-ის საზღვრებს გარეთ. ამ უწყებაში შეიქმნა თანამდებობა საბჭოს მდივნის

მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

ასევე, დაარსდა შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი (Department of Homeland Security). აღნიშნულმა სტრუქტურამ თავის ქვეშ გააერთიანა შიდა უსაფრთხოებაზე მომუშავე მთელი რიგი სააგენტოები, მათ შორის, სამღვრის დაცვისა და გრასპორტის სტრატეგიული ობიექტების დაცვის სააგენტო. მისი მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის შიგნით ტერორიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, აშშ-ის სისუსტეების აღმოფხვრა ტერორიზმის კუთხით, ტერორიზმის პრევენცია, ტერორისტული აქტის შემდგომი გარალის და შედეგების უმოკლეს დროში აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

ტერორისტული აქტების გამოძიების საკითხებზე კვლავ მუშაობენ ფედერალური ბიუროს სამსახურის სპეციალური დანაყოფები.

შეიარაღებული ძალების შტაბებში კოორდინაციისთვის შექმნილია გაერთიანებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფები. ამავდროულად, 2003 წელს შეიქმნა ტერორისტული საფრთხეების ინტეგრაციის ცენტრი (TTIC). ეს ცენტრი ახორციელებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედან მომდინარე ტერორისტული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს. ეს ცენტრი განლაგებული იყო ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (CIA) შტაბ-ბინაში და მისი დირექტორი ექვემდებარებოდა ზემოხსენებული სააგენტოს ხელმძღვანელს. მოგვიანებით 2004 წელს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრი (National Counterterrorism Center), სადაც კოორდინირებულად მუშაობენ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს, ცენტრალური დაზვერვის და თავდაცვის ანტიტერორისტული ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

2003 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საკოორდინაციო ცენტრი – ტერორიზმის აქტივობების მონიტორინგის ცენტრი (Terrorism Screening Center), რომლის მიზანია საინფორმაციო ბაზის შექმნა მსოფლიოში მიმდინარე ტერორისტული აქტივობების შესახებ.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ტერორიზმის დაფინანსების წყაროებსა და ტერორისტების არალეგალური ფინანსური მოძრაობების გრაფიკებზე. ამ ეტაპზე აშშ ცდილობს შეიმუშაოს მეთოდები ე.წ. „ჭაველას“¹²⁸ წინააღმდეგ.

აშშ-ის მთავარი ინტერესი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არის ქვეყნის შიგნით და ახლო აღმოსავლეთში, თუმცა აშშ-ის კონგრესორისგული სტრატეგია ითვალისწინებს ანტიტერორისტული მონიტორინგის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი უწყებების კოორდინირებული მუშაობით და პარტნიორ ქვეყნებთან მიზანდასახული თანამშრომლობით აშშ იქცა მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ლიდერ ქვეყანად.

კანადის კონგრესორისგულ სტრატეგიაში,¹²⁹ ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოება არის მთავრობის მთავარი პრიორიტეტი. აშშ-ის შემდეგ, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კანადა დიდ რესურსებს ხარჯავს. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოიყენება აქტიური უწყებათაშორისი პარტნიორობა. კანადის სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო სამოგალოების, ასევე საერთაშორისო პარტნიორობებთან ეფექტური თანამშრომლობა გამოიყენება ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ტერორიზმის წინააღმდეგ კარგად კოორდინირებულმა ქმედებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კანადის მოქალაქეებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ კანადის მხარის მოქნილი მიდგომის შედეგად, ჩამოყალიბებული კონგრესორისგული სტრატეგია დაფუძნებულია შესაძლო საფრთხეების ბუნებისა და მასშტაბების შეფასებაზე და აყალიბებს მასთან

¹²⁸ ფულის ხელიდან ხელში გადაცემის ძვ. გრადიციული არაბული მეთოდი.

¹²⁹ Building Resilience Against Terrorism, Canada's Counter-Terrorism Strategy. Second Edition, Her Majesty the Queen in Right of Canada, 2013

ბრძოლის ძირითად პრინციპებს და ელემენტებს. ერთად, აღნიშნული პრინციპები და ელემენტები გამოიყენება, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ მთავრობის ძალისხმევის პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრის ძირითადი საშუალება. აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა კანადის შიგნიდან და მისი საზღვრების გარედან მომდინარე საფრთხეების დაძლევა.

სტრატეგიის ძირითადი პრინციპია ქვეყანაში მდგრადი სტაბილურობის მშენებლობა, საბოლოო მიზანი კი - ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის მიმართ გამძლე საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს გაუძლოს ტერორისტულ შემოტევებს. კონგრტერორისტული სტრატეგიის განსაზღვრისას, კანადური მხარე ხელმძღვანელობს ალამიანის უფლებების პატივისცემითა და კანონის უზენაესობის პრინციპებით. სტრატეგიის მიხედვით, კანადის სახელმწიფო უწყებათა შორის კოორდინაცია და პარტნიორული ურთიერთობები კონგრტერორისტული პოლიტიკის წარმატების საწინდარია.

კონგრტერორიზმის მიმართულებით აქტიური კოორდინაცია ხორციელდება, როგორც კანადის საერთაშორისო პარტნიორებთან, ისე ქვეყნის სადაზვერვო, უსაფრთხოების, სახელმწიფო, რეგიონალურ და მუნიციპალურ სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის. კანადაში უწყებათაშორისი კოორდინაცია სახეზეა ხელისუფლების ყველა დონეზე, რაც დადებითად აისახება სამოქალაქო საზოგადოებაზე. კანადის კონგრტერორისტული სტრატეგია მოიცავს ოთხ ურთიერთგამაძლიერებელ ელემენტს: პრევენცია, გამოვლენა, შეწინააღმდეგება და საპასუხო ქმედება. კონგრტერორისტული კუთხით მთავრობისა და შესაბამისი სამსახურების კოორდინაცია მიმართულია სწორედ ამ კუთხით.

პრევენციისას ფოკუსირება ხდება მოტივაციაზე, რომელიც ამოძრავებს პირს ან პირთა ჯგუფს, ჩაერთონ ტერორისტულ საქმიანობაში კანადის ტერიტორიაზე და/ან საზღვარგარეთ;

გამოვლენისას ფოკუსირება ხდება ტერორისტების, ტერორისტული ორგანიზაციების და მათი მხარდამჭერების იდენტიფიკაციაზე. ტერორისტების შესაძლებლობებისა და გეგმების განსაზღვრა ხორციელდება სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზის მეშვეობით, რაც მოიცავს უწყებათაშორის ფართო

თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან.

შეწინააღმდეგებისას ფოკუსირება ხდება სადაზვერვო და სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირებულ ქმედებებზე რათა გეროორისგთა მიერ გამოყენებული საშუალებებისა და მათი შესაძლებლობების გამოვლენის შემდგომ, ალკვეთონ გეროორისგების საქმიანობა. აღნიშნული ქმედებები მოიცავს გეროორისგულ საქმიანობაში ჩართული ან მათთან დაკავშირებული პირებისა და ორგანიზაციების სამართლებრივ დევნას.

შესაძლო გერაქტების განხორციელების შემთხვევაში, საპასუხო ქმედებისას ხორციელდება გეროორისგული თავდასხმის პროპორციული რეაგირება სწრაფად, ორგანიზებულად და კოორდინირებულად ისე, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს თავდასხმის ეფექტის განეიგრალება, შემცირდეს მისი გავლენა მოქალაქეებზე და საზოგადოება მაქსიმალურად უმოკლეს ვადებში დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიგს.

კანადის მოქნილი და უწყებათა შორის კოორდინირებული კონგრგეროორისგული სგრაგეგია ნათლად აყალიბებს ქვეყნის ინტეგრირებულ მიდგომას გეროორისგული საფრთხეების მიმართ. მისი მიზანია ერთობლივი, კოორდინირებული ძალისხმევით დაძლეულ იქნას შიდა და საერთაშორისო გეროორიზმის საფრთხეები, რაც მოიცავს:

- კანადის სადაზვერვო, სამართალდამცავი და სხვა ძალოვანი უწყებების ყურადღებისა და მუხგის მკაფიოდ განსაზღვრული სგრაგეგიული მიზნების გარშემო კონცენგრიებას;
- კონგრგეროორისგული მიმართულებით უწყებათა შორის კოორდინაციის საერთო საფუძელისა და სახელმძღვანელო პრინციპების უზრუნველყოფას;
- ქვეყნის კონგრგეროორისგული პოლიგიკის პრიორიგეგების შეთანხმებულად და კოორდინირებულად ჩამოყალიბებას;

კანადის კონგრგეროორისგული სგრაგეგია დაფუძნებულია ფუნდამენტურ რწმენაზე, რომ გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს პარტნიორობას ყველა დონეზე და კონგრგეროორისგული პოლიგიკის წარმაგებით განსახორციელებლად

საჭიროა ინტეგრირებული მიდგომა არა მხოლოდ კანადის საღაზვერო, სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან, არამედ კერძო და სამოქალაქო სექტორების, საერთაშორისო პარტნიორებისა და მოკავშირეების აქტიური ჩართულობა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.¹³⁰

კანადის სახელმწიფო, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის მოქალაქეებთან პარტნიორობას. კონგრეტორისგული სტრატეგიის მიხედვით, ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს უფრო ღრმა გაგებას, თუ რაგომ არის საჭირო სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, კონკრეტული საფრთხის საპასუხოდ, ამა თუ იმ ქმედებების განხორციელება.¹³¹ მოქალაქეთა ინფორმირებულობა, დადებითად მოქმედებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე და მრდის საზოგადოების თანამშრომლობის ხარისხს ქვეყნის მთავრობასთან და უსაფრთხოების სამსახურებთან. შედეგად, კონგრეტორისგული კუთხით, მთავრობას და უსაფრთხოების სამსახურებს ძლიერი მხარდაჭერა აქვთ ადგილობრივ თემებში.

ბოლო წლებში განვითარებული და თანამედროვეობასთან ადაპტირებული ტერორისგული ორგანიზაციები ქვეყნის წინაშე წარმოქმნიან უფრო და უფრო დეცენტრალიზებულ და მრავალფეროვან საფრთხეებს. შესაბამისად, კანადის კონგრეტორისგული სტრატეგიაც ადაპტირებადი და მომავალზე ორიენტირებულია. მისი მიზანია არა მხოლოდ ეფექტური რეაგირება წარმოქმნილ საფრთხეებზე, არამედ საფრთხეების ღრული იდენტიფიცირება და ქვეყნისათვის რისკის შემცველი ტენდენციების განვითარების ანალიზის საფუძველზე უწყებათაშორისი, ქვეყნის საზოგადოებასთან და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად კოორდინირებული და კომპლექსური ზომების წინმსწრებად მიღება.

საზღვარგარეთ ტერორიზმის საკითხებზე/ინციდენტებზე რეაგირებას ახდენს კანადის საგარეო საქმეთ სამინისტრო, რომელსაც მხარდაჭერას უწევს კანადის მთავრობის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტი (DFAIT).

¹³⁰Building Resilience Against Terrorism, Canada's Counter-Terrorism Strategy. Second Edition, Her Majesty the Queen in Right of Canada, 2013, page 12

¹³¹Building Resilience Against Terrorism, Canada's Counter-Terrorism Strategy. Second Edition, Her Majesty the Queen in Right of Canada, 2013, page 4

კანადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურისა და DFAIT-ის გარდა, ადგილობრივი და საერთაშორისო გეროორისტული შემთხვევების/ინციდენტების დროს, მუშაობაში ერთვებიან ინტეგრირებული ოპერაციების სხვადასხვა ცენტრები (ITAC).¹³² სამთავრობო ოპერაციების ცენტრები უზრუნველყოფენ ინფორმაციის დროულ გაცვლას და შემთხვევის/ინციდენტის დროს ინტეგრირებულ მუშაობას.

კანადის უსაფრთხოებისა და დამცვერვის სამსახურის (CSIS) გლობალური ოპერაციების ცენტრი (CGOC) – პასუხისმგებელია, რეაგირება მოახდინოს უწყების თანამშრომლების მიერ (როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ მყოფნი) წამოჭრილ საკითხებზე.

კანადის შეიარაღებული ძალების სპეციალური დანიშნულების შემადგენლობაში შედის მე-2 გაერთიანებული ოპერატიული ჯგუფი (JTF2) – ელიტური დანაყოფი, რომელიც 1993 წელს შეიქმნა. იგი მონაწილეობს კონგრტეროორისტულ ოპერაციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2014 წლიდან კანადა არის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო კოალიციის წევრი. აღნიშნული კოალიციის მიხედვით, კანადა საჭიერო ოპერაციებს ახორციელებს სირია-ერაყის ტერიტორიაზე. ოპერაციაში „IMPACT“ ჩართულია კანადის შეიარაღებული ძალები (Canadian Armed Forces).

წარმატების მისაღწევად, მთავრობის კონგრტეროორისტული ძალისხმევა არ შემოიფარგლება ტეროორისტულ საქმიანობაში უკვე ჩართული პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ ოპერაციებით. ქვეყანაში აქტიურად გარდება პრევენციული ღონისძიებები იმ პირობა ან პირობა ჯგუფების გამოსაფლენად, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა ჩათრეულნი იყვნენ ტეროორისტულ აქტივობებში. სადაზვერვო, უსაფრთხოების და ადგილობრივი სამსახურების ფოკუსირება ხდება ინდივიდუალურ მოტივაციაზე და სხვა სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეთნოფსიქოლოგიურ და რელიგიურ ფაქტორებზე. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, ყოველთვის შეიძლება ვერ მოხერხდეს ტერაქტის პრევენცია, ქვეყნის საზოგადოება დარწმუნებულია, რომ მათი მთავრობის მიერ მიიღება ყველა შესაძლო გონივრული ზომა, რათა დროულად აღმოაჩინოს საფრთხე და თავიდან აიცილოს ტეროორისტული

¹³² ტეროორიზმის შეფასების ინტეგრირებული ცენტრი კანადაში.

თავდასხმა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტერორისტების მიერ კანადის ტერიტორიაზე მაინც მოხერხდა რაიმე სახის ტერორისტული შეტევის განხორციელება, სამოგადოება არის მორალურად მზად და ღარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მხრიდან ოპერატიულად მოხდება წინასწარ კარგად კოორდინირებული და პროპორციული რეაგირება ნებისმიერ გამოწვევაზე.

ისრაელის კონტრტერორისტული სტრატეგია მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს:

- საღაბვერვო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- ტერორისტული ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად სამხედრო და სპეციალური ოპერაციების ჩატარება;
- კომერციული საავიაციო უშიშროება;
- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება/გამოყენების წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღება;
- მშვიდობიანი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;¹³³

ისრაელში ტერორიზმის პრევენციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისრაელის სამოგადოების სამოქალაქო სიფხიმლის შენარჩუნებას. ისრაელის სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი – ძლიერი, ინტელექტზე დაფუძნებული საღაბვერვო სამსახურია, რომლის რესურსების დიდი ნაწილი გამოიყენება ისრაელის ტერორისტებისგან დასაცავად და კონტრტერორისტული ოპერაციების დასაგეგმად. ისრაელმა შეიმუშავა უაღრესად კოორდინირებული და ეფექტური ღაბვერვის აპარატი. ადამიანური და ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებით, ისრაელის სახელმწიფო სტრუქტურები 24 საათიან რეჟიმში კოორდინირებულად მუშაობენ ტერორისტული საფრთხის იდენტიფიცირებასა და მის განეგრძალებაზე. მათი მუშაობის სტილში აღსანიშნავია მაღალი კორდინაცია. ისრაელის საგარეო და საშინაო ღაბვერვის სააგენტოები კარგად თანამშრომლობენ ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-გაზიარების მიმართულებით. ისრაელის

¹³³Aravind A., A critical Analyses of Israel's Counter-Terrorism Strategy.

<http://foreignpolicynews.org/2016/08/08/a-critical-analysis-of-israels-counter-terrorism-strategy/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 27.09.2016

უსაფრთხოების სააგენტო, რომელიც ცნობილია, როგორც „Shin Bet“-ი, პირდაპირ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია და პასუხისმგებელია შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ტერორისტული აქტების პრევენციაზე. „Shin Bet“-ი არაბთა საქმეთა სამმართველო აგარებს არაბი ტერორისტების მხრიდან შესაძლო დივერსიების მეთვალყურეობას, ხოლო დაცვისა და უსაფრთხოების სამმართველო იცავს ისრაელის სამთავრობო შენობებს, საელჩოებს, მსხვილ სახელმწიფო კონტრაქტორებს, სამეცნიერო-კვლევით ობიექტებს, სამრეწველო ობიექტებს და ეროვნულ ავიაკომპანია „El Al“-ს.

ისრაელი ასევე, დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მუშაობას, საგარეო სადაზვერვო სააგენტო „MOSSAD“-ისა (ებრაულად “ინსტიტუტი”) და სამხედრო დაზვერვა „Aman“-ის საშუალებით. „Shin Bet“-ი მჭიდროდ თანამშრომლობს „MOSSAD“-სა და „Aman“-თან, მათ შორის, პრემიერ-მინისტრისათვის ტერორიზმის საფრთხეების შეფასების წლიური ანგარიშის მომზადებაში.

სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ისრაელის სადაზვერვო სამსახურები იყენებენ როგორც ადამიანურ რესურსებს, ისე დახვეწილ თანამედროვე ტექნოლოგიებს – ელექტრონული მიყურადების, ტექნიკური დაზვერვისა და ვიზუალურ სადაზვერვო (მათ შორის დრონები) საშუალებებს. თუმცა, მიუხედავად მაღალტექნოლოგიური აღჭურვისა, ისრაელის სადაზვერვო სამსახურების პრიორიტეტია მაღალინტელექტუალური ადამიანური რესურსების არსებობა.

ისრაელის გამოცდილებიდან შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე მიმართულება:

- სადაზვერვო სამსახურების ფუნდამენტური როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- საგარეო დაზვერვისა და შიდა უსაფრთხოების სამსახურების მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა;
- მაღალტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების გარდა, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალი ადამიანური რესურსების მომზადებას;

- კოორდინირებული ძალისხმევით მიღებული საღაზვერვო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გაანალიზება და შესაბამის სტრუქტურებთან ინფორმაციის გაზიარება;

კავკასიის რეგიონში მზარდი ტერორისტული საფრთხეების ფონზე, გასათვალისწინებელია ისრაელის გამოცდილება საავიაციო უსაფრთხოების სფეროშიც. ტერორისტებისათვის სამგზავრო თვითმფრინავი მიმზიდველი და საკმაოდ დაუცველი სამიზნეა, რადგანაც მცირე აფეთქებაც კი, რომელმაც შესაძლოა ხმელეთზე გამოიწვიოს მინიმალური ზარალი, ჰაერში ანადგურებს ავიალაინერს და მის ბორცვზე მყოფ ასობით ადამიანს.

ისრაელის ეროვნული ავიაკომპანია „El Al“-ის¹³⁴ უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი აქცენტი, ადამიანურ ფაქტორზეა გადატანილი. დღეისათვის, ტერორისტების მიერ გამოიყენება ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევები, შედეგად კი თვითმფრინავის ბორცვზე ასაფეთქებელი ნივთიერებების შეტანის რისკი მაგულობს. ასაფეთქებელი მოწყობილობები შესაძლოა დამალული იყოს ბარგში, ტანსაცმელში, ფეხსაცმლის ძირებში, მობილურ ტელეფონებში და ა.შ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის გახმაურებულ ტერაქტებში, ტერორისტების მხრიდან არ იყო გამოყენებული არც ცეცხლსასროლი იარაღი და არც ასაფეთქებელი მოწყობილობები. მათ მხოლოდ საოფისე ქაღალდის საჭრელი დანებით შეძლეს თვითმფრინავების გატაცება.

საავიაციო უსაფრთხოების სისტემაში გამოიყენება გარკვეული ტიპის, მათ შორის ფსიქოლოგიური პროფილირება.¹³⁵ გარდა იმისა, რომ ტერმინალის

¹³⁴ კომპანიის დაახლოებით 80 მილიონი აშშ დოლარის უსაფრთხოების ბიჯეტი, მოიცავს თელ-აზივში ბენ გურიონის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალზე და სამგზავრო თვითმფრინავებზე უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დაცვას. „El Al“-ის ტერმინალებში გამოიყენება მგზავრთა კონკრეტული ფსიქოლოგიური პროფილირების ტექნიკაზე დაფუძნებული და მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით გამყარებული სისტემა.

¹³⁵ ყველა მგზავრი ჩასვლამამდე სამი საათით ადრე გადის მაღალი ღონის კონკრეტულს, მათ შორის სკრინინგს. მგზავრები თავიდანვე იყოფიან კატეგორიებად (ისრაელის მოქალაქე ებრაელები, უცხოეთში დაბადებული ებრაელები, არაბები და სხვა უცხოელები). „El Al“-ის უსაფრთხოების სისტემა ამუშავებს ისრაელის მთავრობის მიერ გამოყენებულ, დაზვერვისა და სამართალდამცავი სტრუქტურების ერთობლივ მონაცემთა ბაზებს, რომელთა გამოყენებაც ეხმარება საეჭვო მგზავრების დროულად იდენტიფიცირებაში.

უსაფრთხოება ამოწმებს მგზავრების მონაცემებს ბაზებში, ინტერვიუერი რამდენიმე წუთის განმავლობაში პირადად მიმართავს თითოეულ მგზავრს დეტალურად შემუშავებული სპეციფიკური კითხვებით.¹³⁶

ისრაელში საავიაციო უსაფრთხოების სექტორში შრომა შედარებით მაღალანაზღაურებადია. ისრაელის საავიაციო უსაფრთხოების მოდელი, აეროპორტის ტერმინალში უსაფრთხოების მომების გააუმჯობესების საშუალებით კონკრეტული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი მისაბაძი მაგალითია. კიდევ ერთი მიმართულება, რომელშიც ისრაელის მაგალითი მეტ ყურადღებას იმსახურებს, არის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ტერორისგული მიზნებისთვის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა. ისრაელმა განახორციელა ქიმიური და ბიოლოგიური შეტევის საწინააღმდეგო დახვეწილი სამოქალაქო თავდაცვის პროგრამა.¹³⁷

1992 წლიდან მოყოლებული ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა ახლად ამენებული საზოგადოებრივი შენობა, საცხოვრებელი ბინა, კომპლექსი და კერძო სახლი უნდა ითვალისწინებდეს დაჯავშნული „დაცული ოთახის“ არსებობას, რომელიც საფრთხის დროს ილუქება, აღჭურვილია ელექტროენერგიით, სატელეფონო კავშირით, წყალმომარაგებით, სველი წერტილით და გელევიზორით.¹³⁸

გარდა ფიზიკურისა, ტერორიზმთან ფსიქოლოგიური ომის პირობებში, ისრაელში ხშირია ტერორიზმის ექსპერტების ვიზიტები სასწავლო დაწესებულებებში

¹³⁶ შედეგად, მგზავრთა უმრავლესობა კლასიფიცირდება როგორც დაბალი რისკის მაგარებული, ხოლო დაახლოებით 1% - როგორც მაღალი რისკის, რადგანაც ისინი მთავრობის ბაზებში მონიშნულია, როგორც საეჭვო პირები ან გასაუბრების დროს მიიპყრეს ინტერვიუერის ყურადღება თავიანთი პასუხებით ან ქცევის მანერებით. ასეთ პირებს უგარებენ უფრო ინტენსიურ სკრინინგს, რომელიც საშუალოდ 57 წუთი გრძელდება. პროცესი მოიცავს ხანგრძლივ გასაუბრებას და ბარგის დეტალურ, მათ შორის ასაფეთქებელი მოწყობილობების არსებობაზე შემოწმებას. ისრაელი მთავრობის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტერვიუერების პროფესიონალურ მომზადებას. განსაზღვრულია მომზადების მკაცრი სტანდარტები და სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი მათ შესრულებაზე.

¹³⁷ 1980-იან წლებში, ისრაელის მთავრობამ დაიწყო თითოეული მოქალაქის უზრუნველყოფა სპეციალური ნაკრებით, რომელიც შედგება აირწინადის, ნერვულ-პარალიტიკური გამის საწინააღმდეგო ანტიდოტის და სხვა პირველადი დახმარების გასაწევად აუცილებელი კომპონენტებისგან. ყველა მოქალაქე, ვინც მიიღო შესაბამისი პაკეტი, შეგანილია ისრაელის თავდაცვის ძალების კომპიუტერულ ბაზაში. ვადის გასვლისას მკაცრად კონტროლდება პაკეტების გამოცვლა.

¹³⁸ წყარო: [http://mfa.gov.il/ProtectiveEdge/Documents/Threat to %20Home Front.pdf](http://mfa.gov.il/ProtectiveEdge/Documents/Threat%20to%20Home%20Front.pdf),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -27.09.2018

და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მოსწავლეებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება.¹³⁹

გერორიზმთან და მის სხვადასხვა გამოვლინებებთან ბრძოლის ისრაელის გამოცდილებიდან იკვეთება შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- საღებავო ინფორმაციის შეგროვება და საფუძვლიანი ანალიზი უზრუნველყოფს ყველა მიმართულებით კონგრეტორისტული ძალისხმევის წარმატებით განხორციელების საფუძველს;

- გერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-ანალიზის მიმართულებით საგარეო დაზვერვისა და შიდა უსაფრთხოების სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია;

- საავიაციო უსაფრთხოება დაფუძნებული შეფასების ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და გამყარებული თანამედროვე ტექნოლოგიებით;

- მოსახლეობაში ფსიქოლოგიური მდგრადობის ხელის შეწყობი საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც გათვლილია მშვიდობიან მოსახლეობაში გერორისტული აქტების/მუქარების დემორალიზებული ეფექტის გასაჩივრებლად.

4.3. ევროკავშირის სპეციალური სამსახურების კონგრეტორისტული საქმიანობა

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაარსების შემდეგ, ორგანიზაციამ დაიწყო საკუთარი უსაფრთხოების პროგრამების წარმართვა. მისი პირველი ნაბიჯი იყო 1993 წელს ევროპოლის დაარსება. 2000 - 2004 წლებში დამატებით ოთხი საღებავო სამსახური შეიქმნა, ხოლო 2011 წელს კიდევ ერთი. ევროპის მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საღებავო და უსაფრთხოების სამსახურებს შორის სხვადასხვა სახის საპარტნიორო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ოფიციალურად, ევროკავშირს არ გააჩნია საკუთარი სპეციალური სამსახური და დამოკიდებულია

¹³⁹ძირითადად, ლექციები ეხება გერორისტების მოტივაციას და სამოქმედო სტრატეგიას, რათა სტუდენტებმა ახალგაზრდობიდანვე მოახდინონ გერორიზმის გათავისება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საღაზვერვო სამსახურების მიერ მიწოდებულ მასალაზე. თუმცა, ევროკავშირის საღაზვერვო აპარატი რამდენიმე წამყვანი, სრულად ან ნაწილობრივ გასაიდუმლოებული, სპეცსამსახურისგან შედგება. ზოგი მათგანი შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია.

განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც საღაზვერვო სამსახურები ანგარიშვალდებულნი არიან კონგრესის წინაშე, ევროკავშირის ზოგიერთი სპეცსამსახური ევროპის პარლამენტის და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების ზედამხედველობისა და კონტროლს მიღმა იმყოფება. ევროკავშირის სპეცსამსახურები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია კარგად აწყობილი ქსელის („ბერნის კლუბი“(CdB) და „შუა ევროპული კონფერენცია“) მეშვეობით, როგორც ერთმანეთთან, ისე აღმოსავლეთ ევროპულ და არაევროპულ (აშშ, ისრაელი და სხვა) სპეციალურ სამსახურებთან.

ევროკავშირის საღაზვერვო ანალიტიკური ცენტრის (INTCEN) ამოცანაა უზრუნველყოს საღაზვერვო ანალიტიკური მასალით და წინასწარ გააფრთხილოს საფრთხეების შესახებ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახური, ევროკავშირის სტრუქტურაში არსებული საგარეო პოლიტიკის, უშიშროების და კონტრტერორიზმის საკითხებზე მომუშავე ორგანოები და ასევე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. ცენტრი უწევს მონიტორინგს საერთაშორისო პროცესებს (განსაკუთრებით, ფეთქებად-საშიშ რეგიონებში), ტერორისტულ ორგანიზაციებს და მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო ბრუნვას. 2002 წლიდან ცენტრი შეუერთდა ევროკავშირის „მართვის ცენტრს“, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლის ფორუმს. ცენტრის ამოცანებია: ინფორმაციის მოპოვება ღია წყაროებიდან, სამხედრო დაზვერვიდან, საღაზვერვო სპეციალური სამსახურებიდან და დიპლომატიური კორპუსიდან, რათა ნებისმიერი საფრთხე იყოს აღმოჩენილი ადრეულ

ეტაპზე და მოხდეს მისი პრევენცია. ცენტრის პირადი შემადგენლობა 70 თანამშრომელს ითვლის და შედგება ორი დანაყოფისგან¹⁴⁰:

პირველი - ანალიტიკური დანაყოფი - პასუხისმგებელია სადაზვერვო და უშიშროების სამსახურების მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე სტრატეგიული ანალიზის მომზადებაზე;

მეორე - საერთო და საგარეო ურთიერთობათა დანაყოფი - პასუხისმგებელია იურიდიულ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, ისევე როგორც ღია წყაროების ანალიზზე. თავის მხრივ, ეს დანაყოფი დაყოფილია სამ მიმართულებად: ტექნიკური, შიდა და საგარეო ურთიერთობები და ღია წყაროების ანალიზი.

2007 წლიდან INTCEN არის SIAC-ის (Single Intelligence Analysis Capacity) ნაწილი, რომლის სადაზვერვო ღირებულებები მოიცავს სამოქალაქო დაზვერვას (EU INTCEN) და სამხედრო დაზვერვას (EUMS).¹⁴¹

SIAC-ის ქსელში ორივე, სამოქალაქო და სამხედრო დანაყოფები გამოყენებულია დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. INTCEN და EUMS-ის სადაზვერვო ღირებულებები წარმოადგენენ ევროკავშირის სატელიტური ცენტრის (European Union Satellite Centre) პარტნიორ ორგანიზაციებს და მისგან იღებენ თანამგზავრებიდან მიღებულ ინფორმაციას და ანალიტიკურ მასალას.

„ბერნის კლუბი“ ჩამოყალიბდა 1971 წელს. მას არ გააჩნია სამდივნო და არ იღებს გადაწყვეტილებებს. ეს არის სპეცსამსახურების მიერ ერთმანეთში, თავიანთი კეთილი ნებით, საიღუმლო ინფორმაციის, გამოცდილებისა და ხედვების ურთიერთგაცვლის ადგილი. „ბერნის კლუბი“ ძირითადად, ანტიგერორორისგულ, კონტრდაზვერვით საქმიანობაზე და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ინფორმაციის მოძიებაზეა კონცენტრირებული.¹⁴²

¹⁴⁰Nomikos J. M., European Union Intelligence Analyses Centre (INTCEN): Next Stop to an Agency? Journal of Mediterranean and Balkan Intelligence. 2014, page 8
<http://rieas.gr/images/editorial/NomikosEUintelligence15.pdf>,

¹⁴¹Nomikos J. M., European Union Intelligence Analyses Centre (INTCEN): Next Stop to an Agency? Journal of Mediterranean and Balkan Intelligence. 2014, page 7
<http://rieas.gr/images/editorial/NomikosEUintelligence15.pdf>,

¹⁴²იქვე, გვ. 9

ევროკავშირის საგელიტური ცენტრი (EUSC) – უმეტესად ცნობილია, როგორც SATCEN. იგი პასუხისმგებელია თანამგზავრებიდან ინფორმაციის მოპოვებაზე. თუმცა, ცენტრი ავტონომიურია თავის ქმედებებში. მის ფუნქციონირებაზე პირადი პასუხისმგებლობა ენიჭება ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს.¹⁴³

EUSC-ი ჩამოყალიბდა 2002 წელს და ჩაანაცვლა „დასავლეთ ევროპის კავშირის საგელიტური ცენტრი“ (WEUSC). იგი მდებარეობს ესპანეთში, მადრიდის პროვინციულ ქალაქ – გორეხონ დე არდოში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარდა, ცენტრი უფლებამოსილია, თავის რესურსების გამოყენების ნება ღართოს ევროკავშირის იმ არაწევრი ქვეყნების შესაბამის სამსახურებს, რომლებთაც გაფორმებული აქვთ ასოცირების ხელშეკრულება EUSC-თან.

„ცენტრალური (შუა) ევროპული კონფერენცია“ (MEC) – არის ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურების საკონსულტაციო ფორუმი. მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიდერლანდების სპეცსამსახურს (AIVD), რომელიც ჩართულია MEC-ის გაფართოებაში ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების და ალბანეთის მიმართულებით.

საპარტნიორო კავშირი „ღია წყაროების დაზვერვა“ (OSINT) და საპარტნიორო კავშირი „ღია წყაროების სამუშაო ჯგუფი“ (IOSWG) – წარმოადგენენ ევროპული ანალიტიკური სამსახურების საკონსულტაციო გაერთიანებებს და მოიცავს გერმანიის, დანიის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ავსტრიის, შვედეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის და ბელგიის სპეციალურ სამსახურებს.

„ბუდაპეშტის კლუბი“ – ღია წყაროების ერთობლივი დამუშავება და ურთიერთგაცვლა ხდება ასევე „ბუდაპეშტის კლუბის“ მეშვეობით, რომელიც დაარსდა 2007 წელს.¹⁴⁴

ზოგიერთ სპეცსამსახურს შორის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, დანიის, ბელგიის და გერმანიის მონიგორინგის ჯგუფების მიერ თანამშრომლობა

¹⁴³<https://www.satcen.europa.eu/who-we-are/the-centre>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –02.10.2016

¹⁴⁴Davis Cross M. K., A European Transgovernmental Intelligence Network and the Role of IntCen, Perspectives on European Politics and Society. Arena Centre for European Studies, 2013, 14:3, page 397, 388-402.

ყოველდღიურად ხორციელდება ასევე, SIGINT-ის (ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია) გაცვლით. ეს კავშირი მოიხსენიება, როგორც „ხუთეული“ („Group of Five“) და ფოკუსირებულია ფინანსურ დაზვერვასა და ფულის უკანონო გათეთრებასთან ბრძოლაზე.

„ეგმონის ჯგუფი“ – აწარმოებს ფინანსურ დაზვერვას და ფინანსების უკანონო ბრუნვების მონიტორინგს.

„კონგრესორისტული ჯგუფი“ (CTG) ევროკავშირის წევრი ქვეყნების, შვეიცარიისა და ნორვეგიის, სადაზვერვო და უშიშროების სამსახურების ორგანიზაციაა, რომელიც პასუხისმგებელია ანტიტერორისტულ საქმიანობაზე ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 2001 წელს 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ.¹⁴⁵

„ბერნის კლუბი“-ს მსგავსად, იგი წარმოადგენს ევროპის კონგრესორისტული სამსახურების მიერ არაფორმალურ ვითარებაში ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორუმს. „კონგრესორისტული ჯგუფი“ ახორციელებს აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავებას ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებისთვის, რომლებთანაც კავშირს ამყარებს ევროკავშირის საბჭოს სამდივნოს „ერთობლივი მართვის ცენტრის“ მეშვეობით. „კონგრესორისტული ჯგუფი“ ფორმალურად არ არის ევროკავშირის სტრუქტურა. იგი მოიაზრება უფრო როგორც „ბერნის კლუბისა“ და ოფიციალური ევროკავშირის ხელმძღვანელობის დამაკავშირებელი რგოლი.

კონგრესორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობის როგაცია ხდება ევროკავშირში ქვეყნების თავმჯდომარეობის ანალოგიურად.

2005 წელს AIVD (ნიდერლანდების სპეცსამსახური) აქტიურად იყო ჩართული „კონგრესორისტული ჯგუფის“ განვითარება-გაძლიერებაში და კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. „კონგრესორისტული ჯგუფი“ თანამშრომლობს ევროპოლთან და ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატიურ მისიებთან.

¹⁴⁵Nomikos J. M., European Union Intelligence Analyses Centre (INTCEN): Next Stop to an Agency? Journal of Mediterranean and Balkan Intelligence. 2014, page 9 <http://rieas.gr/images/editorial/NomikosEUintelligence15.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.09.2016

კონტრტერორიზმის საკითხებზე ევროსტრუქტურები ასავე აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ სპეციალურ სამსახურებთან, როგორც: ბრიტანული „ტერორიზმის ანალიზის გაერთიანებული ცენტრი“ (JTAC); დანიური „ტერორიზმის ანალიზის ცენტრი“ (CTA) და გერმანული „საკოორდინაციო სამსახური“ (Coordination Service).

„ერთობლივი მართვის ცენტრი“ (SitCen) - 2004 წელს ევროკავშირის საბჭოს სამდივნოს „ერთობლივი მართვის ცენტრმა“ დაიწყო მუშაობა, როგორც ანალიტიკურმა ცენტრმა, რომელიც აანალიზებდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაზვერვისა და უშიშროების სამსახურებიდან მიღებულ, ტერორიზმთან დაკავშირებულ ინფორმაციებს. 2005 წელს, გაფორმდა ხელშეკრულებები ევროკავშირის საბჭოს სამდივნოსა და „ევროპოლ“-ს შორის, „ერთობლივი მართვის ცენტრსა“ და „ევროპოლ“-ს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის თაობაზე. შედეგად, გაუმჯობესება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა სადაზვერვო და უსაფრთხოების სტრუქტურებსა და ევროპოლს შორის.

ევროკავშირის სპეცსამსახურები ფუნქციონირებს ისევე და იგივე მეთოდებით, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების სპეცსამსახურები: ისინი აგროვებენ ინფორმაციას (ხშირად საზღვარგარეთ), აანალიზებენ და გადასცემენ მას ევროკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს. მათ მიერ დამუშავებული მასალა კლასიფიცირებულია სრულიად საიდუმლო გრიფით.

ევროპული სპეცსამსახურებიდან, მხოლოდ ევროპოლი (სადაზვერვო და სამართალდამცავი) და ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვა (FRONTEX), ექვემდებარება საპარლამენტო მუდამხედველობას. ევროპის პარლამენტის კონტროლის მიღმა რჩებიან ევროკავშირის დანარჩენი სპეციალური სამსახურები და ევროპული სპეციალური სამსახურების საიდუმლო საკონსულტაციო ცენტრები, მათ შორის:

- „ევროკავშირის სადაზვერვო ანალიტიკური ცენტრი“ - (IntCen);
- „ევროკავშირის სატელიტური ცენტრი“ - (EUSC), უფრო ცნობილია, როგორც (SatCen);
- დაზვერვის დირექტორატი (IntDir);

- ევროკავშირის სამხედრო დაზვერვის სამსახური – (IntDiv);
- „ერთობლივი მართვის ცენტრი“ – (SitCen), ევროკავშირის საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური და კრიზისების მონიტორინგის ცენტრი;
- ევროპის სადაზვერვო სამსახურების საკონსულტაციო – (MEC);
- ევროპის სადაზვერვო სამსახურების საკონსულტაციო ცენტრი „ბერნის კლუბი“ – Club de Berne (CdB);
- საკონსულტაციო ორგანო „კონტრტერორისტული ჯგუფი“- (CTG), რომელიც წარმოადგენს „ბერნის კლუბის“ განშტოებას.

სპეცსამსახურების უმეტესობა, თავის მხრივ, გაერთიანებულია „ევროპის საგარეო მოქმედებათა სამსახურში“- (EEAS), რომელიც წარმოადგენს დიპლომატიურ უწყებას, რომელიც ჩამოყალიბდა 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისას. აღნიშნულმა უწყებამ უნდა შეასრულოს ევროკავშირის საერთო საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიპლომატიური კორპუსის ფუნქცია. აღნიშნული სამსახური უწყებრივად შედის ევროკავშირის საერთაშორისო საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის დაქვემდებარებაში.

4.4. საქართველოში კონტრტერორისტული საქმიანობის უწყებათაშორისი კოორდინაცია და ეფექტური მართვა

საერთაშორისო ტერორიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველო წარმოადგენდეს ტერორისტების პირდაპირ სამიზნეს, თუმცა ტერორისტების სამიზნეები შეიძლება იყოს ის საერთაშორისო მისიები და წარმომადგენლობები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მრავლად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიები არის ოკუპირებული იმ ქვეყნის მიერ, რომელსაც ტერორიზმის საფრთხის კუთხით საკმაოდ რთული ვითარება აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში და მის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ტერორიზმთან ბრძოლის ფრონტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოგანა, ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ

რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მხრიდან ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების სპეცმოზმადება, შემდგომში მათი მხრიდან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე დივერსიული ტერორისტული აქტების განსახორციელებლად, რისი მაგალითებიც გვაქვს,¹⁴⁶ ტერორიზმი საქართველოში წარმოადგენს სავსებით რეალურ საფრთხეს.

საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის გამოყენება, მაღალი ალბათობით, შესაძლოა, მიმზიდველი გახდეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჩრდილოეთ/სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედი რადიკალი ისლამისტებისათვის. ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების გამყარების მცდელობები შეიძლება ჩაითვალოს რეგიონში რადიკალურ ისლამზე დაფუძნებული სამხედრო-პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნის მცდელობად. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჩრდილოეთით „ისლამურმა სახელმწიფომ“ ან რადიკალურ ისლამზე დაფუძნებულმა მისმა რომელიმე განშტოებამ დაიწყო აქტიური მოქმედებები მეზობლთა და იარაღის საგრანზიტოდ, ერთადერთ რეალურ გზად რჩება საქართველო და სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორია შესაძლოა, აქტიურად იქნას განხილული, როგორც ტერორისტული თავდასხმების ან პროვოკაციების განხორციელების საშუალო ან მაღალი რისკის ზონად.

¹⁴⁶ 2005 წლის 1 თებერვალს ქ. გორში სამხარეო პოლიციის შენობის წინ განხორციელებული გერაქტი - დანადგური ავტომატური იარაღების შედეგად დაიღუპა - 3, ხოლო დაშავდა - 27 ადამიანი. გერაქტის შემსრულებლები: გია ვალიევი, გია ბასიევი და იოსებ კოჩიევი წარმოადგენდნენ ე.წ. „გრუ“-ს მიერ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გაწვრთნილ დივერსანტთა ჯგუფს, რომლის მიზანიც იყო საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ შიდა ქართლში, ტერორისტული აქტების განხორციელება. ასევე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული იქნა:

- 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში მერაბ ყოლბაიასა და გოგიტა არქანიას მიერ ტერორისტული აფეთქებები ქ. თბილისში: „ლეიბორისტული პარტიის“ ცენტრალურ ოფისთან (დაიღუპა ერთი მოქალაქე); აშშ-ს საელჩოს სიახლოვეს; რკინიგზის სადგურთან. ხოლო ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდთან განხორციელდა სარკინიგზო ხიდის აფეთქების მცდელობა.

- 2011 წლის მაისში შენობების აფეთქებები, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირის, ან აშშ-ს დროშები. აღნიშნული დანაშაულის მცდელობისას, მცხეთის რაიონში დაკავებული იქნა ბადრი გოგიაშვილი, ასასაფეთქებელი ნივთიერებებით.

- 2011 წლის მარტში ქ. ქუთაისში ბომბის აფეთქება იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციულ შენობასთან, იუსტიციის სახლთან, რომელშიც განთავსებულია საადვოკატო ბიურო და „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისი, აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ. ზუგდიდში დანაშაულის მცდელობისას დააკავეს ქ. გალში მცხოვრები მანუჩარ და ავთანდილ ძაძუები. დაკავებისას ამოღებულ იქნა ასაფეთქებელი ნივთიერება - ჰექსოგენი.

საქართველოში ტერორიზმის განვითარების საფრთხეების განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნიდან ჩასული ტერორისტი იბრძვის, მათ შორის არიან საქართველოს მოქალაქეები აჭარიდან, გურიდან, ქვემო ქართლიდან და კახეთიდან (პანკისის ხეობა). „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმდინარეობს მოწყვლადი რეგიონების მოსახლეობასთან მუშაობა მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური მიმართულებით. მათ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩაჰყავთ არა მხოლოდ მებრძოლენი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ სტრუქტურებში ასაქმებენ, თუმცა იდეოლოგიურად მათში ტერორიზმსა და ფანატიზმს ნერგავენ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოში არსებული ვაჭაბიგური „ჯამაათების“ წევრთა სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტები. არსებული მონაცემებით, საქართველოდან ტერორისტების რიგებში იბრძვის დაახლოებით 150-მდე მუსლიმი. მათ შორის, რამდენიმე გავლენიანი საველე მეთაური. მიმდინარეობს მებრძოლთა მუდმივი როტაცია.

2014 წლის 24 სექტემბერს აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა საქართველოს მოქალაქეები, ამჯერად სირიაში „ისლამურ სახელმწიფოში“ შემაგალი ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური თარხან ბათირაშვილი¹⁴⁷ (იგივე ომარ ალ-შიშანი) და თურქეთის საზღვრებთან საწვრთნელი ბანაკის მეთაური მურად მარგოშვილი განსაკუთრებით საშიში ტერორისტების სიაში შეიყვანა და სანქციები დაუწესა.

ხშირ შემთხვევაში, ტერორისტულ-დივერსიული საბრძოლო გამოცდილების მქონე უმუშევარი, რადიკალური იდეოლოგიის მქონე პირთა ქვეყანაში დაბრუნება ბრძის საქართველოში კრიმინალურ და ტერორისტულ საფრთხეს. საქართველოდან წასულ მოხალისეთა შორის არიან აჭარიდან ჩასული რადიკალი მუსლიმებიც, რომელთა განცხადებებში ისმის პირდაპირი მუქარა საქართველოს მისამართით და „აჭარის ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის იდეა. აღნიშნული იდეის გირაჟირება ხდება აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში, როგორც რიგი მუსლიმური ორგანიზაციების,

¹⁴⁷2016 წლის მარტში გავრცელდა ინფორმაცია, ავიადარგვების შედეგად თარხან ბათირაშვილის დაღუპვის შესახებ.

ისე სოციალური ქსელების გამოყენებით. ასევე აჭარის, გურიის, კახეთის (პანკისი) და საქართველოს სხვა ვაჭაბიგური მიმდინარეობის მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში მიმდინარეობს აგიტაცია საქართველოს ტერიტორიაზე „სახალიფოს“ შექმნის შესახებ. რადიკალური ვაჭაბიგური „ჯამაათების“ წევრების მიერ შეიმჩნევა არაბული ქვეყნებიდან მებრძოლთა და/ან აგიტატორთა ჩამოყვანა და მათთვის შემდგომში თურქეთის გავლით სირიაში გადაყვანის ორგანიზებაში დახმარების გაწევისა და ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე აგიტაციისთვის საჭირო სათანადო პირობების შექმნის მცდელობის ფაქტები. აღნიშნული ჯგუფები ფინანსდება სამღვარგარეთის ქვეყნებიდან.

ვაჭაბიგური დაჯგუფებები მომძლავრდა აფხაზეთის ტერიტორიაზეც, სადაც კავკასიაში 90-იან წლებში არსებული კონფლიქტების შემდგომ ბევრი ეთნიკური ჩეჩენი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, იქ მცხოვრებ მუსლიმებში საკმაოდ მოიკიდა ფეხი ვაჭაბიზმმა. ვაჭაბიგები არიან წარმოდგენილნი რუსეთშიც, განსაკუთრებით, ვოლგისპირეთში (აზერბაიჯანი და თურქეთი ღვეზის ვაჭაბიგებს).

საქართველოში ვაჭაბიზმის მიმდევრები პირველად 1995 წელს პანკისში გამოჩნდნენ. პანკისის ხეობის მეჩეთებში დაიწყო ქადაგება, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მაშინდელი მუსლიმი სასულიერო პირების ქადაგებისაგან. მოზარდებს ხელმოკლე ოჯახებიდან აგზავნიდნენ არაბულ ქვეყნებში, უნიშნავდნენ სტიპენდიებს, ეხმარებოდნენ ავადმყოფებს, რომლებისთვისაც სამედიცინო მომსახურება უსახსრობის გამო ხელმიუწვდომელი იყო. პანკისში, წლების მანძილზე, ვაჭაბიზმმა მყარად მოიკიდა ფეხი. უხუცესთა საბჭოს გავლენა, მიუხედავად იმისა რომ იგი ღღესაც არსებობს, ხეობაში გავლენიანმა ჯამაათმა ჩაანაცვლა.

მაღალი ალბათობით, გარკვეულ ეტაპზე „ისლამური სახელმწიფო“ ან სხვა რადიკალურ-ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე შეეცდება თავისი პოზიციების გამყარებას. საქართველოში ამ მხრივ, ერთ-ერთი მოწვევადია კახეთი, კერძოდ, პანკისის ხეობა, ასევე აჭარა, გურია და ქვემო ქართლი, ანუ ის რეგიონები, რომლებშიც წარმოდგენილია კომპაქტურად მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინაშე ამ დრომდე პირდაპირ არ დამდგარა ისლამური ტერორიზმის საფრთხე, მისი გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, იკვეთება მთელი რიგი გამოწვევები, რასაც ადასტურებს ქართველი მეცნიერების სამეცნიერო კვლევები.¹⁴⁸

საქართველოსთან მიმართებაში ტერორიზმის საფრთხე დაკავშირებულია არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან და იქ არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, არამედ კავკასიის და ზოგადად, შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებთანაც.

2014 წელს „ისლამური სახელწიფოს“ მიერ გამოქვეყნებულ „ისლამური ხალიფატის“ რუკაში შესულია საქართველო, ისევე როგორც მთლიანად კავკასიის რეგიონი, თუმცა ისლამური ხალიფატის იდეის მქადაგებულებს შორის რუკა ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაჩნდა, მაშინ როდესაც დაიწყო ვაჰაბიზმის გავრცელების მცდელობები კავკასიაში.

„ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიის მიხედვით, ყველა ჭეშმარიტ მუსლიმს შეუძლია „სახალიფოს“ შექმნა. ამ იდეის გავრცელების მიზნით, ტერორისტული ორგანიზაცია ცდილობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერის შეკრებას. სირიასა და ერაყიდან იდეოლოგიური და საბრძოლო გამოცდილების მქონე ისლამისტები შინ დაბრუნების შემთხვევაში, ადგილზე გააგრძელებენ „სახალიფოს“ შექმნის იდეის განხორციელებას.

პანკისის ხეობაში¹⁴⁹, ქვემო ქართლსა და აჭარის რეგიონებში სალაფიტებს შექმნილი აქვთ თემები, ე.წ. „ჯამაათები“¹⁵⁰. გარდა ხსენებული ძირითადი

¹⁴⁸ კვაჭაძე მ. - „სახელმწიფო ორგანოების როლი ტერორიზმთან ბრძოლაში - ამიერკავკასიის რეგიონი“. ჟურნალი „საერთაშორისო სამართალი“ №3-4, 1999. ჭილიგაშვილი ა. - „ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“. გრიგორ რობაქიძის უნივერსიტეტის. სადოქტორო დისერტაცია. თბ. 2009

¹⁴⁹ საქართველოდან სირიაში მებრძოლების წასვლის საკითხში ძირითადი ყურადღება მახვილდება პანკისის ხეობაზე, რომელიც მდებარეობს ახმეტის რაიონში (კახეთი). სტატისტიკური მონაცემებით, ახმეტის მუნიციპალიტეტში 33,000 მოსახლე ცხოვრობს. მათგან 69.7% წარმოადგენს ეთნიკურ ქართველს, ხოლო 20.9% - ქისგს. პანკისის ხეობის ქისგები ძირითადად წარმოადგენენ სუნიტებს. ვაჰაბიზმის ნიშნები რეგიონში 90-იან წლებში გაჩნდა და დღეისათვის წარმოადგენს ახალგაზრდების რადიკალიზების წყაროს.

¹⁵⁰ „ჯამაათები“ განსაზღვრავენ მორწმუნე მუსლიმების ცხოვრების მკაცრ სტილს.

რეგიონებისა, დაფიქსირდა გურიის ცალკეული სოფლებიდან ისლამისგების სირიაში გადასვლის შემთხვევები.

ახლო აღმოსავლეთში (ძირითადად სირიაში) ისლამისგურ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად და საბრძოლო მოქმედებებში ჩასართავად წასული საქართველოს მოქალაქეების უმეტესი ნაწილი ჩართულია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, ნაწილი კი „ჯაბჰათ ფათჰ აშ-შამის“ (ყოფილი „ალ-ნუსრას ფრონტი“) რიგებში.

საქართველოდან წასული მებრძოლების გაერთიანებას გეროორისგული ორგანიზაციების რიგებში და ახლო აღმოსავლეთის საბრძოლო მოქმედებებში მათ ჩართულობას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი და ხელშემწყობი ფაქტორები, კერძოდ:

- **მაგერიალური დაინტერესება** - რაიონებისთვის, საიდანაც ძირითადად მიდიან მებრძოლები სირიაში, დამახასიათებელია დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში წასული მებრძოლების ოჯახებს უკეთესი ეკონომიკური პირობები აქვთ, ვიდრე სოფლის სხვა მაცხოვრებლებს; სალაფიგების დაფინანსება ხდება სხვადასხვა გზით, ძირითადად გამოიყენება „ჰავალას მეთოდი“ ან სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთების საშუალებით ანგარიშსწორება.

- **იდეოლოგია** - მებრძოლთა ნაწილი თვლის, რომ ამ გზით ასრულებს საღვთო ომს/ჯიჰადს. ჯიჰადს წამყვანი ადგილი უკავია ვაჰაბიტურ სწავლებაში. ვაჰაბიტური ჯამაათის წევრებს ასევე მოეთხოვებათ ცხოვრების მკაცრი წესის დაცვა, რწმენის მორჩილება და სამხედრო მზადყოფნა. საქართველოდან წასულ მებრძოლთა უმეტესობას აქვს განათლების დაბალი დონე. ახალგაზრდები, როგორც წესი, სკოლის შემდეგ არ აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში და უმეტეს დროს ატარებენ მეჩეთებში.

- **გეროორისგული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი ქართველების პოპულარობა** - საქართველოდან წასული მებრძოლების ის ნაწილი, რომელთაც წარმატებებს მიაღწიეს საბრძოლო მოქმედებებში, ერთგვარ „გმირებად“ იქცნენ მათი თანასოფლელი ახალგაზრდებისთვის. განსაკუთრებით ავგორიგეტული იყო ახალგაზრდა თაობაში თარხან ბათირაშვილი (ომარ ალ-შიშანი), ასევე

პოპულარულია მისი ძმა თამაზი. „წარმატებულ და ძლიერ“ მებრძოლესად ითვლებოდნენ ასევე რუსლან მაჩალიკაშვილი (საიფულა ალ-შიშანი), მურად მარლოშვილი (აბუ ვალიდ ალ-შიშანი). განსხვავებით დიდი ევროპული სახელმწიფოებისგან, სადაც წარმოდგენილია მსხვილი მუსლიმური თემები და საიდანაც ასობით ისლამისგია სირიასა და ერაყში წასული, საქართველოში გვხვდება უფრო მეტად მცირერიცხოვანი ისლამური თემები. პანკისის ხეობაში მცირერიცხოვანი მუსლიმური თემი მჭიდროდაა დასახლებული, ამიგომ, სამეზობლოში მიმდინარე/მომხდარი მოვლენები ძალიან სწრაფად და მარტივად ვრცელდება.

ახალი მხარდამჭერების რეკრუტირება ხდება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით:

- **ვაჰაბიტური მეჩეთები**, სადაც აქტიურად მიმდინარეობს მსახურება და რადიკალური იდეების გავრცელება. მაგ, პანკისში ხუთი მოქმედი ვაჰაბიტური მეჩეთია. არაერთხელ დაფიქსირდა მოსწავლეების მიერ პარასკევ დღეს სკოლის გაცდენის შემთხვევები, მეჩეთებში ლოცვისა და რადიკალური იდეების გამავრცელებელი ქადაგებების დასწრების მიზნით.

- **უფასო საგანმანათლებლო პროგრამები**, რომელსაც სთავაზობენ ახალგაზრდებს. აღნიშნული პროგრამები, რომლებიც ფინანსდება არაბული ქვეყნებიდან, აგიტაციას უწევს ვაჰაბიზმს. ისლამისტების იმ კატეგორიას, რომელთაც რელიგიური განათლების მიღება სურს, რიგ ისლამური ქვეყნებში (თურქეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე) საშუალება ეძლევათ უფასოდ მიიღონ უმაღლესი განათლება, სადაც ხშირ შემთხვევაში ხდება მათი „რადიკალიზება“. საინტერესოა, რომ მაგალითად, პანკისის ხეობის ხუთი ვაჰაბიტური მეჩეთის იმამების უმეტესობას განათლება საუდის არაბეთში აქვთ მიღებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა არ წარმოადგენს ტერორიზმის კუთხით საფრთხის შემცველს, თუმცა ფაქტია, რომ სირიაში ტერორისტების რიგებში საბრძოლველად წასულ ისლამისტთა ნაწილს რელიგიური განათლება სწორედ ზემოხსენებულ ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული.

- **ინტერნეტ-სივრცე**, რომელსაც აქტიურად იყენებენ პროპაგანდისტების და ძალადობის, მოწოდებების შემცველი ინფორმაციების, ფოტოებისა და ვიდეოების

გასავრცელებლად. მოქმედებდა ვებ-გვერდი, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა „სახალიფოს“ პროპაგანდა.¹⁵¹ შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი რამდენიმე გვერდი სოციალურ ქსელში – Facebook. საზოგადოებაში შიშის დანერგვას და ახალი მომხრეების გადაბირებას ემსახურებოდა 2015 წლის ნოემბერში საქართველოდან წასული ვაჰაბიტი მებრძოლების მონაწილეობით ვიდეომიმართვის გავრცელება „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით.

სირიაში მოსახვედრად საქართველოდან წასული მებრძოლები ძირითადად იყენებენ თურქეთის ტერიტორიას, სადაც ისინი სამუშაოს დაწყების საბაბით გადადიან.

ტერორიზმის კონტექსტში „ისლამური სახელმწიფო“-ს მოქმედებები გარკვეულ საფრთხეებს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას:

საქართველოში ვაჰაბიტური იდეოლოგიის გავრცელება უკმაყოფილებას იწვევს გრადიციული ისლამის ადგილობრივ მიმდევრებში, რასაც, მაღალი ალბათობით, მოჰყვება დაპირისპირებები რადიკალური ისლამისა და ისლამის სხვა მიმართულების წარმომადგენელთა შორის.

სირიიდან რადიკალი ისლამისტი მებრძოლების უკან დაბრუნება და იქ მიღებული საბრძოლო გამოცდილებისა და ჯიჰადისტური იდეოლოგიის ადგილზე გავრცელება/გამოყენება საშიშროა, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, ისე საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვის თვალსაზრისითაც.

სირიასა და ერაყში ტერორისტების მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მოსალოდნელია ისლამისტებს გაუზანგება სხვადასხვა მიმართულებით, რაც ქმნის კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან წასული მებრძოლების უკან დასაბრუნებლად, საქართველოს ტერიტორიის საგრანზიტოდ გამოყენების საფრთხეს.

ბოლო პერიოდში „ისლამური სახელმწიფოს“ სერიოზული სამხედრო წარუმატებლობების ფონზე, შესაძლოა მოხდეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარეთ, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული დაჯგუფებებისა და ცალკეული

¹⁵¹ წყარო: <http://xalifati.wordpress.com>

მხარდამჭერების¹⁵² გააქტიურება და თავდასხმების მოწყობა ძალის დემონსტრირების, შურისძიების, მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანის ან საზოგადოებაში შიშის დანერგვის მიზნით. შესაბამისად, გერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო კოალიციის ქვეყნების დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმის საფრთხე გაზრდილია კავკასიის რეგიონშიც.

საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს ასევე წარმოადგენს 2015 წლის 24 ივნისს „ისლამური სახელმწიფოს“ განშტოების „კავკასიის ვილაიეთის“ შექმნა, რომელიც ამჟამად მოიცავს საქართველოს მოსაზღვრე გერიგორიას – ჩრდილოეთ კავკასიას. („ისლამური სახელმწიფოს“ მიხედვით, თეორიულად მოიცავს საქართველოსაც). მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიის ვილაიეთი“ „დაემის“ ფილიალებს შორის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ განშტოებად ითვლება, სავარაუდოდ იგი შეეცდება ყურადღების ცენტრში დარჩენას.

ჩრდილოეთ კავკასიიდან მეზობლების გადინება¹⁵³ ძირითადად ხდება ოკუპირებული აფხაზეთიდან შავი ზღვით თურქეთამდე და შემდეგ სირიაში, ანუ ქართული მხარის მიერ არაკონტროლირებადი გერიგორიების გამოყენებით. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ოკუპირებულ გერიგორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვერ ხორციელდება ვერც ლეგიტიმური ხელისუფლების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კონტროლი/მეთვალყურეობა, აღნიშნული რეგიონები წარმოადგენს გერორისტული ჯგუფების მოქმედების თავისუფალ არეალს. გარდა იმისა, რომ აღნიშნული გერიგორიები შესაძლოა გამოყენებულ იქნას გერორისტების მიერ როგორც უსაფრთხო თავშესაფარი, იგი შეიძლება გახდეს იარაღითა და ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის ცენტრი. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში გერორიზმის გავრცელების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორებს აგრესიული სეპარატიზმი და ადგილზე, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების არსებობა წარმოადგენს.

¹⁵² ე.წ. „Lone Wolf“ ტაქტიკა.

¹⁵³ ჩრდილოეთ კავკასიიდან მეზობლობა დიდი ნაწილის გადინებით, ხდება რფ-ის სამხრეთ რაიონში ვითარების ნაწილობრივი დასტაბილურება. ისლამისტები, რომლებიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდნენ კრემლისთვის, მიმდინარე ეტაპზე იბრძვიან ახლო აღმოსავლეთში. ამიგომ გემოხსენებული მარშრუტისა და დინების ხელშეწყობა კრემლის ინტერესებშია.

რუსული სპეცსამსახურების მიერ ჩრდილო კავკასიელ მებრძოლთა ქსელებში სერიოზული შეღწევადობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებით, რეალური საფრთხის არსებობაზე მეტად, მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციის მიერ ამ თემის წამოწევა.¹⁵⁴ ახლო აღმოსავლეთიდან მებრძოლების დაბრუნების, ან გრანზიტით გავლის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, მოხდეს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ამ ფაქტის გამოყენება, რომელიც შეეცდება გერორისგებათა ბრძოლის ფრონტი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოიგანოს. მაგალითად, პანკისის ხეობის სირიელი და ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების თავშესაფრად გამოცხადება და შესაძლო საფრთხის საბაბით ამ თემის საქართველოში მორიგი ინტერვენციისთვის გამოყენება.

ამგვარი მოქმედება მიზნად ისახავს:

- მოხდეს ტერორისტებთან ბრძოლის ფრონტის რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოგანა;
- განხორციელდეს საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლის გაძლიერება კონტრტერორისტული მოქმედებების მუქარის მეშვეობით;
- ტერორიზმის საფრთხის აპელირებით რუსეთის შიდა პოლიტიკურ/ეკონომიკური პრობლემების გადაფარვა და უკმაყოფილო მოსახლეობის ყურადღების გადაგანა.

პროვოკაციების მოსაწყობად შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა საშუალება:

- საქართველოს ის რეგიონები, სადაც ცხოვრობენ სალაფიგები შესაძლოა, რფ-ის მიერ წარმოჩენილი იქნას, როგორც პოტენციური ტერორისტული საფრთხე რუსეთის ფედერაციისთვის;
- არ არის გამორიცხული რუსეთის მხრიდან მოხდეს პანკისის ხეობაში რადიკალური ისლამის წარმომადგენლებთან მუშაობის გააქტიურება;

¹⁵⁴ ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან და საქართველოს ხელისუფლების მიერ გაგარებული პროდასავლური და „ნაგო“-სთან ინტეგრაციის პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, „ნაგო“-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის საპასუხოდ.

- ან პანკისის ხეობაში ჩრდილო კავკასიელი მებრძოლების შეიარაღებული ჯგუფის წევრების ორგანიზებული გადმოღინება;

- ახლო აღმოსავლეთიდან მებრძოლების შემოგყევა ხეობაში, ჩრდილო კავკასიაში გადასვლის მიზნით, რაც საფუძველს მისცემს რუსეთის ფედერაციას, საქართველო ტერორისტების ხელშემწყობ ქვეყნად და საგრანზიგო ღერეფნად წარმოაჩინოს;

- ღებინფორმაციები საქართველოს ისლამისტებთან კავშირის შესახებ უკვე აქტიურად ვრცელდება რფ-ის მხრიდან როგორც მედიაში, ისე ოფიციალური პირების განცხადებების საფუძველზე.

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სპეცსამსახურების მხრიდან ტერორიზმის კუთხით ოპერატიული ვითარების კარგად შესწავლა, ანალიზი შემდგომში პრევენციული ზომების შემუშავება-გატარება. კონგრეტერორისტული სტრატეგიის განსაზღვრისას, ცალკეული უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და საზღვრებზე კონტროლის გაძლიერების გარდა, მნიშვნელოვანია საქართველოს სპეციალურ სამსახურებს შორის ზუსტად განსაზღვრული კოორდინაცია-დელეგირება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების იმ სპეცსამსახურებთან, რომელთაც ტერორიზმთან ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. მნიშვნელოვანია, ღროულად მოხდეს შესაბამისი კონტაქტების გამყარება პარტნიორი ქვეყნების (აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ისრაელის, კანადის და ა.შ.) ძლიერ და კონგრეტერორიზმის საკითხებში გამოცდილ სპეცსამსახურებთან. ასევე, აუცილებელია ინფორმაციის გაცვლის ქმედითი მექანიზმების შექმნა-ამუშავება და პარტნიორების გამოცდილების გაზიარება. ამაღღროულად, ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ახალი პარტნიორების მოძიება შემდგომში მათთან სანღო, პროღუქტიული კავშირების ღამყარების მიზნით.

საქართველოში კონგრეტერორისტული საქმიანობა იძენს კომპლექსურ ხასიათს, რომელიც სპეცსამსახურებს შორის კორღინირებული საქმიანობის გარღა, გულისხმობს სახელმწიფოს სხვა უწყებებთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებას იმ რეგიონებში, საღაც შესაძლოა, რელიგიურმა

ექსტრემიზმმა ადგილობრივ მოსახლეობაში ჰპოვოს დასაყრდენი. საქართველოში კონტრტერორისტული მიმართულებით, უწყებათა შორის კარგად კოორდინირებული სისტემის მშენებლობისას, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ძალადობრივი, ექსტრემისტული იდეოლოგიისა და რეგიონში არსებული ეთნიკური, რელიგიური და სოციალური პროვოკაციების მიმართ მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც შეადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს საქართველოს მიერ ქვეყანაში გასატარებელი კონტრტერორისტული ზომების წარმატებით განხორციელებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საზოგადოების ჩართულობის როლი, ამ კუთხით უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების მიზანდასახული ინფორმირება, მომზადება რათა მოხერხდეს მათში სიფხიბლის გამოუმუშავება. გამართულად უნდა იყოს აწყობილი კომუნიკაციის ხერხები, საშუალებები შესაბამის ორგანოებთან. ავტომატიზმის ღონეზე წინასწარ გაწერილი უნდა იქნას სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების მექანიზმები. გეროროზმთან ბრძოლის კონტექსტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასმედია და მათი მხრიდან ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მასმედია თავისუფალია, განსაკუთრებულ შემთხვევებში მასმედიის საქმიანობის წესი კანონმდებლობის ღონეზე უნდა დარეგულირდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ერთიანი და უწყებათაშორისი, კოორდინირებული კონტრტერორისტული სტრატეგია ეფუძნება ქვეყნის სპეციალურ სამსახურებს შორის თანამშრომლობის, პარტნიორობის და მჭიდრო კოორდინაციის პრინციპებს, რომელთა ფართოდ დანერგვის გარეშე, გეროროსტული საფრთხე ვერ იქნებოდა ეფექტურად დაძლეული.

საქართველოს კონტრტერორისტული სტრატეგიის მთავარ მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, პარტნიორი ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან და საზოგადოებასთან

ინტენსიური თანამშრომლობით გერორისგული საფრთხის პრევენცია-განეიტრალებით და ქვეყანაში გერორიზმის კუთხით სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება.

თანმიმდევრული ანტიგერორისგული პოლიტიკის გატარებისას, საუკეთესო შედეგები მიიღწევა უწყებათა შორის წინასწარ მომზადებული, განსამზღვრული, შეთანხმებული და კოორდინირებული ქმედებებით და გერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებაზე პროპორციული და მოზომილი პასუხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, უწყებათა შორის კოორდინაციისას, მნიშვნელოვანია ყველა უწყებას თავისი შესაძლობებისა და პოტენციალის გათვალისწინებით ჰქონდეს კარგად გაწერილი სამოქმედო არეალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღნიშნული სახელმწიფო უწყებების ურთიერთობა სამოქალაქო სექტორთან, რათა საზოგადოება დროულად და სწორად იქნას ინფორმირებული ამა თუ იმ საფრთხის, მისგან შესაძლო მოსალოდნელი შედეგების და მისი პრევენცია-განეიტრალებისათვის საჭირო აუცილებელი ზომების შესახებ. საქართველოს საზოგადოების სრული მხარდაჭერისა და თანადგომის მოსაპოვებლად, მნიშვნელოვანია საზოგადოებამ დაინახოს, რომ საქართველოს სპეციალური სამსახურების მიდგომა გერორიზმთან არის საფრთხის პროპორციული, დროული და კარგად კოორდინირებული. შედეგად, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულად იქნება დაცული საქართველოს ინტერესები და მისი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებები. შესაბამისად, გერორიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ დაგეგმილი-მიღებული ზომები სასურველია იყოს დეტალურად შეთანხმებული უწყებათა შორის, ყველა შესაძლო მოქმედების გათვალისწინებით, ხოლო განხორციელებისას - მაქსიმალური ყურადღებით და პროფესიონალურად მართული. მოქნილი და გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია, საქართველოს სპეციალური სამსახურების კოორდინირებული ძალისხმევის ფოკუსირება მოხდეს გერორიზმის პრევენციასა და იმ ფაქტორების გამოვლენაზე, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს (კონკრეტულ პირებს ან პირთა ჯგუფებს) უბიძგებენ მოხდენენ ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორისტული ჯგუფების მიერ გამოყენებული ტაქტიკა და ტექნიკური საშუალებები მუდმივად დახვეწის პროცესშია და ადაპტირებულია სამოქმედო გარემოსთან. ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს და ოპერატიულად რეაგირებენ საერთაშორისო გეოპოლიტიკურ პროცესებზე. შესაბამისად, საქართველოს სპეციალური სამსახურების მხრიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მოქნილი, წინასწარ კარგად გათვლილი და მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტაციის შესაძლებლობის მქონე გეგმა, რომელიც ადვილად მოერგება ქვეყნის კონგრეტერორისტული პოლიტიკის პრიორიტეტებს.

ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში, საქართველოს სპეციალური სამსახურების ეფექტური მართვის მექანიზმის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია მოქნილი კონგრეტერორისტული პოლიტიკის კოორდინირებულად წარმართვა, რაც მოიცავს:

- პარტნიორებთან ერთად ტერორისტული ორგანიზაციების, პირების შესახებ განახლებადი საინფორმაციო ბაზების შექმნას;
- ტერორიზმის საფრთხეების განსაზღვრასა და პრევენციისათვის საჭირო კომპლექსური ზომების მიღებას;
- ტერორისტული ორგანიზაციების, ქსელების და მათთან კავშირში მყოფი პირების აღმოჩენა-განეიდგრალებას;
- ტერორიზმისა და ესტგრემიზმის იდეების საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აქტივობების ჩატარებას;
- ნებისმიერი სახის ტერორისტულ თავდასხმაზე/თავდასხმის მცდელობაზე კოორდინირებულ, პროპორციულ და სწრაფ რეაგირებას;
- ტერორისტული შეტევის შემთხვევაში, ქვეყნის მოქალაქეებზე და ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის მაქსიმალურად მოკლე ვადებში აღმოფხვრას.

საქართველოს სპეციალური სამსახურების კოორდინაციის მექანიზმის დახვეწა და შედეგად ეფექტური მართვა, ხელს შეუწყობს საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებას და ქვეყანას უფრო მდგრადს გახდის ძალადობრივი ექსტრემიზმისა და

გერორისგული ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეებისა და გამოწვევის წინაშე. მნიშვნელოვანია, საქართველოს სპეციალური სამსახურებმა, კოორდინირებულად უზრუნველყონ საქართველოს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი გერორისგული დაჯგუფებებისა და ცალკეული პირების წინმსწრებად იდენტიფიცირება და მოახდინონ ღროული რეაგირება ყველა რელევანტური სტრუქტურის პოტენციალისა და მათ ხელთ არსებული ბერკეტების გამოყენებით.

ქვეყნის წარმატებული კონტრტერორისგული საქმიანობისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სპეციალური სამსახურებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან ურთიერთ კავშირებისა და მოქმედების მექანიზმები, რომელიც აერთიანებს კონტრტერორისგული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო ელემენტებს.

სასურველია ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ადრეულ ეტაპზევე მოხდეს გერორისგულ საქმიანობაში ჩაბმული ან გერორისგული ორგანიზაციების მიერ შესაძლო გამოყენებული პირებისა და პირთა ჯგუფების გამოვლენა და მათი მოგვივაციის განსაზღვრა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს, საქართველოს სპეციალური სამსახურების კოორდინირებული ქმედებების შედეგად საფრთხეების და რისკების საფუძვლიანი შესწავლა და ქვეყნის ტერიტორიაზე განსაზღვრულ რისკის ზონებში სტაბილურობის შესანარჩუნებლად, იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობა, რათა შედეგად მიღებულ იქნას:

- ექსტრემისტული, რადიკალური და გერორისგული იდეოლოგიის მიმართ ადგილობრივი თემების მორალური მდგრადობა;
- რისკის ზონებში ძალადობრივი, ექსტრემისტული და გერორისგული იდეების მაგარებელ პირებზე ან პირთა ჯგუფზე ღროული ინფორმაციის მოპოვება პრევენციისა ;
- რისკის ზონებში ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების გავლენისა და საზოგადოების რადიკალიზაციის მუხტის შემცირება/განეიტრალება.
- რისკის ზონების დეიმოლაცია სოციალურ-საგანმანათლებლო პროგრამების, გამოყენება.

რისკის ზონებში ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების გავლენის შესაძლო ზრდა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა და საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის. საზოგადოების ნაწილის რადიკალიზაცია, როგორც წესი, წინ უძღვის ექსტრემიზმის სხვადასხვა, მათ შორის ტერორის ფორმებით გამოვლინებას. ეს არის პროცესი, რომლის შედეგადაც შესაძლოა გარკვეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მიზნების განსახორციელებლად მოხდეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი კანონსაწინააღმდეგო ძალადობრივი ქმედებების განხორციელება.

როგორც წესი, ძალადობრივი ექსტრემიზმის გაფართოვების საფრთხე წარმოიქმნება არა ერთი, არამედ მრავალი ფაქტორიდან. აქედან გამომდინარე, საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ საფრთხეების განსაზღვრისა და პრევენციისათვის საჭირო კომპლექსური ზომების მისაღებად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებთან და განსაკუთრებით, რისკის ზონებში მცხოვრებ პირებთან, პირთა ჯგუფებთან, რელიგიურ და საზოგადო მოღვაწეებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება. სპეციალური სამსახურების მხრიდან ამ მიმართულებით ჩატარებული კოორდინირებული სამუშაო ხელს შეუწყობს ადგილზე, მოწყვლად საზოგადოებაში, რადიკალიზაცია-ძალადობის პრევენციული ღონისძიებების წარმატებით გატარებას და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან შესაძლო ინტერვენციის მეთოდების პროცესის შეჩერებას.

სასურველია რისკის ზონებში, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა და თემების გავლენიან წარმომადგენელთა ჩართულობით, კულტურათაშორისი დიალოგის პროცესის დაწყება. მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცესი მხარდაჭერილ იქნას საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ და წარიმართოს კონგრეტორისტული მიმართულებით მომუშავე სპეციალური სამსახურებთან კოორდინაციაში. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მოწყვლად ზონებში მცხოვრებ მოქალაქეებს და ადგილობრივი თემების რელიგიურ თუ საზოგადო მოღვაწეებს მიეცემა საშუალება პრაქტიკულად და შედეგიანად ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან საკითხებში.

ძალაღობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე ეფექტური რეაგირებისათვის, მნიშვნელოვანია არსებობდეს გახსნილობა და ნდობა საქართველოს მოქალაქეთა და სპეციალურ სამსახურებს შორის. ამისათვის სასურველია, საქართველოს მთავრობის მხრიდან მოხდეს საზოგადოების სიღრმისეულად ინფორმირება ტერორიზმის ბუნების, მისგან მომდინარე საფრთხეებისა და ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს სპეციალური სამსახურების როლის შესახებ.

აღნიშნული მიმართულებით, საქართველოს სპეციალური სამსახურების გარდა, სასურველია სხვა რელევანტური სახელმწიფო უწყებების ჩართულობა და მათი მხრიდან სპეციალური სამსახურებთან შეთანხმებული და კოორდინირებული ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაეხმარება საქართველოს ტერიტორიაზე ძალაღობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის იდეების გავრცელების პრევენციასა და მათგან მომდინარე საფრთხეების განეიგრალებას.

თანამედგროვე ტერორისტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია სტრატეგიისა და პროპაგანდის დახვეწილი მეთოდები. ტერორისტული ჯგუფების მიერ, ძალაღობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის მიმართ პოტენციურად მგრძნობიარე პირებთან კომუნიკაცია ხდება სხვადასხვა მედიასაშუალებების გამოყენებით. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ინტერნეტი, როგორც ტერორისტული და ძალაღობრივ-ექსტრემისტული დაჯგუფებების პროპაგანდის, რეკრუტირების და კოორდინაციის ქმედითი მექანიზმი. შესაბამისად, საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ, რისკის ზონებში სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორიზმისა და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და მიმართული იქნება საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლებაზე.

კონტრტერორისტული სტრატეგიის დაგეგმვისას და ქვეყანაში ტერორისტული საფრთხეების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარებისას, მნიშვნელოვანია საქართველოს სპეციალური სამსახურების მხრიდან გაგრძელდეს და

კიდევ უფრო გააქტიურდეს კოორდინაცია პარგნიორი სახელმწიფოების შესაბამის სპეციალურ სამსახურებთან.

გერორისგული საფრთხეების დასაძლევად საჭიროა გერორისგული ორგანიზაციების, მათი იდეოლოგიის, წევრების, მხარდამჭერების, შესაძლებლობებისა და გეგმების საფუძვლიანი შესწავლა. სასურველია, საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ საფუძვლიანად მოხდეს საღაზვერვო ინფორმაციის ანალიზი, რაც მოითხოვს ინფორმაციის ადგილობრივ და საერთაშორისო პარგნიორებთან (მათ შორის პარგნიორი ქვეყნების საღაზვერვო სამსახურები, „ნატო“, „ევროპოლი“ და „ინტერპოლი“) გაცვლისა და კოორდინაციის ძლიერი მექანიზმის ჩამოყალიბებას. შედეგად შესაძლებელი გახდება გერორისგული საფრთხეების დროულად იდენტიფიცირება და ადგილზე ეფექტური პრევენციული/კონგრმოძების მიღება.

საქართველოში კონგრგერორისგული ღონისძიებების წარმატებით გასატარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ღაზვერვის სამსახურს გააჩნდეს საზღვარგარეთ საღაზვერვო ინფორმაციის შეგროვება-ანალიზის სათანადო შესაძლებლობები.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, გერორიზმის მიმართულებით საღაზვერვო ინფორმაციის შეგროვება ხდება საქართველოს ღაზვერვის სამსახურის, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონგრგერორისგული ცენტრისა და კონგრღაზვერვის დეპარტამენტების მიერ. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური სამსახურების საქმიანობის მხარდჭერა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან.

გერორიზმის მიმართულებით მომუშავე სპეციალური სამსახურების ეფექტური მართვის საწინდარია ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება-ანალიზის და კონგრგერორისგული ღონისძიებების ერთობლოვად დაგეგმვის მხრივ მტკიცე კოორდინაციის მექანიზმის შექმნა. სპეციალური სამსახურების კოორდინაცია და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება ამარტივებს გერორისგთა მხრიდან მოსალოდნელი ფიზიკური და კიბერ საფრთხეების აღრეულ ეტაპზევე გამოვლენას და უზრუნველყოფს პრევენციული/საპასუხო ზომების პროფესიონალურად დაგეგმვა-გატარებას.

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს სპეციალური სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამღვრის დაცვის დეპარტამენტთან, საიმეგრაციო სამსახურთან, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი ტერორისტთა მიერ შესაძლო სამღვრის უკანონოდ კვეთა, სამღვარზე საფრთხის შემცველი მასალების შემოტანა, ლტოლვილის სტატუსის ან ბინადრობის მოწმობის მოთხოვნა/მიღება და ტერორისტული ჯგუფების ან მათთან დაკავშირებული პირების დასაფინსებლად მიმართული ფინანსური ოპერაციებისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მცდელობები/ფაქტები.

სპეცსამსახურებს შორის კოორდინაციის ფორმატში საჭიროა ტერორიზმთან დაკავშირებული შიდა და გარე წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება, რათა მიღებულ იქნას ქვეყნის წინაშე არსებული რისკებისა და ტერორისტული საფრთხეების სრულყოფილი და დროული შეფასებები. სრულყოფილი შეფასებისთვის ასევე აუცილებელია სპეციალური სამსახურების მიერ ერთმანეთში კოორდინირებულად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, მოხდეს ტერორისტულ ორგანიზაციებთან ეჭვმიტანილი კერძო თუ იურიდიული პირების მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე და სამღვარგარეთ წარმოებული საეჭვო ფინანსური გარიგებებისა და ბრუნვების გამოვლენა. აუცილებელია კოორდინირებულად ჩატარდეს ფინანსური ნაკადების ტიპოლოგიის, მიმართულებების და კავშირების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს არსებული ოპერატიული სურათის კიდევ უფრო დეტალიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია, კონტრტერორისტული ოპერაციების დაგეგმვასა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობის პოლიტიკური შეფასებების უზრუნველყოფაში ხელის შეწყობა მოხდეს ინტეგრირებულად, ყველა რელევანტური მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების ჩართულობით.

სპეციალური სამსახურების მიერ საქართველოს მთავრობისათვის ქვეყანაში და სამღვარგარეთ ტერორისტული საფრთხეების შესახებ სრულყოფილი და დროული შეფასებების უზრუნველყოფა შესაძლებელია მიღწეულ იქნას საქართველოს

სამართალდამცავ და სპეცსამსახურებს შორის კოორდინაციისა და მათი ერთობლივად სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად. სპეციალური სამსახურების შესაძლებლობების ეფექტური მართვა და სხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ ფართო სპექტრის არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების კოორდინირებულად გამოყენება უზრუნველყოფს ტერორისტული საფრთხეების წინაშე საქართველოს სახელმწიფოს პოზიციების გამყარებას.

საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების ეფექტურად უზრუნველყოფის, ტერორისტული საფრთხეების და/ან ტერორიზმის დაფინანსების წყაროების/გზების დროულად აღმოსაჩენად და საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ერთმანეთში ინფორმაციის გაზიარების გასაუმჯობესებლად, შესაძლოა საჭირო გახდეს რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, (სასურველია, საილუმოების დაცვის შესახებ კანონის დახვეწა).

